ᲨᲐᲠᲚᲘᲢᲐᲜᲘ

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

:ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:
19.III ᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ.64

Р 2
891.71—93+3კ 26(0:8)
რ 158

თარგმანი ლ. და ა. კელენჯერიძეებისა

ამ წიგნის ავტორმა გამოიყენა დოკუმენტური მასალები, რომელთა საფუძველზე გაგვაცნო ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდი. წიგნი გვიჩვენებს რაოდენ კაცთმოყვარე, უბრალო ადამიანებისადმი რაოდენ გულისხმიერი და ყურადღებიანი იყო მშრომელთა დიდი ბელადი.

ვინც კი ოდესმე შეხვედრია დიდ ლენინს, მისთვის ეს შეხვედრა მარად დაუვიწყარია.

ლღევანდელი დღის შთაბეჭდილება

დირექტორი კლასში მათემატიკის მასწავლებელთან ერთად შემოვიდა, მიესალმა მოსწავლეებს და ჰკითხა — რა გქონდათ დღეისათვის გაკვეთილადო. მას მშვიდი, დაბალი ხმა ჰქონდა, მხოლოდ ასო „რ"-ს ისეთნაირად გამოთქვამდა, რომ „რ"-ს მაგივრად „ღ" გამოუდიოდა: „გამარჯობის" ნაცვლად „გამაღჯობას" ამბობდა.

ყოველმა მოსწავლემ იცოდა, რომ დირექტორს ილია ნიკოლოზის ძეს ეძახიან, რომ მან თვითეული მოსწავლის სახელი და გვარი ზეპირად იცის, რომ დაფასთან გამოძახებულს კრიჭაში არ უდგება და მისახვედრ კითხვებსაც კი უსვამს, უყვარს გახუმრება. მიუხედავად ამისა, როცა დირექტორმა მაგიდიდან ჟურნალი აიღო, კლასში უჩვეულო სიჩუმე ჩამოვარდა, კრინტი არავის დაუძრავს, არც ფაჩუნი ისმოდა, არც სუნთქვა.

— ზაიცევი ივანე!

ივანე ზაიცევმა აჩქარებით გაისწორა ხალათი და გვერდზე მოქცეული ქამარი, შემდეგ ქოჩორზე ხელი გადაისვა და დაფისაკენ გაემართა. დაფა სუფთა იყო, მაგრამ მაინც გულმოდგინედ გაწმინდა ჩვრით, აიღო ცარცი და თამამად შეხედა დირექტორს. დირექტორი მოღიმარი თვალებით შესცქეროდა, თითქოს ეკითხებოდა: როგორა ხარ, ივანე ზაიცევო.

ისინი შეიძლებოდა ძველ ნაცნობებად მიგვეჩნია, უფრო მეტიც — ზაიცევი ილია ნიკოლოზის ძის თავისებური „ნათლულიც" კი იყო. ახლა გარეთ თავგამეტებით ჩხავიან ჭილყვავები, ვოლგაზე ყინულს ტკაცატკუცი გააქვს, იმ დღეს კი, როცა ზაიცევი სიმბირსკში ჩამოვიდა, შუა შემოდგომა იდგა. იგი დიდხანს მიდიოდა უგზოზე, გვერდს უვლიდა საფუნდუკო სადგურებსა და ტალახში ჩაფლულ სოფლებს (თვითონაც ასეთივე სოფლიდან გამოიქცა), ღამეს ათევდა თივის სველ ზვინებში, თავს დაჰყურებდა გრიფელის დაფის მსგავსი, მოშანდაკებული ნაცრისფერი ცა. იღლიაში ამოეჩარა მთელი ავლა-

დიდება: ჩუვაშურად მოქარგულ, გაცრეცილ პირსახოცში გამოხვეული პურის ნატეხი და ნაწერით ავსებული რვეული.

ქალაქ სიმბირსკში ყველაფერი ისე იყო, როგორც უამბობდნენ: ქუჩებში ეტლები დადიოდა, სამრეკლოზე უცნაურად რეკდა საათი. იყო ახლახან გახსნილი სკოლა, სადაც ჩუვაშებს, თათრებს, მორდველებს, ბაშკირებს, ყალმუხებსა და, როგორც რუსეთის იმპერიაში უწოდებდნენ, სხვა ინოროდცების შვილებს იღებდნენ.

ზაიცევს დაადგიანდა. სკოლაში მეცადინეობა დაწყებული იყო, კლასები შეევსოთ. ამ ამბავმა ისე დაამწუხრა, კინაღამ თვალთ დაუბნელდა და ენა ჩაუვარდა: იგი ხომ მამას გამოექცა, რომ ესწავლა, ახლა კი ყველაფერი წყალში იყრებოდა. ივანეს უთხრეს — შენ მხოლოდ ერთი კაცი, სახალხო სკოლების დირექტორი, თუ გიშველისო.

სკოლის დარაჯმა — ჯარისკაცის მედლებიანმა, ენაწყლიანმა მოხუცმა მას დაწვრილებით აუხსნა, რომ დირექტორი უბრალო კაცი კი არა, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველია, ხოლო ამ ჩინს თუ სამხედროსას შევადარებთ, დირექტორი გენერალს, „თქვენო აღმატებულებას“, ეტოლებაო. ვანია ზაიცევს გული გადაუქანდა — ამ ჩინების არათუ გამოთქმა, დახსომებაც არ შეეძლო. დარაჯმა შენიშნა, რომ მისმა სიტყვებმა ძლიერ იმოქმედა ბიჭზე და გაამხნევა:

— ნუ გეშინია! ილია ნიკოლოზის ძე შენსავით და ჩემსავით უბრალო ადამიანია! შენი ბედი, რომ ახლა ქალაქშია, უფრო მეტად გუბერნიაში დაიარება... დღეს სწორედ აქ მოვა... ჩამოჯექი ეგერ, დაელოდე...

დირექტორის ქალაქში ყოფნა ნამდვილად ბედნიერება იყო, მაგრამ უფრო დიდი ბედნიერება სხვა რამ გახლდათ: როგორც ეტყობოდა, დირექტორს იმის გაგონებაც არ სურდა, რომ, თუ მის ჩინს სამხედროსას შევადარებდით, იგი გენერალს, „თქვენო აღმატებულებას“, ეტოლებოდა. როცა იგი ენის ბორძიკით მოუბარ ნორჩ მთხოვნელს უსმენდა და მის რვეულს ფურცლავდა, თვალები უღიმოდა: „კარგი, გეთაყვა, ჩაგრიცხავ, მაგრამ სხვებს უნდა დაეწიო! შეძლებ?!“

ზაიცევი როგორც მზეს, ისე შესცქეროდა მუნდირში გამოწყობილ ამ ტანმორჩილ, ხმელ-ხმელ კაცს და თვალებს მალიმალ ახამხამებდა. თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე უიმედობა და სასოწარკვეთილება ასეთი დიდი ბედნიერებით არასდროს შეცვლია, და საკუთარი გამბედაობით გაკვირვებულმა უპასუხა — მე ბეჯითი ვარ, დავეწევიო...

ახლა კი დაფასთან არა მარტო ამოცანას ხსნიდა, რომელშიც ვაჭარმა ორმოცი ბათმანი ქერი იყიდა, არამედ დირექტორს უმტკიცებდა, რომ ის,

ვანია ზაიცევი, სერიოზული ბიჭი და თავისი სიტყვის პატრონია. მხოლოდ ერთ ადგილას შეფერხდა ცოტათი, მაგრამ ეს უცოდინარობით არ მოსვლია, დაავიწყდა, რომ ვაჭრის მოგებისათვის ორი შაური უნდა მიემატებინა.

— ოღი შაუღი სადღა დაკაღგე? — შეეკითხა ილია ნიკოლოზის ძე.

ვანიამ სწრაფად გაასწორა შეცდომა და ამოცანა სწორად ამოხსნა.

— კაღგია! — უთხრა დირექტორმა. — დაჯექი.

ზაიცევმა ხელები გაიწმინდა და თავის ადგილისკენ გასწია. მას ცხვირი უბზინავდა, თვალები გაცისკროვნებული ჰქონდა, ახლა შეეძლო მშვიდად ესმინა, როგორ გამოკითხავდნენ სხვებს. დირექტორმა კიდევ ერთი მოსწავლე გაიძახა, შემდეგ მასწავლებელს სთხოვა, გაკვეთილი განეგრძო, თვითონ კი უკანა მერხზე, ორი ქერათმიანი ბიჭუნას გვერდით ჩამოჯდა, რომლებიც ღვიძლი ძმებივით ჰგავდნენ ერთმანეთს. ზაიცევმა შენიშნა, როგორ აუწითლდათ ბიჭებს ყურები სიამაყისგან, და მათი შეშურდა. იგი ხშირად აბრუნებდა თავს და მალულად უყურებდა დირექტორს, რომელიც ყურადღებით უსმენდა მასწავლებელს.

•
• •

ბოლო გაკვეთილი რუსული ენა ჰქონდათ. ამ საგანს ვასილ ანდრიას ძე კალაშნიკოვი ასწავლიდა. ვასილ ანდრიას ძე ისე ახალგაზრდა იყო, რომ მოსწავლეები უბრალოდ ვასიას ეძახდნენ. იგი გაკვეთილს გატაცებით ხსნიდა, ხშირად სახე ენთებოდა და ლოყებსა და ნიკაპზე მაშინ უფრო ემჩნეოდა ჭაბუკური ღინღლი.

უკან ხელებშემოწყობილი ვასილ ანდრიას ძე ახლა დინჯად დააბიჯებდა საკლასო ოთახში.

— დასრულდა დღევანდელი დღე, — თქვა მან, — ყოველი თქვენგანი რაღაცას აკეთებდა, რაღაცას უკვირდებოდა, რაღაცაზე ფიქრობდა. მაშასადამე, დღევანდელმა დღემ ერთგვარი შთაბეჭდილებანი შეგიქმნათ. ასე არ არის? იქნებ რაიმემ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე? სწორედ ეს შთაბეჭდილება უნდა იყოს საკლასო თხზულების თემა. თხზულებას დავარქვათ: „დღევანდელი დღის შთაბეჭდილება...“ შეგიძლიათ დაწეროთ თქვენი სასკოლო ცხოვრების რომელიმე ამბავზე ან შემთხვევაზე.

მასწავლებელმა ცარცი აიღო და დაფაზე გარკვევით დაწერა:

„დღევანდელი დღის შთაბეჭდილება“.

ჯერ კლასში თავშეკავებული გუგუნი, ქალალდის შრიალი, მერხების ჭრიალი გაისმა. შემდეგ ხმაური თანდათან მიწყდა. მხოლოდ ხანდახან თუ ამოიხვნეშებდა ვინმე მძიმედ, ან წაიბუტბუტებდა — დაიწყო შემოქმედებითი ტანჯვა. ვიღაცამ ხმამაღლა წაიფრუტუნა, ალბათ, რაიმე სასაცილო მოაგონდა. ზოგი ჩაფიქრებული იჯდა, ზოგიც გამალებით წერდა. მათ შორის იყო ვანია ზაიცევიც. ვანიას დიდხანს არ უფიქრია. დღევანდელი დღის შთაბეჭდილება სასწრაფოდ აღუდგა მეხსიერებაში, რადგან სულ ის უტრიალებდა თავში.

„...დღეს, დილის ცხრა საათზე, მათემატიკის გაკვეთილზე შემოვიდა ბატონი დირექტორი ილია ნიკოლოზის ძე...“

ასე დაიწყო ვანიამ თხზულება. შემდეგ დაწერა, რა მოხდა გაკვეთილზე: დირექტორმა დაფასთან გამიძახა, სახელმძღვანელოდან ამოცანა მიკარნახა, მე, ცოტა არ იყოს, შემეშალა და ილია ნიკოლოზის ძემ მკითხა — სად დაკაღგე ოღი შაუღიო...

„ეს ჩამებეჭდა მეხსიერებაში, — გულმოდგინედ წერდა ზაიცევი, — და ვფიქრობდი: მე მოწაფე ვარ, მაგრამ შემიძლია ბგერა „რ“ სწორად წარმოვთქვა, დირექტორი კი, ასე დიდი, ჭკვიანი კაცია და ვერ მოუხერხებია „რ“ თქვას და არა „ღ“...

ვანიამ ნაწერს კიდევ ზოგი წვრილმანი რამ დაუმატა და გადაიკითხა. სოფელში იგი ფანქრის ნალეკით წერდა ყველაფერზე და ყველგან: ველად, ტყეში, ზაფხულობითაც კი ნახევრად ჩაბნელებულ ფარდულში. ამ ზამთარში მან სუფთა წერას მთელი გულისყურით მოჰკიდა ხელი. ამიტომ ასოები ერთმანეთს აღარ ეკვროდა, სტრიქონებიც სწორად მიიმართებოდა. დღეს ვანია კმაყოფილი იყო ლამაზად დაწერილი ასოებითაც, თხზულებითაც და ნაწერი ერთ-ერთმა პირველმა გადასცა კლასის მორიგეს.

ნაწერის დაბრუნების დროს კლასში ყოველთვის მღელვარება ისადგურებდა. ყველას ერთი სული ჰქონდა, ვიდრე ნიშანს გაიგებდა. როცა ვასილ ანდრიას ძე რვეულების დასტით კლასში შევიდოდა, ძლივს ინარჩუნებდა მშვიდ, სერიოზულ გამომეტყველებას, ისე მოუთმენლად შეჰყურებდნენ მოსწავლეები.

ამჯერად ეტყობოდა, რომ უკმაყოფილო და გაჯავრებულიც კი იყო. წარბებშეკრული ადევნებდა თვალს, როგორ არიგებდა მორიგე რვეულებს. შემდეგ იკითხა:

— ყველამ მიიღეთ?

— მე არ მიმიღია, ვასილ ანდრიას ძევ! — წამოდგა ზაიცევი.

ვასილ ანდრიას ძე ერთ ხანს თვალჩაციებით მისჩერებოდა ვანიას, შემდეგ მაგიდაზე ხელი დასტაცა რვეულს, მოიქნია და სახეში ესროლა მას.

— სალახანა! — უთხრა ქშენაავარდნილმა მასწავლებელმა. — სალახანა ხარ შენ!

ჯარისკაცივით გაჭიმული ზაიცევი არ განძრეულა. პატარა, ღაწვმაღალი პირისახე გაუქვავდა. ვიღაცამ იატაკიდან რვეული აიღო და მერხზე დაუდო. ყოველი მხრიდან მოცვივდნენ ცნობისმოყვარენი, აქეთ-იქიდან ჩაჰყურებდნენ რვეულს.

საშინელი რამ მოხდა. მაგრამ რა იყო ეს საშინელი რამ, ზაიცევი ვერ ხვდებოდა. მას ლოყები და ტუჩები უცახცახებდა, ცრემლები ახრჩობდა. ვასიას არასდროს არავისთვის უსროლია რვეული. არავისი ნაწერი არ გადაუხაზავს ასე, არ დაუწერია ასეთი ნიშანი.

— ადგილებზე! — მკაცრად თქვა მასწავლებელმა.

მოსწავლეები მყისვე მოსცილდნენ ზაიცევს. ისიც დაჯდა. წინ ჯვარედინად, წითლად გადახაზული თხზულება ედო. ფურცლის კუთხეში ჩანდა მრგვალი, ავბედითი, ვეება ნული, რომელიც ბუს თვალს წააგავდა, ხოლო იქვე მასწავლებლის გარკვეული ხელმოწერა: „ვ. კალაშნიკოვი“.

სწორედ ამ დროს კლასში დირექტორი შემოვიდა. „დასხედით!“ — თქვა დინჯი, წყნარი ხმით და, როგორც ყოველთვის, მასწავლებელს ჰკითხა, — რა აქვთ დღეს მოსწავლეებს გაკვეთილადო. როცა გაიგო, რომ მათ წინა გაკვეთილზე დაწერილი თხზულებები დაურიგეს, ჩამოვლა და ნიშნების გასინჯვა დაიწყო. „ო, ო, როგორ მოგვიდა?“, ან: „როგორც ჩანს, გიყოჩაღია!“ — ამბობდა ხანდახან.

ზაიცევმა უფრო დახარა თავი. ილია ნიკოლოზის ძე მის მერხს მიუახლოვდა და იკითხა:

— როგორ დაწერა ივანე ზაიცევმა?

დირექტორმა მერხზე გაშლილ რვეულს პატარა, შავი ხელი დააკარა. კლასში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. დირექტორი ვანიას ნაწერს კითხულობდა. ყველამ დაინახა, რომ ის იღიმებოდა.

— ვასილ ანდრიას ძევ! რისთვის დაგიჯილდოებიათ ეს ბიჭუნა მოღრეცილი წითელი ჯვრის ორდენით და უზარმაზარი კარტოფილით? რა არის აქ ისეთი? გრამატიკული შეცდომებია? აზრი არაა დალაგებული?

მასწავლებელი ნელა მიუახლოვდა.

— მითხარით, ვასილ ანდრიას ძევ, რა იყო თხზულების თემა?

— დღევანდელი დღის შთაბეჭდილება! — დახშული ხმით მიუგო კალაშნიკოვმა.

— ჩემი აზრით, აქ სწორედ შთაბეჭდილებაა გადმოცემული, — ცოცხლად უთხრა ილია ნიკოლოზის ძემ.

— კი მაგრამ... ეს შთაბეჭდილება... — კალაშნიკოვი ძლივს პოულობდა სიტყვებს, — მე არც კი ვიცი... რა ვუწოდო ამას...

— თქვენ რაიმე ცუდს ხედავთ აქ?

— მე მგონია... მე ვფიქრობ... — კალაშნიკოვი აიწურა. — ყოველ შემთხვევაში, მე მიმაჩნია, რომ ეს... უხერხულია... შეუწყნარებელია... აქ უპატივცემლობაა უფროსებისადმი, რომლებიც...

დირექტორმა სიტყვის დამთავრება არ აცალა.

— მაპატიეთ, ვასილ ანდრიას ძევ, მაგრამ არ შემიძლია დაგეთანხმოთ! ბიჭუნამ დაწერა ის, რამაც მასზე შთაბეჭდილება მოახდინა იმ დღეს და. რაც მთავარია, — დირექტორმა ხაზგასმით წარმოთქვა ეს სიტყვები: — დაწერა გულწრფელად! აქ არაფერია მოგონილი, არაბუნებრივი. გრამატიკულად ყველაფერი სწორია, თხზულება დაწერილია დალაგებულად და შეესაბამება მიცემულ თემას. ეს ერთ-ერთი საუკეთესო თხზულებაა...

მან მერხიდან კალმისტარი აიღო, სამელნეში ჩააწო და დააწერა: „ფრიადი. ი. ულიანოვი“.

— იმედი მაქვს, ვასილ ანდრიას ძევ, რომ თქვენ ჩემს შეფასებას არ უარყოფთ. მერწმუნეთ, თხზულება ამ შეფასების ღირსია!

მასწავლებელი დაფასთან მოულოდნელად გაძახებულ მოსწავლესავით თავდახრილი იდგა დირექტორის წინ. აი, დღევანდელი დღის შთაბეჭდილება, რომლის შემდეგ უკვე შეუძლებელია ცხოვრება ისე, როგორც აქამდე ცხოვრობდი. მან გაკვეთილი მიიღო საგანში, რომელსაც არც ერთ სასწავლებელში არ ასწავლიან. გაკვეთილი იყო მორიდებული, არ შეულახავს მისი თავმოყვარეობა, მაგრამ როგორი გადატრიალება მოახდინა მის სულში!..

შემდეგ საოცრად წარიმართა ვასილ ანდრიას ძე კალაშნიკოვის ბედი. მას ჭილად ხვდა ბედნიერება, შინამასწავლებლად ყოფილიყო ულიანოვების ოჯახში, ხოლო შემდეგ, სულ სხვა ეპოქაში პიონერებს მოუთხრობდა იმ გაკვეთილის შესახებ, რომელიც ახალგაზრდობაში ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მამისაგან მიიღო.

ვანია ზაიცევიც მასწავლებელი გახდა. მრავალი წლის შემდეგ იგი ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ კრუპსკაიასადმი გაგზავნილ წერილში საოცრად ნათლად იგონებდა „მოღრეცილი წითელი ჯვრის ორდენს და უზარმაზარ კარტოფილს“.

ნავი წინ!

ცხელ დღეებში ვაჭარს ჩაის სმა ზედ ნავმისადგომზე, სიგრილეში უყვარდა. აქედან მეპატრონის თვალით გაჰყურებდა მიდამოს. მას საჩრდილობელში ადგილი შეერჩია. აქ იდგა მაგიდა, თუხთუხებდა სამოვარი, ბზინავდა თეთრი ჩაიდანი. რამდენიმე ნაბიჯს იქით კი დინჯად და აუჩქარებლად მიედინებოდა მზეზე მოლაპლაპე ვოლგა.

დღესაც, როგორც ყოველთვის, ვაჭარი აჩემებულ ადგილას იჯდა. ბიჭმა წინ თვალისმომჭრელად გაპრიალებული სამოვარი დაუდგა. ნავმისადგომი ოდნავ ირხეოდა, ჭრაჭუნებდა ფიცრები. მისადგომთან საკვამურდაფერდებული პატარა გემი ბოლავდა. კარჭაპზე ფეხშიშველა მეზღვაურები ფუსფუსებდნენ, ნელ-ნელა გროვდებოდნენ სიცხისაგან მოთენთილი მგზავრები.

ვაჭრის მაგიდასთან შარვალაკაპიწებული მეზღვაური გაჩერდა.

— გესმის, უფროსო?! — უთხრა მან. — ახლახან ნავებს ჩავუარე, იქ ერთი კაცი მენავეებს ურიგდებოდა, გაღმა გამიყვანეთო. ამბობდა — მეჩქარება, კარჭაპს ვერ დავუცდიო. მენავეები ჭოჭმანებდნენ, ის კი თავისას გაიძახოდა: რა უფლება აქვთ ნავით გაღმა გასვლა აკრძალონ... მდინარე არავის არ ეკუთვნისო...

ვაჭარი არც შემობრუნებულა, ზანტად ჰკითხა:

— სულ ეგ იყო?.. გასწი, საითაც მიდიოდი!..

ცოტა ქვევით, ნაპირზე, იქ, სადაც კუპრით გაშავებული ნავები იდგა, ვიღაც თხელხალათიანი ახალგაზრდა ჭაღარაულვაშიან, სახედაღარულ ვოლგელს დაბეჯითებით ეუბნებოდა:

— გაიგეთ, რომ არავის არ შეუძლია მგზავრების გაღმა გაყვანა დაგიშალოთ! არ არსებობს ასეთი კანონი... ჩვენშიაც კი!

— აბა, მაგისას ჩვენ რას გავარკვევთ, ბატონო! — უპასუხა ჭაღარაულ-

ვაშიანმა. — მოიჯარადრე ისაა, ქალაქს ის აძლევს ფულს. აი, მთელი კანონი!

ახალგაზრდამ კოპები შეკრა.

— ხალხის გადაყვანაზე რომ იჯარას იღებს, ეს მისი საქმეა, მაგრამ ვიმეორებ, არავითარი უფლება არა აქვს გადაყვანა სხვასაც აუკრძალოს. თქვენ სრული საფუძველი გაქვთ სასამართლოში უჩივლოთ.

ჭაღარაულვაშიანმა ხელით გახვეული პაპიროსი ჩააქრო, მაგრამ ნამწვი წყალში კი არ გადაუგდია (პატივი სცა დედა-ვოლგას), სილაში ჩატკეპნა.

— ფული ჩეჩქვითა აქვს, მოსამართლესაც მოისყიდის! არ გაგიგონიათ, ბატონო, ძალა აღმართსა ხნავსო.

— რას ამბობთ! — ჯიუტად მიუგო ახალგაზრდამ. — დაუშინებიხართ. აქ რომ თვითნებობაა, მტკიცება არ სჭირდება! თუ სასამართლოს მიმართავთ, იძულებული შეიქნებიან, დასაჯონ!

ჭაღარაულვაშიანმა ხელი ჩაიქნია და არაფერი უპასუხა. მეორე მენავე, რომელსაც დაგლეჯილი ქუდი ეხურა, გვერდით იდგა და გაუბედავად იყურებოდა ნავმისადგომისაკენ.

— წავიდეთ? — ჰკითხა მას ახალგაზრდამ.

— სულ ერთია უკან დაგვაბრუნებს! — ყოყმანით უპასუხა მენავემ.

— ჩვენ წავიდეთ და ვნახოთ! გაბედოს ერთი!

ახალგაზრდა პასუხს არ დაელოდა, ნავს მძლავრად უბიძგა წყლისკენ, შიგ ჩახტა და კიჩოზე მოექცა. მენავეც მიჰყვა, მან რამდენიმე ნაბიჯი წყალ-წყალ გაიარა, თან თავს აქნევდა, თითქოს უკვირდა, როგორ დამიყოლიესო. შემდეგ თვითონაც აფოფხდა ნავზე. დაიჭრიალა ნიჩბების პალოებმა. ნიჩბებქვეშ წყალი ადგაფუნდა. მგზავრი ჩაფიქრებული იცქირებოდა წინ.

ბუმბერაზი მდინარის ამ გაშლილ სივრცეს, ამ თვალუწვდენელ მიდამოებს იგი ბალღობიდანვე ხედავდა, მაგრამ თვალს განა ოდესმე მოსწყინდება მათი მზერა? ნავი სწრაფად მისრიალებდა. უკვე საკმაო მანძილით მოშორდნენ ნაპირს, გალმა მხარე კი ისევ შორს იყო. უცებ მენავემ მძლავრად დასთხლიშა ნიჩბები.

— აჰა, გადავედით! — წამოიძახა გაბრაზებულმა. — საით იცქირებით! ნავმისადგომს გახედეთ.

ნავიდან კარგად ჩანდა, როგორ მოადგა ნავმისადგომის კიდეს წვეროსანი, გრძელხალათიანი კაცი და როგორ მიიდო ორივე ხელი საყვირივით პირზე.

— ეჰე-ჰე-ჰე-ჰეი! დაბ-რუნ-დი! — გაისმა მისი ძახილი.

— თვითონ ვაჭარი ვარჯიშობს? — ჰკითხა მენავეს თვალმოჭუტულმა ახალგაზრდამ.

— მაშ ვინ იქნება? თვითონ ბრძანდება!.. გესმით, როგორ ღრიალებს,

მთელ ვოლგაზე ისმის მისი ხმა! ბატონია!.. — მენავემ ცალყბად ჩაიცინა.. — ჰკითხეთ ერთი, რა ხელს ვუშლით? მთელი ხალხი მას ეხვევა. ჩვენ კი ერთი კაპიკის შოვნასაც გვიშლის... და ყოველთვის ისაა მართალი. დიდი ძალის პატრონი გახდა!

წვეროსანმა ხელები დაიქნია, თითქოს ნიშანს იძლევაო:

— ე-ეჰეი... დაყრუვდი თუ რა დაგემართა! შეაბრუნე ნავი!..

— ნავი წინ! — მოკლედ მოსჭრა ახალგაზრდამ. მას თვალები დაუწვრილდა, დაებინდა. — ეჰ, ნეტავ კიდევ იყოს ნიჩბები!

— მაინც ამაოა!—ნაღვლიანად უთხრა მენავემ.—ახლა, უყურეთ, უფასო სანახაობა გაიმართება... ხედავთ, რამდენი ხალხი შეგროვდა იქ? ყოველი მხრიდან მორბიან!

— მოგროვდნენ მერე! ნავი წინ!

მენავე ამ მტკიცე ხმას დაემორჩილა და ნიჩბების მოსმა განაგრძო. ის იყო მდინარის შუაგულს გასცდნენ, რომ პატარა გემის საკვამურის თავზე თითქოსდა ღრუბელი აიკრა, ახმიანდა საყვირი, გემს კარჭაპის საბუქსირო ბაგირი ახსნეს და იგი სწრაფად გაექანა ნავისაკენ, უკან ტალღების თითქოსდა უძრავ ნაოჭებს ტოვებდა.

გემზე თავდასასხმელად გამზადებული მეზღვაურები იდგნენ, მათ მრისხანედ აღემართათ ბარჯები. სხვებივით ფეხშიშველა და შარვალაკაპიწებული ერთი კაცი, — ალბათ კაპიტანი, — რომელსაც მეზღვაურის თეთრი ქუდი ეხურა, ხრინწიანი, სმისაგან ჩახლეჩილი ხმით იძლეოდა განკარგულებებს:

— საჭე მა-ა-რჯვნივ! სრული სვლა!

როცა დამნაშავეთა ნავამდე ორი საჟენიღა დარჩა, კაპიტანმა დაიხავლა:

— უკუსვ-ლ-ა! სდექ!

ძრავამ რამდენიმეჯერ ყრუდ დაირახრახა და გაჩერდა. გემი თითქმის ზედ მიადგა ნავს, რომელსაც მაშინვე მოსდეს რამდენიმე ბარჯი.

— აქ ნავებით ხალხის გადაყვანა აკრძალულია! — დამაჯერებლად წარმოთქვა კაპიტანმა. — გთხოვთ გემბანზე ამობრძანდეთ!

— თქვენ უფლება არა გაქვთ გაგვაჩეროთ! — სწრაფად მიუგო ახალგაზრდამ. — პასუხს აგებთ!

— ეს ჩვენ არ გვეხება! ჩვენ ვინ რას გვეკითხება! როგორც მეპატრონემ გვიბრძანა, ისე ვიქცევით! თუ გაღმა გასვლა გსურთ, აქ ამობრძანდით! ნავს კი იქით არ გავუშვებთ!..

ახალგაზრდამ მენავეს ფული მისცა, გემბანზე ავიდა, მაშინვე ამოიღო ჯიბიდან უბის წიგნაკი და მოითხოვა გემის შემადგენლობის გვარები ჩაეწერინებინათ.

— ამის გაკეთება შეგვიძლია! — გულგრილად უპასუხა კაპიტანმა. — ჩაიწერეთ, თუ გსურთ!

როცა მგზავრი ნავმისადგომზე მიიყვანეს, მას თვით ეახლა მოიჯარადრე და მიწყალე ღიმილით უთხრა:

— რა გრჯით, ბატონო?! მოგროვდება ხალხი და კანონიერი წესით გაგიყვანთ გაღმა... მანამდე კი, არ ინებებთ ჩაიზე დამეწვიოთ? გვაქვს თაფლი, ბლითები...

მგზავრს თითქოს არც გაუგონია შეპატიჟებაო, ჰკითხა:

— ვინ დაადგინა ეს, როგორც თქვენ ამბობთ, კანონიერი წესი?!

— ვინ და მე! — ვაჭარი ისევ ისე იღიმებოდა. — მე საიჯაროს ვიხდი და ნებას ვერ მიცემ!.. ამიტომ უფლებას არ ვაძლევ!.. მაშ არ გნებავთ ჩაი?.. როგორც გენებოთ!

ხალხი კი უფრო და უფრო მატულობდა. მოდიოდნენ ჩანთებით, ტომრებით, ბოხჩებით. მოვიდა რამდენიმე დატვირთული საზიდარი. ბოლოს მეზღვაურებმა კარჭაპზე ასასვლელი ფართო ფიცრები განალაგეს და დაიწყო მგზავრების ჩასხდომა და ტვირთის აზიდვა. გემმა იკივლა, არასრახდა ძრავა, მაგრამ ამ დროს მაღალი ნაპირიდან ძახილი მოისმა. დაგვიანებულები ხელის ქნევით მორბოდნენ და უკან ჟანგისფერი მტვრის კორიანტელს აყენებდნენ. კაპიტანმა შეიცადა — მეპატრონეს მგზავრებს ხომ არ დაუკარგავდა.

— აუშვით გემი! — იყვირა ბოლოს ხრინწიანი ხმით.

გემმა საბუქსირე ბაგირი დაჭიმა და კარჭაპი გაღმისკენ წაათრია.

ვაჭარმა საჩრდილობელს მიაშურა. მსახურმა პატარა ბიჭმა გავარვარებული ნაკვერცხლები მიუტანა სამოვრისთვის.

ვაჭრის მაგიდას ერთი ნაცნობი მოხელე მიუჯდა. ნავზე თავდასხმას ისიც შესწრებოდა და ახლა მოიჯარადრესთან ერთად სჯიდა მომხდარ ამბავს.

— ეს რა ახირებული ვინმე ყოფილა! — ამბობდა ვაჭარი და ლამბაქს სულს უბერავდა.

— მაგისთანები ახლა საკმაოდ მომრავლდნენ! — უთხრა მოხელემ, რომელიც კოვზით მოკრძალებულად წრუპავდა ჩაის. — მაგრამ რა საჭიროა ეს აყალმაყალი? ფუჭი ჰაიჰუია!.. აი, თუნდაც პატარა ტალღა: მოიწევს, მასაც უნდა მაღლა ასვლა, მაგრამ მიეხეთქება მისადგომს და მოგჭამა ჭირი!..

მათ მალე დააავიწყდათ ნავიც, მისი მგზავრიც და ქალაქის ახალ ამბებზე გააბეს საუბარი, მოჰყვნენ ჭორაობას. ვერც ერთი მათგანი ვერ იფიქრებდა, რომ დადგებოდა დრო, როცა მთელი ქალაქი იმ დღეს მომხდარ ამბავზე ალაპარაკდებოდა.

საქმე იმით დაიწყო, რომ ვაჭარს შინაურულად აცნობეს, სამარაში გიჩი-

ვიან თვითნებობის გამოო. ვაჭარი ჯერ ვერ მიხვდა რაზე იყო ლაპარაკი. ბევრი საქმე გაუკეთებია, ბევრი ფათერაკიდან დაუძვრენია თავი, მაგრამ ასეთი არაფერი ახსოვდა.

მას აუხსნეს, რას ნიშნავდა ეს საჩივარი, ისიც უთხრეს — საქმე აღუძრავს ვიღაც ულიანოვს, ნაფიცი ვექილის თანაშემწეს, რომელიც სამარაში პრაქტიკაზეაო. მეხსიერებიდან ამოცურდა ახალგაზრდული, ჯიუტი სახე, დაჟინებით მომზირალი, მოჭუტული თვალები. მოაგონდა, რა თქვა მოხელემ ტალღის შესახებ: „დახეთ! — გუნებაში ჩაიცინა ვაჭარმა. — მაშინებს!“ მას არაფრით არ სჯეროდა, რომ მაწანწალა მენავეების გამო შეიძლებოდა სასამართლო საქმე აღძრულიყო.

მაშინ ვაჭარს უფრო ნათლად განუმარტეს: მართალია, ეს დიდი საქმე არაა, მაგრამ პასუხსაგებია, მუხლი თვითნებობის შესახებ კი გულისხმობს ერთი თვით პატიმრობას, რაც არ შეიძლება შეიცვალოს ჯარიმითო.

ვაჭარი რომ ზედმეტად არ შეწუხებულიყო, ურჩიეს ერთი ვექილი აეყვანა. ვექილს ყველაფერზე ეტყობოდა, რომ გამოქექილი კაცი იყო, ატარებდა გაცვეთილ ფრაკს, ყნოსავდა თამბაქოს. ვაჭარს მანაც უთხრა — საქმე არც ისე მნიშვნელოვანია, მაგრამ საშაროა, რადგან თვითნებობა აშკარად ჩანსო, თან დაუმატა, ეშმაკს არ სძინავს, მაგრამ ღმერთი მოწყალეაო. ვექილშა წინასწარი გასამრჯელო მიიღო და დანიშნულ დროს საქმის გარჩევაზე წავიდა. საქმე კი განსახილველად შორს გადაგზავნეს, იმ მაზრაში, სადაურიც მოპასუხე იყო.

როცა ვექილი საერობოს უფროსთან გამოცხადდა, მომჩივანი უკვე იქ იყო. ვექილი თავაზიანად მიესალმა:

— სამარიდან ჩამობრძანდით, კოლეგა? ოი, რა შორიდან მოსულხართ! ეს ვერსზე ნაკლები არ უნდა იყოს... ჩვენი, რუსეთის გზებით მგზავრობა ხომ საშინელებაა!

ჩამოსულმა მოკლედ უპასუხა, მანძილი მართლაც არცთუ მცირეაო, მაგრამ ლაპარაკი აღარ გაუბამს. მალე ისინი საერობოს უფროსის ოთახში მიიწვიეს. წარმოსადეგმა, თვალებშეშუპებულმა კაცმა საჩივარი გადაიკითხა და ორივე მხარეს ურჩია მორიგებულიყვნენ, რამდენადაც საქმე დავად არა ღირს, წვრილმანია და სავსებით შეიძლება მისი სიამტკბილობით მოგვარებაო.

ჩამოსულმა მოკლედ მიუგო, რომ დღესაც და მომავალშიაც უარს ამბობს მორიგებაზე და მოითხოვს გასამართლებას არსებული კანონის საფუძველზე. რამდენიმე ხნის შემდეგ საერობოს უფროსმა გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება: საქმე ზოგიერთი გარემოების გაურკვევლობის გამო გადაიდოო.

როცა ვექილი უკან დაბრუნდა, ვაჭარს ყოველივე უამბო, რაც ნახა და

გაიგონა. ვაჭარი დაფიქრებით აწვალებდა წვერებს. მან რამდენჯერმე ჰკითხა ვექილს:

— ერთი მითხარი, რისთვის ირჯება ის კაცი? ღმერთმანი, ვერ გამიგია! შენ ფულს გაძლევ და ამიტომ არ ზოგავ თავს, ტყუილუბრალოდ თითსაც არ გაანძრევდი. ასე არ არის? ის კი თავისასაც ხარჯავს, დროს კარგავს, დადის... ეს რაღას ნიშნავს?

— ბრიყვია! — უპასუხა ვექილმა მხრების აჩეჩვით. — უაზროდ იბღინძება და მეტი არაფერი! მაგრამ, მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვაო. საერობოს უფროსი ჭკუას ასწავლის! საქმეს ახლა დიდხანს ვერ დაძრავს ადგილიდან...

ვექილმა იცოდა, რასაც ლაპარაკობდა. უკვე შემოდგომა ილეოდა, ვოლგაზე სუსხი იდგა, ნაპირები გადაშიშვლებულიყო. ერთ ავდრიან დღეს მომჩივან-მოპასუხემ სასამართლოს უწყებები მიიღეს.

ამჯერად ვექილის მომლოდინე ვაჭარი ღელავდა, გული ელეოდა.

— საქმე მეორედ გადადო საერობოს უფროსმა! — მიახარა მას მეორე დღეს ვექილმა, თან ხითხითებდა და ხელებს ისრესდა. — გამონახა მიზეზი! ვერ აგიწერთ, რა აუტანელია ის სამარელი!.. — ვექილის ხმაში ერთგვარი აღფრთოვანება გამოსჭვიოდა. — მთლად გაწუწული, ტალახში ამოსვრილი მოვიდა... თქვენც კარგად იცით, როგორია სამარიდან მგზავრობა. პირდაპირ სული ამოგძვრება!.. ის კი ვითომც ვერაფერს ამჩნევს... კვლავ შესთავაზეს მორიგება. ქვა ააგდო და თავი შეუშვირა!.. მაგრამ არა უშავს, ერთ ხანს კიდევ ივლის უფროსთან, ივლის და ქანცი გაუწყდება... სულს ამოვხდით და მოგვეშვება, აბა რა იქნება!

ვაჭარი დუმდა. მას ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს სწორ გზაზე მიდიოდა და უცებ შუბლით დაეჯახა რაღაც უხილავს, მაგრამ კაჟივით მაგარს...

დრო კი გადიოდა. ვოლგა ყინულმა შეკრა. გეგონებოდათ, ამ ვეებერთელა თეთრ ველზე არასოდეს ნავებით მიმოსვლა არ ყოფილა და არც ხალხი გადაჰყავდათო, თვით ნავმისადგომი ახლა ყინულის ზღაპრულ სახლს ჰგავდა.

ახალ წლამდე რამდენიმე დღით ადრე ნაფიცი ვექილის თანაშემწეს — ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვს — საერობოს უფროსის უწყება მიუვიდა. შინაურებმა იცოდნენ, რომ მას დავა ჰქონდა ვაჭართან. დედა შესცქეროდა შვილს, რომელიც სტუმართან ჭადრაკს თამაშობდა, და შეშფოთებით ფიქრობდა, რომ მას კიდევ ელოდა უძილო ღამე, სადღაც შორს ხეტიალი — მატარებლით, ეტლით და ფეხითაც. დედამ იცოდა, რომ შვილს ვერაფრით დაითანხმებდა, მაგრამ გულმა მაინც არ მოუთმინა:

— ვალოდია, დაანებე თავი იმ ვიღაც ვაჭარს! ტყუილად წახვალ, გაიტანჯები და მეტი არაფერი.

— წასვლა საჭიროა, დედა, — მორიდებით უპასუხა ვაჟმა, ასწია თავი და შეხედა. — საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანო! ასეთი შემთხვევის ხელიდან გაშვება არ შეიძლება! რამდენიც არ უნდა აჭიანურონ საქმე, განაჩენის გამოტანა მაინც მოუხდებათ! ამას გაიგებს ასობით ადამიანი, მთელი ქალაქი. მეტად სასარგებლო გაკვეთილი იქნება! საერობოს უფროსის ტაქტიკა ნათელია — უნდა საქმე გააჭიანუროს, გადადოს, რადგან სხვა გამოსავალი არა აქვს... ისევე, როგორც თქვენ, — ღიმილით მიუბრუნდა თავის პარტნიორს და ხმამაღლა წამოიძახა:

— შამათი!.. მაგრამ ასეთი ტაქტიკით მე ვერ გადამაცდენენ... მხოლოდ ისაა, რომ მატარებელი გარიჟრაჟზე გადის და ღამე ადგომა დამჭირდება.

•

• •

გაზაფხული იყო. ადიდებულ მდინარეზე დინჯად მიცურავდნენ და ნელი ხმაურით ერთმანეთს ეხლებოდნენ დალეწილი ყინულის ხორგები, წყალი სულ უფრო და უფრო მატულობდა ყინულებს შორის. სველ მინდვრებს ოდნავ ასდიოდა ორთქლი, გუბურებში მზის ანარეკლი კრთოდა. ნაოსნობა ჯერ არ დაწყებულიყო, ორთქლის გემები მხოლოდ ხმას იწმენდნენ, ჩახრინწული ხმით ეხმიანებოდნენ ერთიმეორეს, უბეებსა და ნავმისადგომებში ყინულს ამტვრევდნენ, ხალხის გადაყვანა კი უკვე განახლებული იყო. ახლა ხალხი მთელ ფლოტილიას გადაჰყავდა. აქ ნახავდით მეთევზეთა მრავალნიჩბიან ნავებს, მედიდურ კანჯოებს და თავისუფლად მოსრიალე პატარა ნავებს. თუ სადმე ლაპარაკს შეჰყვეებოდნენ, მაშინვე მოიგონებდნენ ნავმისადგომის მფლობელ ვაჭარს, რომელიც საპატიმროში იჯდა.

დაგლეჯილქუდიან მენავეს თავი გმირად მიაჩნდა. ის უკვე, ალბათ, მეასეჯერ ჰყვებოდა, თუ როგორ მიჰყავდა მგზავრი, რომელმაც „ასე ყოვლისმძლე ვაჭარი“ ჩააგდო საპატიმროში, თანაც ყოველთვის სხვანაირად ჰყვებოდა.

— ჩვენებურია, ვოლგელია! ერთი შეხედვით მიხვდები, რა კაცია! ჭაბუკია, მაგრამ ვაჟკაცია, რიხიანი ხმა აქვს! როგორც კი მოკლედ მითხრა, ნავი წინო, ნიჩბები მაშინვე თავისთავად ამოძრავდა.

— დაიცა, ვაჭარი განა დიდხანს იქნება საპატიმროში! გამოვა და გიჩვენებს სეირს! სიცოცხლეს გაგიძაღლებს! — უთხრა ერთმა.

მენავემ მხიარულად გაიცინა:

— ნურას უკაცრავად! ჩვენს ვაჭარს ჩაი ყელში შეუგუბდა! მეტად აღარ მოისურვებს ციხეში ჩაჯდომას! ხოლო თუ რაიმეს განიზრახავს, ჩვენ მას... — მენავემ რაც შეეძლო მეტი ჰაერი შეისუნთქა და ჩახრინწული ხმით დაიძახა:

— უკუსვლ-ა-ა! სდე-ქ!

ეს დავიწყნია

ლენინის უკანასკნელი არალეგალური მუშაობის შესახებ ბევრი რამ დაწერილა. დღეები, როცა ლენინი დროებითი მთავრობის მეძებრებს ემალებოდა და იატაკქვეშეთიდან ხელმძღვანელობდა ოქტომბრის შეტევის მომზადებას, ასახულია რომანებსა და პიესებში, მოთხრობებსა და მოგონებებში, ნარკვევებსა და კინოსურათებში. ალბათ, იმიტომ რომ ისტორიულად ესოდენ დიდმნიშვნელოვანია ყოველი ის დღე, შეუმჩნეველი დარჩა ლენინის არალეგალურად მუშაობის უკანასკნელ ხანთან დაკავშირებული ერთი პატარა ეპიზოდი.

ეს ამბავი უდიდესი ისტორიული მოვლენების გვერდით ძალიან უბრალოდ გამოიყურება, მაგრამ საუცხოოდ ავსებს ლენინის დიად პორტრეტს.

•
• •

როცა სერდობოლის ქუჩის ერთ-ერთი ბინის დიასახლისმა გაიგო, რა უაღრესად პასუხსაგები ამოცანა ეკისრებოდა, მხოლოდ ერთმა ამბავმა ჩააფიქრა.

ბავშვები! რა უყოს ბავშვებს?

მალე შემოდგომა დადგება. ბავშვები აგარაკიდან დაბრუნდებიან. გალოჩკა კომერციულ სასწავლებელში სწავლობს, სერიოჟა წელს პირველ კლასში შევა. ბავშვები მაინც ბავშვებია; თუ ისინი იმ ბინაში იცხოვრებენ, სადაც ვიღაც იმალება, შეიძლება რაიმე წამოსცდეთ და საიდუმლოება გამჟღავნდეს...

უცებ მარგარიტა ვასილის ასულ ფოფანოვას გაახსენდა დეიდა, რომელიც ნიკოლოზის ქუჩაზე ცხოვრობდა. აი, სად შეიძლება დროებით დააბინაოს თავისი გალოჩკა და სერიოჟა.

— არა, ეს შეუძლებელია, — უთხრა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა კრუპსკაიამ, როცა მისი განზრახვა გაიგო. — ნუ იფიქრებ, რომ სასტიკი ვარ, მაგრამ ბავშვების ქალაქში დატოვება არ ივარგებს. შენ დიდ საფრთხესთან დაკავშირებული, დაძაბული მუშაობა გელის, ბავშვები კი გასაქანს არ მოგცემენ.

კრუპსკაია მართალი იყო.

„მგზნებარე ბოლშევიკი ქალი" (ასე უწოდებდნენ მარგარიტა ვასილის ასულს ამხანაგები) უყოყმანოდ დაეთანხმა და სხვა გზას დაადგა: გადაწყვიტა ბავშვები ბებიასთან და ბაბუასთან გაეგზავნა უფის გუბერნიაში. წერილში მშობლებს წერდა: პეტროგრადში შიმშილობაა და მეც ვფიქრობ უფისაკენ ვიბრუნო პირი, ჯერ კი გთხოვთ, ბავშვები შეიფაროთო. მისმა უმცროსმა დამ ვეროჩკამ თავს იდო გაჰყოლოდა ბავშვებს შორ გზაზე.

ასე ერთობლივად გადაწყდა დედისათვის ეს მძიმე საკითხი. ახლა მარგარიტა ვასილის ასულს შეეძლო მთელი სულიერი ძალები თავისი მთავარი საქმისათვის შეეწირა.

ლენინთან, რომელიც ფინეთში იმალებოდა, ყველაფერი შეთანხმებული იყო. გლეხის ქალივით ჩაცმული და ყალბი საბუთებით აღჭურვილი ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია ეწვია ლენინს და მას ფოფანოვას მისამართი და ბინის გასაღები გადასცა.

შემოდგომაზე სერდობოლის ქუჩაზე დაბინავდა ახალი „მდგმური" — სესტრორეცკის იარაღის ქარხნის ზეინკალი კონსტანტინე პეტრეს ძე ივანოვი. მაშინვე შემუშავდა კონსპირაციის წესები: „მდგმურს" პირობითი ზარის რეკვის გარდა, არავითარ რეკვაზე არ უნდა გაეცა პასუხი, არ უნდა მისულიყო ფანჯრებთან, არ უნდა ეხმაურა.

მეზობლები ცუდი ადამიანები როდი იყვნენ, მაგრამ მარჯვნივ ცხოვრობდა თექვსმეტი წლის უქნარა, რომელიც არც სწავლობდა, არც მუშაობდა და საეჭვო ძმაბიჭები ჰყავდა. ფოფანოვას და ამ უქნარას ბინას მხოლოდ ერთი კედელი ჰყოფდა.

— ხედავ, ვალოდია, როგორი მდგომარეობაა, — შენიშნა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა. — შენ კი ოთახში სიარული და თანაც ღიღინი გიყვარს... ამ ჩვეულებაზე უარი უნდა თქვა!

ვლადიმერ ილიას ძემ მორჩილად დახარა თავი: რა გაეწყობაო...

ოთახში, სადაც ისინი საუბრობდნენ, წიგნებიანი თაროედი იდგა. ზედა თაროზე ვლადიმერ ილიას ძემ გალოჩკასა და სერიოჟას ფოტოსურათი შენიშნა. ფრთხილად გადმოიღო სურათი და დიდხანს დააჩერდა. სახეზე რაღაც ჩრდილი გადაეფინა.

— როგორ ჩავიდნენ? როგორ მოეწყვნენ? — იკითხა მან დაფიქრებით.

მარგარიტა ვასილის ასულმა უპასუხა: მისი და ვეროჩკა უკვე დაბრუნდა, კარგად უმგზავრიათ, ურიგოდ არ მოწყობილან, გალოჩკა უფაში ცხოვრობს და სწავლობს, პატარა სერიოჟა კი ბაბუას სოფელში წაუყვანიაო.

ლენინი ყურადღებით უსმენდა.

— ერთი რამ უნდა გთხოვოთ, მარგარიტა ვასილის ასულო! სთხოვეთ თქვენს დას უახლოეს დროში აქ შემოიაროს... მსურს პირადად ვესაუბრო.

გაგრძელდა კონსპირაციის დღეები. „მდგმური" შეუპოვრად მუშაობდა. წერდა იმავე მაგიდაზე, სადაც წინათ გალოჩკა ამზადებდა გაკვეთილებს. თავისუფალ წუთებში ვარჯიშობდა, — ცდილობდა შეჩვეოდა ოთახში უხმაუროდ სიარულს.

ერთ-ერთ საღამოს, როცა მაგიდასთან ისხდნენ და ჩაის სვამდნენ, ლენინი უცებ დიასახლისს შეეკითხა:

— გახსოვთ, ერთი დაპირება რომ არ შემისრულეთ? სადაა თქვენი და?

მარგარიტა ვასილის ასული გაოცდა. არ დავიწყნია! ასეთი უმნიშვნელო რამეც კი ახსოვს!

დიასახლისმა მალე მოიყვანა სერდობოლის ქუჩაზე თავისი უმცროსი და. იგი სულ ახალგაზრდა იყო. ყველა ვეროჩკას ეძახდა. ვლადიმერ ილიას ძე კი ყოველთვის სახელით და მამის სახელით მიმართავდა. ლენინმა დაწვრილებით გამოჰკითხა — დიდხანს მოუნდნენ გზას თუ არა, როგორი ვაგონით იმგზავრეს — თბილანათი თუ სამგზავროთი, გაუჭირდათ თუ არა მატარებელში ჩასხდომა, როგორ იკვებებოდნენ გზაში, ხომ არავინ გამხდარა ავად, როგორ შეხვდნენ მათ უფაში.

ვეროჩკას წასვლის შემდეგ იგი კვლავ მივიდა წიგნების თაროედთან, სადაც გალოჩკასა და სერიოჟას ფოტოსურათი იდო.

— ნუ დარდობთ, მარგარიტა ვასილის ასულო! — მისი ხმა განსაკუთრებულად ალერსიანი იყო. — მალე იხილავთ თქვენს შვილებს... შემატყობინეთ, გეთაყვა, როგორც კი უფიდან ამბები მოვა...

ოქტომბრის დამდეგს ვლადიმერ ილიას ძე პირველად გამოვიდა ბინიდან. მარგარიტა ვასილის ასულს მთელი ღამე არ ეძინა. წამდაუწუმ მიადგებოდა ფანჯარას, თითქოს შემოდგომის ღამის წყვდიადში რაიმეს დანახვა შეეძლო. წვიმა ფანჯრის მინებს უშხაპუნებდა, ჭრიალებდა ხეები, იფიქრებდით, არასოდეს აღარ გათენდებაო.

ამ დროს კი კონსპირაციულ ბინაში, კარპოვკაზე, ბოლშევიკების პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სხდომა ჰქონდა. ლენინის მოხსენების საფუძველზე მიიღეს რეზოლუცია შეიარაღებული აჯანყების შესახებ.

დაიშალნენ გვიან ღამით. სერდობოლის ქუჩამდე შორი იყო. კოკისპირულად წვიმდა. ეინო რახიამ ლენინს ურჩია, ღამე მასთან გაეთია.

განთიადისას ვლადიმერ ილიას ძე სამუშაოზე მიმავალ ხალხს შეერია და სერდობოლის ქუჩაზე დაბრუნდა თავიდან ფეხებამდე გაწუწული და ტალახში ამოსვრილი.

— ესაა დედაქალაქი! — ხუმრობით ჩიოდა იგი. — შეუძლებელია უკალოშოდ გარეთ გასვლა, მაგრამ კალოშები რომ არ მიყვარს?!

გავიდა რამდენიმე დღე და ის ისევ რახიასთან ერთად გავიდა სახლიდან. ამჯერად პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომა უფრო ახლოს — ბოლოტნაიაზე მიმდინარეობდა. ღამისთევის მიუხედავად, ვლადიმერ ილიას ძე მსნედ, ყოჩაღად გამოიყურებოდა, თვალები უბრწყინავდა. სიცილით ჰყვებოდა, როგორ მოსტაცა ქარმა ქუდი პარიკთან ერთად და როგორ მისდევდა უკან...

და აი დადგა ათას ცხრაას ჩვიდმეტი წლის ოცდაოთხი ოქტომბერი — ლენინის არალეგალური მუშაობის უკანასკნელი დღე და ისტორიაში უდიდესი რევოლუციური გადატრიალების დასაწყისი.

•
• •

ამ დღეებში მარგარიტა ვასილის ასულს, როგორც ის შემდეგ იგონებდა, თავის მოსაფხანად არ ეცალა. ასრულებდა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის დავალებებს და არც ძილი ახსოვდა და არც დაღლილობა.

მარგარიტა ვასილის ასული, მონაწილე და მოწმე იმ ამბებისა, რომლებზედაც აქამდე ასობით წიგნი იწერება, სმოლნის ვეებერთელა თეთრსვეტებიან დარბაზში იყო იმ დროს, როცა მანამდე უჩვეულო, არგაგონილი, მქუხარე ოვაციები კედლებს აზანზარებდა. ლენინი ტრიბუნაზე იდგა და ხალხს საათს უჩვენებდა — გეყოფათ, კმარა, დროა დავიწყოთო. მაგრამ ტაშის გრიალი უფრო და უფრო მატულობდა. მუშები, ჯარისკაცები, მეზღვაურები, გლეხები მიესალმებოდნენ რევოლუციის ბელადს. ბევრი მათგანი პირველად ხედავდა ლენინს.

მესამე დღე რომ იწურებოდა, სმოლნის გრძელ, ნახევრადჩაბნელებულ, ხალხით გაჭედილ დერეფანში ფოფანოვას ნადეჟდა კონსტანტინეს ასული მიუახლოვდა:

— იცი, მარგარიტა! ილიჩი საშინლად დაიქანცა, ფეხზე ძლივს დგას! მე პირდაპირ შიში მიპყრობს!.. როგორ მინდა რამდენიმე საათი შენს მყუდრო ოჯახში დავყო... ჩვენ ჯერ ბინაც კი არა გვაქვს...

მართლაც, უდიდესი ქვეყნის მთავრობის მეთაური, იმ ქვეყნისა, რომლის

ტერიტორიაზე თავისუფლად დაეტეოდა სამი ამერიკა, ჯერ ისევ უბინაოდ იყო. როგორც ჩანდა, ის ყველაზე ნაკლებად ფიქრობდა ამაზე.

დარბაზობამ სერდობოლის ქუჩაზე, როგორც ამას დიპლომატიურ კომუნიკეში დაწერდნენ, გულთბილ ატმოსფეროში ჩაიარა. ღარიბული ვახშმის შემდეგ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე გავიდა მისთვის ნაცნობ ოთახში, სადაც მანამდე კ. პ. ივანოვის სახელით ცხოვრობდა, და იქ, რამდენიმე დღის არაადამიანური დაძაბულობის შემდეგ, ჩაეძინა უშფოთველ სიჩუმეში...

დილით ვლადიმერ ილიას ძე განსაკუთრებული სიამოვნებით მიდიოდა ფანჯრებთან, ფეხების ბაკუნით მიმოდიოდა ოთახში, ხმამაღლა მღეროდა ყმაწვილობისდროინდელ საყვარელ რომანსს:

ჩვენ ვიქორწინეთ უეცლესიოდ,
არ ვმდგარვართ მღვდლებთან სანთლებით ხელში,
არ უმღერიათ საგალობლები,
არცა ყოფილა ჯვრისწერის წესი [1].

საუზმის შემდეგ სმოლნში გამგზავრებისას წიგნის თაროედთან შეჩერდა, სადაც ფოტოსურათი იდო.

— მარგარიტა ვასილის ასულო, წერილებს თუ ღებულობთ?.. ახლა კი მალე ჩამოგივლენ ბავშვები.

მაგრამ მოვლენებმა, რომლებიც ოქტომბრის შემდეგ მალე დაიწყო, ეს შეხვედრა გადადო.

თოთხმეტმა სახელმწიფომ დაუწყო ომი საბჭოთა ქვეყანას. ზაფხულისათვის ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიის სამი მეოთხედი თეთრგვარდიელებისა და ინტერვენტების ხელში აღმოჩნდა.

შეწყდა წერილები უფიდან. ვერავინ გაიგებდა, რა ბედი ეწიათ გალოჩკას და სერიოჟას. უფა თეთრებმა დაიკავეს.

*
* *

დათვალეს და გამოვიდა, რომ ერთ სერიოზულ ამერიკულ გაზეთს წლის განმავლობაში მოესწრო ორმოცდაჩვიდმეტჯერ გამოეცხადებინა: „საბჭოთა ხელისუფლება დაემხო“, „წითელი არმია განადგურებულია“ და „ლენინი საით გაიქცა, არავინ იცის“.

---

[1] ლექსები თარგმნა ი. ქემერტელიძემ.

ამ დროს კი წითელი არმია თეთრგვარდიელებს ანადგურებდა, უკან იბრუნებდა წართმეულ ქალაქებს, ხოლო ლენინის ნებისყოფა, ლენინის სიტყვა მილიონობით ადამიანს აღაფრთოვანებდა ზურგსა და ფრონტზე ახალი საგმირო საქმეებისთვის.

უფის ჯერიც დადგა.

კოლჩაკმა იცოდა, რომ უფის დაკარგვა მისთვის მთელი ურალის დაკარგვას ნიშნავდა. იგი მოითხოვდა, ციმბირიდან დამხმარე ძალების მოსვლამდე გაეძლო ქალაქს. მაგრამ უკვე გვიან იყო. მტრის ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლში წითელი არმიის ნაწილები მდინარე ბელაიას მარჯვენა ნაპირზე გადავიდნენ. უფელი მუშები შეუპოვრად, თავდაუზოგავად ეხმარებოდნენ ჩვენს მეომრებს — აწვდიდნენ ნავებსა და ტივებს.

წითელი არმიის ნაწილებმა უფა აიღეს.

ათასობით ადამიანი წითელი დროშებით შეეგება გამარჯვებულებს. მაგრამ ჩვენს სარდლობას კიდევ ერთი ამოცანა ჰქონდა: სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის პირადი განკარგულებით სამხედრო ნაწილს, რომელიც პირველი შეიჭრებოდა უფაში, უნდა ეპოვა ამხანაგ მარგარიტა ვასილის ასულ ფოფანოვას ბავშვები და დაუყოვნებლივ გაეგზავნა მოსკოვში.

უფაში პირველად სახელგანთქმული ჩაპაევის დივიზია შეიჭრა.

ლენინის განკარგულება ზუსტად შესრულდა.

ახალგაზრდა ამხანაგი

მოსკოვს გაზაფხული სწვეოდა. ახალგაზრდა კაცი ქუჩაში მიდიოდა და გუბეებს ფრთხილად უვლიდა გვერდს, უსტვენდა, თან ხალისიანად ფიქრობდა: „რა კარგი რამაა ეს მზე, რამდენ შუქს იძლევა, თანაც სრულიად უფასოდ! არც არავითარი გარჯა გჭირდება, არც მაგნიუმის აბრიალება! დღეიდან ნამდვილად გადავდივარ მზის კმაყოფაზე!“

მოსკოვის ნაადრევი გაზაფხულის მიერ მოძღვნილ ყველა სიკეთეს ახალგაზრდა კაცი სხვანაირად აღიქვამდა: იგი ფოტოგრაფი იყო, მაგრამ უბრალო ფოტოგრაფი კი არა, „ჩვენი ფოტოკორესპონდენტი“, როგორც მისი სურათების ქვეშ მოთავსებული წარწერით იუწყებოდა გაზეთები.

ახლანდელ ფოტოკორესპონდენტებს, ღია ფერის ლაბადებში გამოწყობილ, პეწიან ახალგაზრდებს, რომელთაც მხარზე ტყავის ლამაზ ბუდეში ჩასმული ფოტოაპარატი გადაუკიდებიათ, ალბათ გაეცინებოდათ, რომ ენახათ მისი ლილისფერი გახუნებული ფარდისაგან შეკერილი უცნაური ტანსაცმელი, წითელი რეზინის ძირიანი, უზარმაზარი ნაბდის ჩექმები და, რაც მთავარია, საშუალო ზომის არღნის მსგავსი ფოტოაპარატი.

მაგრამ ახალგაზრდა ალბათ არ დათანხმდებოდა, გაეცვალა მათთვის თავისი აპარატი: მან სწორედ ამ „არღნით“ გადაიღო პირველი საბჭოთა მაისი, პირველი შაბათობა, პირველი დასასვენებელი სახლის გახსნა და ბრძოლაში თეთრგვარდიელებისათვის წართმეული პირველი ტანკი.

დღეს კი გაზეთმა დაავალა, გადაეღო სვერდლოვის უნივერსიტეტში პარტმუშაკთა კრებაზე თავმოყრილი ადამიანები, რომლებიც სოფლად მიდიოდნენ სამუშაოდ.

სვერდლოვის უნივერსიტეტის ვეებერთელა აუდიტორიაში წეკოს ლურჯი ბოლი ტრიალებდა. ყინულჩამომდნარი ფანჯრებიდან უხვად იღვრებოდა შუქი. ამაღლებულ ადგილას წითელ ნაჭერგადაფარებული მაგიდა იდგა, ხოლო კედელზე ყოფილი რუსეთის იმპერიის ვეებერთელა რუკა ეკიდა, რომელზეც პატარა ფერად-ფერადი ალმები იყო დაბნეული.

კრების განსახილველ საკითხს — „სოფლად მუშაობის შესახებ“ — მეტად მშვიდობიანი იერი ჰქონდა, მაგრამ ადამიანებს, რომლებიც აუდიტორიაში იყვნენ თავმოყრილნი, რთული გზა ედოთ წინ, — იმავე დღეს უნდა გამგზავრებულიყვნენ კულაკთა ამბოხებებით მოცულ რაიონებში, გადაელახათ რკინიგზებზე გამეფებული უწესრიგობანი...

ფოტოგრაფი მიტრიალ-მოტრიალდა, ფანჯრის რაფაზე ავიდა, აპარატი პირველ რიგს დაუმიზნა და საკეტი გააჩხაკუნა (გადაიღო სურათი — „უსმენენ მომხსენებელს“).

შემდეგ აპარატი ცოტა ზევით მიმართა და კიდევ გააჩხაკუნა საკეტი (ახლა გადაიღო — „დარბაზის საერთო ხედი“).

ფოტოგრაფი ფუსფუსებდა, უფრო მეტად, ვიდრე ეს „ჩვენს ფოტოკორესპონდენტს“ შეეფერებოდა, მაგრამ მისი ასეთი საქციელი, რასაკვირველია, ახალგაზრდობით აიხსნებოდა, იგი ჯერ ოცი წლისაც არ იქნებოდა.

ორი-სამი სურათის გადაღების შემდეგ ფოტოგრაფმა მოხერხებული ადგილის ძებნა დაიწყო, რათა სურათზე აღებეჭდა რუკასთან საჩვენებელი ჯოხით მდგარი მომხსენებელი. უეცრად პირველ რიგებში ნელი ტაში გაისმა, რასაც შემდეგ მჭუხარე, სულ უფრო და უფრო მზარდი ტაშის გრიალი მოჰყვა.

„ჩვენი ფოტოკორესპონდენტი“ დაიბნა — მას რაღაც გამოეპარა. მხოლოდ ის დაინახა, რომ ყველა ფეხზე ადგა. ფოტოგრაფი იძულებული გახდა, ფეხისწვერებზე შემდგარიყო, თანაც თავისი სამფეხიანი „არღნის“ წონასწორობა დაეცვა. მან თავისუფალი ხელის მოშველიებით, ჩუმი გააფთრებით დაიწყო გზის გაკაფვა.

მიხაკისფერპიჯაკიანმა, ტანმორჩილმა, ჩაფსკვნილმა კაცმა აჩქარებით გაიარა პრეზიდიუმი.

„ჩვენს ფოტოკორესპონდენტს“ გულმა ტოკვა დაუწყო, ხელი სამფეხას მოუჭირა. „ეს ხომ ლენინია!“ — კინაღამ წამოიძახა ხმამაღლა.

ლენინი მისგან ათი ნაბიჯის დაშორებით იჯდა და თვალმოჭუტული გაჰყურებდა აბობოქრებულ დარბაზს, თანაც მაღალ შუბლზე ისვამდა ხელს.

„ღმერთო ჩემო, — ფიქრობდა აღელვებული ფოტოგრაფი. — ეს ხომ ნამდვილი ლენინია! ვლადიმერ ილიას ძე... როგორი კაცია!.. რა განათებაა! რა შემთხვევაა!“

შემთხვევა კი საჭირბოროტო, ფრიად საჭირბოროტო იყო. ვლადიმერ ილიას ძეს სურათის გადაღება არ უყვარდა და იშვიათად თუ ვინმეს აძლევდა ამის ნებას. ბევრი ამის გამო პირში ჩალაგამოვლებული დარჩენილა.

შარშან გაზაფხულზე — ეს „ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმაც“ იცოდა— საპირველმაისო შაბათობაზე, კრემლში, ლენინმა მკვახედ უთხრა ფოტოგრა-

ფებს: „ეს რა კომედიაა? მე აქ სამუშაოდ მოვედი და არა სურათის გადასაღებად!“

მაშინ ეშმაკობას მიმართეს. კრემლის კურსანტების სკოლის კომისარი, რომელიც ლენინთან ერთად მუშაობდა, წუთით შეჩერდა, თითქოს დასასვენებლად, და ამ დროს ლენინსაც მისდა შეუმჩნევლად, ფრთხილად გადაუღეს სურათი. აი, რა გზით შემორჩა მსოფლიოს სურათი, რომელიც ლენინს კრემლის შაბათობაზე მუშაობის დროს გადაუღეს.

— სიტყვა ეძლევა ამხანაგ ლენინს, — წარმოთქვა თავმჯდომარემ.

ერთი საათის შემდეგ ლენინი აუდიტორიიდან გამოვიდა. მას მოჰყვებოდნენ მაღალი სამხედრო პირი — კრების თავმჯდომარე და პრეზიდიუმის წევრები. მათთან ლაპარაკის დროს ლენინმა კეპი დაიხურა. შემთხვევით მისი ყურადღება შორიახლოს მდგომმა ადამიანმა მიიქცია. ამ კაცმა რამდენჯერმე უხერხულად, გაუბედავად გაიწ-გამოიწია, თითქოს სურდა ჩამოფარებოდა სამფეხას, რომელზედაც დიდი შავი ყუთი იდგა.

ვლადიმერ ილიას ძემ თვალები მოჭუტა, შავ ყუთს შეხედა და დაუფარავი უკმაყოფილებით თქვა:

— აჰა, მომილოცნია! აქაც გადაღებაა?! არა, გეთაყვა, დამეხსენით!

ესეც ასე! შეგიძლია წახვიდე!

მაგრამ „ჩვენი ფოტოკორესპონდენტი“ არ მიდიოდა. ყველასთვის მოულოდნელად მან ათრთოლებული, ჩახრინწული ხმით წარმოთქვა:

— ამხანაგო ლენინ! თქვენი სურათები მთელს რესპუბლიკას სჭირდება... პირადად მე კი არა!..

— ჰმ... აი თურმე რა ყოფილა! — ირონიულად შენიშნა ვლადიმერ ილიას ძემ.

ამ დროს „ჩვენს ფოტოკორესპონდენტს“ დამცველებიც გამოუჩნდნენ. ყველამ სთხოვა ლენინს მათთან ერთად გადაეღო სურათი.

— თუ ერთად გადავიღებთ... კეთილი! — ყოყმანით წარმოთქვა ლენინმა.

„ჩვენი ფოტოკორესპონდენტი“ დაფაცურდა, სამფეხას გაშლისა და აპარატის გამართვის დროს ზედმეტად მოძრაობდა და სულ ბუტბუტებდა:

— ერთი წამი!.. მე ახლავე! ერთი წამი!..

ჯგუფის დაყენება არც თუ ისე იოლი საქმე გამოდგა. ყველას სურდა

ლენინთან ახლოს მდგარიყო და შეუმჩნევლად განზე სწევდა მეზობელს. ლენინი მოთმინებით იცდიდა.

ბოლოს ყველაფერი მზად იყო სურათის გადასაღებად. ფოტოგრაფმა შავი ქსოვილი წამოიფარა და დაიწყო აპარატის მომარჯვება. „ერთი წამი! — ისმოდა მისი ბუტბუტი, — ახლავე ჩავდებ კასეტს... და ერთ წამში გადაგიღებთ!“

აპარატის წინ ყველამ საზეიმო გამომეტყველება მიიღო, გაქვავდა; მხოლოდ ვლადიმერ ილიას ძეს უთამაშებდა თვალებში ეშმაკური ნაპერწკალი.

უეცრად ყველამ შენიშნა, რომ ფოტოგრაფს უცნაური რამ ემართებოდა. მან გამწარებით მოიგლიჯა გადასაფარებელი, რაღაც თუნუქის ჩარჩო დააგდო და თავზე იტაცა ხელი. ხალხი გაკვირვებით და შეშფოთებით შეჰყურებდა. ლენინი სწრაფად მივიდა მასთან:

— რა მოგივიდათ, ამხანაგო? ცუდადა ხართ?

— ცუდად! — მიკნავებული ხმით მიუგო ფოტოგრაფმა. — ვერ მოვასწარი კასეტებში ფირფიტის ხელახლა ჩადება!.. არა მაქვს მზა კასეტები!

მას უღონოდ ჩამოეშვა ხელები და მოხრილი იდგა თავის „არღანთან“. უხეირო პარსვის დროს დაკაწრული ყბა უძაგძაგებდა. ფოტოგრაფმა იცოდა, რომ არავინ აპატიებდა მას — უბედურს და ბედუკულმართს, რომ ეს საოცარი, განუმეორებელი შემთხვევა ხელიდან გაუშვა.

— რა გაეწყობა, ამხანაგებო, — თქვა მაღალმა სამხედრომ, თან დიდი წითელვარსკვლავიანი ჯარისკაცური ქუდი დაიხურა. — როგორც იტყვიან, რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო დაშვებულ იქნა სამწუხარო შეცდომა... ნუღარ დავაყოვნებთ ვლადიმერ ილიას ძეს!

მაგრამ ლენინს, რომელიც თვალს არ აშორებდა ფოტოგრაფს, თითქოს არც შეუმჩნევია, რა მოხდა. ჟილეტის ჯიბიდან თასმიანი საათი ამოიღო, დახედა და ახალგაზრდას ჰკითხა:

— რამდენი დრო დაგჭირდებათ კასეტების გასამზადებლად?

— მე?.. ათი წუთი, — ენის ბორძიკით უპასუხა „ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა“ და მოყვითალო გაფითრებული სახე ვარდისფრად შეეფაკლა.

— ათი წუთი მე კიდევ ვისაუბრებ ამხანაგებთან, — მშვიდად წარმოთქვა ლენინმა.

ფოტოგრაფმა ხელი დაავლო ცარიელ კასეტებს, ფირფიტების კოლოფს და გაიქცა, ვეება თექის ჩექმებიან ფეხებს უხეიროდ ისროდა მაღლა.

ფოტოგრაფი აწყვეტილი ცხენივით მირბოდა გრძელ დერეფანში, ხან ერთ, ხან მეორე აუდიტორიის კარში იჭრებოდა და ისევ განაგრძობდა სირბილს. მას სჭირდებოდა ბნელი ოთახი, სრულიად ბნელი ოთახი, ხოლო მზე, რომლის კმაყოფაზეც ფოტოგრაფი იმ დღიდან გადავიდა, უხვად აფრქვევდა თვალისმომჭრელ შუქს.

ფოტოგრაფი კიბეზე ახტა და გაქანდა ზევით, პირით ისუნთქავდა ცხელ ჰაერს. მზის მოლიცლიცე ათინათები კი ყველგან წვდებოდა. გული ამოვარდნაზე ჰქონდა, როცა ზედა სართულს მიაღწია. იქ კიბის ბაქანზე ხის დიდი ყუთი დაინახა.

ერთი წამითაც არ დაფიქრებულა, „ჩვენმა კორესპონდენტმა“ სახურავი ახადა ყუთს. შიგ მახრჩობელა გველებივით დაკლაკნილი მსხვილი შლანგები ეწყო. ყუთიდან რეზინის შემხუთავი სუნი ამოვარდა. ფოტოგრაფი ყუთში ჩახტა. სახურავი თავზე დაეცა, მაგრამ ტკივილი არ უგრძვნია.

იგი ოთხად მოიკაკვა (აი, თურმე რას ნიშნავს ეს გავრცელებული გამოთქმა!), სწრაფად გახსნა ფირფიტებიანი კოლოფი, ხელი წაავლო კასეტს, მაგრამ სასოწარკვეთილმა კოლოფი უმალვე უბეში ამოიდო: წმინდა, პირდაპირი სხივი აქაც შემოჭრილიყო პაწაწკინტელა ჭუჭრუტანიდან.

ახლოს გაიარა ქალმა, რომელსაც ხელში ცოცხი ეჭირა, ალბათ, დამლაგებელი იყო. უცბად ქალმა შეჰკივლა და ცოცხს ხელი უშვა. ყუთიდან კაცმა ამოყო თავი, ცხვირი დააცემინა, ტუჩები მოილოკა და ჩახრინწული ხმით ქალს უთხრა:

— ამხანაგო, ეს მე ვარ!.. ერთი წამი!.. გთხოვთ... დაჯექით ყუთის სახურავზე... აქ ჭუჭრუტანაა, შუქი შემოდის!..

ქალი გაშტერებული უცქეროდა.

— ამხანაგო, გევედრებით, დაჯექით!..

ქალი დაჯდა ყუთზე, თან ფიქრობდა — ეს რა ამბავია, ხომ არ დავკეტო ყუთი და კომენდანტს ხომ არ დავუძახოო.

ყუთიდან ჩხაკა-ჩხუკი და ქშენა აღწევდა, შემდეგ ყრუდ გაისმა:

— დეიდა, ახადეთ სახურავი, ვიგუდები!

ქალი ადგა. გაოფლიანებული, დამტვერილი, სახეგაბრწყინებული ფოტოგრაფი ზამბარიანი სათამაშოსავით ამოხტა ყუთიდან.

— ნამდვილი წყვდიადი იყო! — წამოიძახა მან. — გმადლობთ, დეიდა, — უთხრა ქალს და სამ-სამ საფეხურზე ხტომით დაეშვა კიბეზე.

ხეებს მზისკენ აეშვირათ ჯერ კიდევ გაუმთბარი, შიშველი, ყავისფერი ტოტები. ბულვარებზე აქა-იქ გროვებად იდო ნაცრისფერი, ღრუბელივით ფოროვანი თოვლი. ქარი კედლებიდან ჩამოგლეჯილ აფიშებს აფრიალებდა. წყალსადინარი მილებიდან ცვიოდა მომწვანო ყინულის ნამტვრევები. მოსკო-

ვის გამოზაფხულებულ ქუჩებს ყმაწვილი კაცი მიჰყვებოდა. ხანდახან ჩერდებოდა, შლიდა ხელებს და იღიმებოდა. გამვლელები გაკვირვებით შესცქეროდნენ მას.

შინ უფრო ციოდა, ვიდრე გარეთ. ცივ სამზარეულოში, რომლის ფანჯარაზე ფანერი აეკრათ, ბათქაში ლხვებოდა, რაც ჯერ-ჯერობით გაზაფხულის დადგომის ერთადერთი ნიშანი იყო.

ახალგაზრდამ სიბნელეში მიაგნო ჩამრთველს და ლალისფერ-წითელი ნათურა აანთო. აქ იყო მისი ფოტოლაბორატორია.

ღია ფერის ლაბადიან ფოტოკორესპონდენტებს, რომელთაც მხარზე ტყავის ლამაზ ბუდეში ჩასმული აპარატები გადაუკიდებიათ, უთუოდ ღიმილს მოჰგვრიდა ასეთი ლაბორატორიის დანახვა. ახალგაზრდა კი ახლა მათ ლაბორატორიაზე არაფრით არ გაცვლიდა თავისას.

მან ტაბურეტზე დადგა ჰატარა აბაზანა, რომელზეც გამოსამჟღავნებელი ესხა და დიდხანს უბერავდა, რომ ოდნავ მაინც შეეთბო. ხელები უკანკალებდა, როცა ფირფიტა სითხეში ჩაიმალა. სკამის წინ ჩამუხლული ფოტოგრაფი ფრთხილად არწევდა აბაზანას, მის ზედაპირზე ლალისფერი ტალღები ლივლივებდა. აი, თეთრ ემულსიაზე გამოჩნდა სურათის შავი ჩრდილები. ფოტოკორესპონდენტმა დაინახა ფართო შუბლი, მოჭუტული თვალების ზემოთ მოხრილი წარბების ნაცნობი მოხაზულობა და აღტაცებული ამღერდა ჩახრინწული ბანით...

დაბეჭდილ სურათებში დილით დიდხანს არჩევდა ყველაზე მკაფიო, გაუფხაჭნავ და დაულაქავ სურათებს. როგორც იქნა, შეარჩია ორი ყველაზე საუკეთესო სურათი... ჩადო კონვერტში, კონვერტი გულმოდგინედ დააწება.

ახლა მხოლოდ მისამართი უნდა დაეწერა.

ის დიდხანს აჩხაკუნებდა ასანთს, რომელიც ძლივს ინთებოდა, შეათბო გაყინული სამელნე, შიგ კალამი ჩააწო და უცებ დაფიქრდა. შემდეგ თავის მონაფიქრზე გაეღიმა და ბეჭდური ასოებით დააწერა „ლენინს!“

მეტი არაფერი უნდა! მისამართი მზადაა!

წერილი ამ მისამართით საფოსტო ყუთში შეიძლება მსოფლიოს ყველა კუთხეში ჩააგდო — კალკუტა იქნება ეს, გრენლანდია თუ კვიპროსის კუნძული, და ადრესატს აუცილებლად მიუვა...

რამდენიმე ხნის შემდეგ „ჩვენს კორესპონდენტს“ უამბეს:

ცნობილმა მხატვარმა, რომელსაც ბედმა არგუნა დაეხატა ლენინის პორტრეტი სახალხო კომისართა საბჭოს კაბინეტში, ერთხელ ვლადიმერ ილიას ძეს

ჰკითხა — ხომ არა გაქვთ ფოტოსურათებიო. ლენინმა უპასუხა, ჩემს სურათებს, ჩვეულებრივ, არ ვინახავ, მაგრამ, მგონი, ერთი უნდა მქონდესო...

მან უჯრა გამოაღო, მხატვარს ფაქიზად გახსნილი კონვერტი გაუწოდა და უთხრა:

— ეს სურათი ერთმა ახალგაზრდა ამხანაგმა გადამიღო სვერდლოვის უნივერსიტეტში!

ლენინი ამას ღიმილით ამბობდა. ალბათ, ცარიელი კასეტის ამბავი მოგონდა.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲜᲣᲧᲕᲐᲠᲘ

შუადღისას მონადირეებმა მშვენიერ მყუდრო მდელოს მიაღწიეს. მის ირგვლივ აღმართული ტოტებგადაშლილი არყის ხეები სწორ მწკრივად იდგნენ, თითქოს ადამიანს დაურგავსო. მზის შუქი ძლივს ატანდა ხშირ ფოთლებში და იქ, სადაც მისი სხივები ლიცლიცებდა, ბალახი ზურმუხტისფრად ბრწყინავდა, კრთოდნენ წითელი სამყურები.

წინ მიმავალი მონადირე, რომელსაც იღლიაში ტულის უჩახმახო თოფი ამოეჩარა, შეჩერდა.

— ჩინებული ადგილია! — თქვა და ღრმად შეისუნთქა სამყურების სურნელი. — აი, აქ შევისვენოთ.

მეორე მონადირემ ყურადღებით, გაფაციცებით მოათვალიერა მდელო, გაიღიმა და ჩუმი ხმით, თითქოს ეშინია ვინმე არ დააფრთხოსო, უპასუხა:

— ჩვენ აქ მარტონი როდი ვართ! შეხედეთ!

მართლაც, ისინი აქ მარტონი არ იყვნენ. მახლობლად, არყის ხესთან, ათიოდე წლის გოგონა იჯდა და მათ ნათელი თვალებით შეჰყურებდა. გოგონას წითელი თავსაფარი ჰქონდა მოხვეული, ტანზე გახუნებული სარაფანი, ფეხთ კი ლაფნის ქალამნები ეცვა, ფეხებთან მოწნული ხელკალათა ედგა.

— მოიცათ, — თქვა კეპიანმა მონადირემ. — ზღაპარია თუ სინამდვილე? ეს წითელქუდა ხომ არ არის?

იგი ახლოს მივიდა გოგონასთან:

— შეიძლება ვნახო, რა გაქვს კალათაში?

გოგონამ უხმოდ ასწია ოროვანდის ფოთოლი. კალათაში ორი დიდი ხავსასოკო, მაგარი შავ-შავი არყა-სოკოები, ნაზი ვარდისფერი და ცისფერთავიანი ღვინიოები ეწყო.

— ამას უყურეთ, რა მარჯვე გოგონა ყოფილა! ჩვენ კი რას ვაკეთებთ! ჩანთაცარიელი დავეხეტებით...

— კი მაგრამ, რატომ არ ესროლეთ იმ კურდღელს? — ჰკითხა მეორე

მონადირემ. — პირდაპირ თქვენსკენ გამოხტა! თქვენ კი თოფი დაუშვით...

— ოო, ის კურდღელი ძალიან ლამაზი იყო, — დამნაშავესავით ამოიოხრა კეპიანმა. — გამოხტა ბუჩქებიდან, წამოჯდა და ყურები დაცქვიტა, თითქოს ძეკითხებოდა — სად წავიდე ახლაო... არ შემეძლო მისთვის მესროლა, ვნაბობ... ნიანგი რომ შემხვედროდა... მაშინ კი აუცილებლად ვბეთქავდი! რაო, თქვენთან არიან ნიანგები? — მიუბრუნდა იგი გოგონას და შეიჭმუხნა.

გოგონა დუმდა. მხოლოდ მზისაგან აქერცლილი, ხახვის თავივით მოყავისფრო და პრიალა ცხვირი შეუტოკდა, — თითქოს აგერ-აგერ დაიფრუტუნებსო, მაგრამ თავი შეიკავა და ისევ სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

მეორე მონადირემ ქურთუკი გაიხადა, ჩრდილში გაშალა და შეფიქრიანებულმა თქვა:

— აქ ჩადაბლებული ადგილია... შემოდგომაც კარზეა მომდგარი. უკვე აბლაბუდაც დაფრინავს ჰაერში.

— დაფრინავს და იფრინოს, — გულსწრაფად უპასუხა კეპიანმა მონადირემ.

იგი არყის ხის ქვეშ დაჯდა, მიეყრდნო მის მქრქალ, მოთეთრო ტანს და ბალახს ხელი გადაუსვა, თითქოს მოეფერაო.

— მიწა თბილია, — წყნარად წარმოთქვა და თვალები მოხუჭა. გოგონა ფრთხილად ადევნებდა თვალს კეპიანს. ერთ ხანს მონადირე თითქოს თვლემდა, შემდეგ პაწაწინა გასაღებიანი ჯიბის საათი ამოიღო და მომართა. გოგონამ თავი ოდნავ მიაბრუნა მისკენ, ძალიან უნდოდა გასაღებიანი საათისათვის შეეხედა.

უცებ საათი ზედ გოგონას ყურთან აწიკწიკდა და მოულიტინა.

— აბა რომელი საათია? — საათი ახლა გოგონას თვალწინ აღმოჩნდა.— არ იცი საათის ცნობა? თქვენთან სოფელში აქვს ვინმეს საათი? — ჰკითხა მონადირემ.

— ჩვენ სოფელი კი არა, დაბა გვაქვს! — მკაცრად უპასუხა გოგონამ.

— ოჰო! — მხიარულად გამოეხმაურა მონადირე. — ახლა გვეცოდინება. კი მაგრამ, მგლების არ გეშინია, წითელქუდავ?

ასე თანდათან გაესაუბრნენ ისინი ერთმანეთს.

გამოირკვა, რომ წითელქუდას დაშა ჰქვია, გვარად ცვეტკოვაა, მისი სოფელი აქვეა, ამ ტყის გადაღმა, რომ აქ მგლები არ არის — გლეხებმა ზოგი დახოცეს, ზოგიც დააფრთხეს.

მაგრამ შარშან ზამთარში აქ ერთი ბორიალა დათვი დაეხეტებოდა. შან ზაფხულში ქონი ვერ დააგროვა და ბუნაგში აღარ ჩაწოლილა. ერთხელ, ღამით განაპირა ქოხს მიეპარა. იქ ერთი მოხუცი, სახელად ბეღურა, ცხოვრობდა. მის-

მა მყეფარა ძაღლმა მთელი სოფელი ააფორიაქა. ბაბუა ბეღურა ფეხზე წამოვარდა — ნეტავი რა მოხდაო. მისი დედაბერი პერანგში ჩააფრინდა და უყვირა: არ გაგიშვებ! სად მიხვალ, შე დავარდნილო, ან მხეცი დაგგლეჯს, ან ვინმე ავკაცი გადაგეყრებაო! მოცვივდნენ გლეხები, გამოუდგნენ დათვს, როცა ის ღრმა თოვლში ჩაიფლო, დაეწივნენ და ჩაქოლეს. ბეღურას დედაბერი კი საშველს არავის აძლევდა — დათვის ტყავს მოითხოვდა. დათვი პირველად ჩვენს ქოხთან მოვიდაო!

გოგონამ სიარულში გასცინა ბეღურას კოჭლ დედაბერს, კეპიანი მონადირე გულიანად ხარხარებდა და თავის ამხანაგს გამუდმებით ეკითხებოდა:

— გესმით? რა ყოფილა ეს დედაბერი? კაეი ყოფილა, ნამდვილი კაეი!

შემდეგ სიცილისაგან აცრემლებული თვალები მოიწმინდა და გოგონას ჰკითხა:

— გიყვარს წიგნების კითხვა? მოაქვთ დაბაში წიგნები? სკოლაში თუ გაძლევენ წიგნებს?

თამამი დაშა ცვეტკოვა ამ შეკითხვაზე შეიცვალა, წამწამები ააფახულა, თავი ჩაღუნა და ძლივს გასაგონად წარმოთქვა:

— მე ბევრი ასო ვიცი, მამიკო მაჩვენებს ხოლმე... გამოთქმა კი არ მეხერხება...

— მოიცა, მოიცა, ეს როგორ? რამდენი წლისა ხარ?

— ცხრისა... მეათეში ვარ!

— მერედა, კითხვა არ იცი? მაშ, რას გასწავლიან სკოლაში?

— ჩვენ სკოლა არა გვაქვს... — გოგონამ ლოყა დიდივით ნაღვლიანად დააყრდნო მუშტზე. — რამდენჯერ ითხოვეს ჩვენმა გლეხებმა, რომ სკოლა აეგოთ. ჩემი მამაც ბევრჯერ იყო ამისათვის ქალაქში. მამაჩემი ღარიბთა კომიტეტის თავმჯდომარეა, — დაუმატა სიამაყით. — სულ იმას ითხოვდა, მასწავლებელი დაენიშნათ, ან ქალი, ან ვინმე კარგი ახალგაზრდა კაცი, რომ ქოხებში მაინც ესწავლებინათ წერა-კითხვა... ყველას უნდა სწავლა... გოგოებსაც უნდათ ისწავლონ, რომ გათხოვებისას ბრიყვები არ იყვნენ... ზამთრობით, როცა მოყინავს, ზოგი ბიჭი ლიპოვკაში დადის... ჩვიდმეტი ვერსია იქამდე. გაზაფხულზე და შემოდგომაზე კი სახლებში სხედან, გზები არ ვარგა...

— მაშ, თქვენთან ყველა ბავშვი წერა-კითხვის უცოდინარია? — მონადირე წამოდგა. — გაიგონეთ? ახლავე ზუსტად უნდა გავიგოთ მისამართი, თემი, მაზრა...

— ეგ მეც ვიცი, — წყენით თქვა დაშამ, — პატარა ხომ არა ვარ!

მონადირემ ჯიბიდან უბის წიგნაკი და ლითონის ბუნიკიანი ფანქარი ამოიღო. გოგონა თვალს არ აშორებდა ფანქარს, უცქეროდა როგორ სწრაფად და-

სრიალებდა მისი წამახვილებული წვერი ქაღალდზე და როგორ გამოჰყავდა პაწაწინა ასოები.

— სათამაშო ჯარისკაცებივით გარბიან! — აღტაცებით წამოიძახა მან. — ფანქარიც რა ლამაზია!

მონადირემ წიგნაკი შეინახა, მას ისევ უღიმოდა თვალები.

— მოგწონს? — ჰკითხა გოგონას და ფანქარი გაუწოდა. ბავშვს სახე წამოენთო, ყურებიც კი გაუწითლდა.

— მე? სამუდამოდ? თავის ბუნიკიანად?

— ჰო, სამუდამოდ! ბუნიკიანად! გამომართვი, გამომართვი, — უპასუხა მონადირემ და ხელში ჩაუდო ფანქარი. შემდეგ ამხანაგს მიუბრუნდა: — გესმით? ცხადია, საქმეს მაზრის ბიუროკრატები აჭიანურებენ. საკმარისი იყო მხოლოდ წამოეწყოთ და.... უეჭველია, გლეხები ხალისით დაეხმარებოდნენ!

მონადირე ადგა, ხმელი ბალახის ღეროები ჩამოიბერტყა. მისი ამხანაგიც წამოდგა, ტყაპუჭის ჩაცმას შეუდგა. ამხანაგს კარგად ჰყავდა შესწავლილი თავისი თანამგზავრი და იცოდა, რომ ახლა იგი მოსასვენებლად, სანადიროდ ვერ მოიცლიდა...

— მაშ ასე, — თქვა კეპიანმა მონადირემ. — წავიდეთ, დროა! — მან ფრთხილად მოქაჩა გოგონას თავსაფრის ბოლო, — ნახვამდის, წითელქუდავ, შორს მარტო ნუ ივლი ხოლმე.

მონადირეები უკვე თვალს მიეფარნენ, გოგონა კი ისევ არყის ხესთან იდგა და ფანქარს დასცქეროდა. ასეთი ფანქარი, ისიც ასეთი ლამაზბუნიკიანი, მის სოფელში არავის უნახავს. თუ ვინმეს ნალევა ფანქარი ჰქონდა, იმასაც ძალიან უფრთხილდებოდა.

ბოლოს თითქოს გამოიღვიძაო, კალათას ხელი დაავლო და მოკლე ბილიკით შინისაკენ მოკურცხლა. მოთმინება არ ჰყოფნიდა — უნდოდა, რაც შეიძლება მალე მოეწონებინა თავი ძვირფასი საჩუქრით.

შინაურები ყველანი სახლში დახვდნენ. დაშას მამა ეგნატე ცვეტკოვი ჩექმას აკერებდა, დედა და ბებია ძაფს ართავდნენ.

— ნახეთ, როგორი სოკო ვიპოვე! — ზღურბლიდანვე დაიძახა დაშამ.

— აბა, გვიჩვენე!

ვიდრე მამა ფანქარს ათვალიერებდა, დაშა მოჰყვა, როგორ შეხვდა მონადირეს, რომელმაც წითელქუდა დაარქვა, როგორ იჯდა მის გვერდით არყის ძირში, როგორ დაპირდა, სკოლის შესახებ ვიზრუნებო.

— უეჭველად, ვიღაც პასუხისმგებელ პირს გადმოუხვევია გასართობად,— თქვა ეგნატე ცვეტკოვმა.

— ეტყობა, კაი კაცი ყოფილა, — შენიშნა დედამ. — ხედავ, დაუსაჩუქ-

რებია! ქუჩაში არ გაიტანო, დაშა, ბიჭები წაგართმევენ! მომეცი, სკივრში შევინახავ. იქნებ სკოლაში გეღირსოს წასვლა, გამოგადგება!

ამით დამთავრდა ყველაფერი. გავიდა ერთი კვირა. დადგა ახალი კვირა. დღე. დღისით, როცა ცვეტკოვები სადილად სხდებოდნენ, დერეფანში ფეხის ხმა გაისმა.

— ძია ეგნატე! — დაიძახა აქლოშინებულმა, ფეხშიშველა ბიჭუნამ. — კომიტეტში გეძახიან... მოსკოვიდან კომისარი ჩამოვიდა... პორტფელიანია...

დიასახლისი გაჯავრებით შებრუნდა მისკენ:

— რა გაყვირებს, ტყეში ხომ არა ხარ? გვესმის, კი არ დავყრუებულვართ! რა ამბავია! ადამიანს ჭამასაც კი არ აცლიან!

ეგნატე მაგიდიდან წამოდგა, წვერებზე ხელი ჩამოისვა და ხალათი გაისწორა.

— გეყოფა, გეყოფა, დედაკაცო, ნუ ბუზღუნებ... ხომ იცი, სახელმწიფო საქმეა... სახელმწიფო საქმემ კი დრო არ იცის...

კომიტეტის ქოხთან საზიდარი იდგა. მის გარშემო ხალხს მოეყარა თავი. ჯარისკაცის უსამხრეებო მაზარაში გამოწყობილი კაცი, რომელსაც მრგვალი კეპი ეხურა, ცვეტკოვს გულთბილად მიესალმა:

— თქვენ ხართ ღარიბთა კომიტეტის თავმჯდომარე? მე განათლების სახალხო კომისარიატის ინსტრუქტორი ვარ.

— შემობრძანდით, თუ შეიძლება! — უპასუხა ცვეტკოვმა და კარი გააღო.

„ეს რაღაც უცნაური ინსტრუქტორია. მგონი, ასეთი კაცი ჩვენთან თავის დღეში არ ყოფილა", — გაიფიქრა მან.

ინსტრუქტორი მოკლედ ესაუბრა კომიტეტის საქმეებზე, შემდეგ პორტფელიდან ბეჭედდასმული ქაღალდი ამოიღო. ეგნატე ცვეტკოვმა შიშით გადახედა, ნეტავი რა უნდა იყოსო?! წინათ, მეფის დროს, როცა ბეჭდიანი ქაღალდი შოვიდოდა, ყველა მხოლოდ და მხოლოდ უბედურებას ელოდა. ახლა სხვა ხელისუფლება იყო, საკუთარი ხელისუფლება, მაგრამ ქაღალდის წინაშე შიში მაინც არ გამქრალა. კიდევ ერთი რამ აწუხებდა ცვეტკოვს: წერა-კითხვა არც თუ კარგად იცოდა, ვაი-ვაგლახით ისწავლა წერაც და კითხვაც და ხელნაწერს ცუდად არჩევდა.

— მე სკოლის თაობაზე ჩამოვედი, — უთხრა ინსტრუქტორმა. — მაზრის განათლების განყოფილებას ბრძანება გაეგზავნა, თქვენს სოფელში სკოლა უნდა ააგოს... მოგეხსენებათ მძიმე დროა!

ეგნატე ცვეტკოვმა შვებით ამოისუნთქა, თითქოს წყლიდან ამოყვინთაო.

— განა უარზე ვართ... საქმეს, ასე ვთქვათ, მთელი სულითა და გულით

მოვკიდებთ ხელს... მხოლოდ საიდან დავიწყოთ? ნუ გვიწყენთ, ჩვენ დიდი ხანია ვეძებთ გზას, როგორ მოვაბათ თავი ამ საქმეს.

— მათ, ვინც გპირდებოდნენ და არაფერს გიკეთებდნენ, დასჯიან. ამ დღეებში ჩამოვლენ თქვენთან მაზრის განათლების განყოფილებიდან... ხარჯთაღრიცხვას შეადგენენ... და მაშინვე საქმეს შეუდგებით...

ეგნატე ერთ ხანს დუმდა, თითქოს ფიქრობდა, შეიძლება თუ არა, ენდოს კაცი გაგონილსო. შემდეგ დაიწყო ლაპარაკი, ძლივს პოულობდა საჭირო სიტყვებს:

— მაშ, ასე... მაშასადამე, მოსკოვიდან არის განკარგულება... ისე ჩანს, რომ საქმეს მაგრად მოკიდებენ ხელს... მაგრამ ნება მიბოძეთ, გკითხოთ, საქმე ხომ არ შეტრიალდება? სანამ თქვენ აქ ხართ, განათლების განყოფილებაში თანახმანი იქნებიან... მაგრამ როგორც კი წახვალთ, საქმეს ხელს უშვებენ... ყურს არ გააბარტყუნებენ...

ინსტრუქტორს გაეღიმა.

— არა, შიში ნუ გაქვთ! ამის შესახებ ამხანაგი ლენინის პირადი მითითებაა! ამას გარდა, ვალდებული ვართ მოვახსენოთ, როგორ წარიმართება საქმე!

— ბოდიში! — წყნარად უთხრა ეგნატე ცვეტკოვმა. — ეს როგორ გავიგოთ? საიდან იცის ლენინმა ჩვენი, როგორ გითხრათ... მეტად უმნიშვნელო საქმეები?

— ჩვენც დავინტერესდით განათლების სახალხო კომისარიატში, როცა ვლადიმერ ილიას ძის ბარათი მივიღეთ. მივმართეთ ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ კრუპსკაიას და მაშინ გავიგეთ, რომ ვლადიმერ ილიას ძე გასულ კვირა დღეს დასასვენებლად ყოფილა და უნადირნია თქვენს მხარეში. აქ შეხვედრია თქვენი სოფლის რომელიღაც გოგონა და სკოლის ამბავიც მისგან გაუგია...

ცვეტკოვი სულგანაბული უსმენდა ინსტრუქტორს. შუბლს ისრესდა დაკოჟრილი ხელებით, თითქოს რაღაც უნდა გაიხსენოსო. უცებ სკამიდან წამოვარდა და კარისაკენ გაექანა. მთელი სოფლის ქუჩა გაკვირვებით გასცქეროდა დინჯ, წვეროსან ეგნატე ცვეტკოვს, რომელიც პატარა ბიჭივით მირბოდა და გზადაგზა მტვრის კორიანტელს აყენებდა.

სახლში, როგორც ჩანდა, არ ელოდნენ, რომ ეგნატე ისევ მოუსწრებდა სადილს. დიასახლისს მაგიდა აელაგებინა, ბებია ღუმელზე იწვა, დაშა კი ციდალს ეთამაშებოდა. ყველა შეშინებული წამოიჭრა, როცა ქოხში გაოფლიანებული და აქოშინებული ეგნატე შევარდა.

— დაშა! — დაიყვირა მან. — სად არის ფანქარი? ხომ არ დაგიკარგავს?.. იცი თუ არა, რომ თვითონ ლენინი შეგხვედრია? აი, ის მონადირე რომ იყო! სკოლას დაგვიდგამენ... თვით ლენინის ბრძანებაა... დედაკაცო, წარმოგიდგენია!..

მამის ლონიერმა ხელებმა დაშა ჰაერში აიტაცეს.

— დამსვი ძირს! — მკაცრად უთხრა დაშამ.

მას არც გაჰკვირვებია, რომ მონადირე ლენინი აღმოჩნდა. ის ხომ პატარა იყო და სჯეროდა, ზღაპარი ყოველთვის მოგონილი როდია, ზოგჯერ მართლდება კიდეც.

*

და მართლაც, განა ზღაპარს არ ჰგავს ნამდვილი ამბავი იმაზე, თუ როგორ ააგეს სკოლა მოსკოვის მახლობელ სოფელში!

სახალხო კომისრის მდივანი

ძველად იგი მდივნად მუშაობდა ამხანაგ კოლონტაისთან — სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისართან, მსოფლიოში პირველ მინისტრ ქალთან, როგორც ამას უცხოეთის გაზეთები წერდნენ. მისი სამსახურებრივი მოვალეობა ის იყო, რომ დოკუმენტები წაეღო კრემლში, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარესთან ხელმოსაწერად. ამისათვის მისცეს მუშურ-გლეხური მთავრობის შენობაში შესასვლელი მუდმივი საშვი.

როცა ალექსანდრა მიხეილის ასულმა კოლონტაიმ დაავალა, ხელმოსაწერი საბუთები ლენინთან მიიტანეო, იგი პირველად ისე დაიბნა, რომ საქაღალდე ხელიდან გაუვარდა.

კოლონტაის გაეღიმა:

— ნუ ღელავთ, ნუ გეშინიათ, მარია! (სახალხო კომისრის ახალგაზრდა მდივანს ყველა სახელით მიმართავდა.) გაეცნობით ვლადიმერ ილიას ძეს და თვითონ ნახავთ...

ამ სიტყვებმა სულ ააფორიაქა მარია. მაგრამ აი, გავიდა ცოტაოდენი დრო, და ახლა უკვე დარწმუნებით შეეძლო ეთქვა, პირადად ვიცნობ ლენინსო. როცა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში შედიოდა, არასოდეს უგრძვნია, რომ იგი ქაღალდის უბრალო მიმტან-მომტანი, ვიღაც უსახელო, უსახოვნო არსება იყო. იცოდა, რომ „გამარჯობა“ სწორედ მას ეკუთვნოდა, რომ ოთახში, სადაც დიდი საქმეები წყდებოდა, მასაც თავისი პატარა ადგილი ეკავა.

როცა მარია იქ მიდიოდა, მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა: ისე მოემზადებინა ყველაფერი, რომ ლენინს არც ერთი ზედმეტი წუთი არ დაეკარგა. მაგრამ ზოგჯერ, რასაკვირველია, მისდა უნებურად ხანდახან იმაზე მეტ ხანს უხდებოდა ცდა, ვიდრე ვარაუდობდა.

— ა-ა! გამარჯობათ! — ესმოდა ყოველთვის, როცა კაბინეტში შედიოდა. — ერთი წუთით, დაბრძანდით, მე ახლავე...

იჯდა მარია რბილ სავარძელში და მალულად უცქეროდა, რა უჩვეულო

სისწრაფით გამოჰყავდა ლენინს წვრილი ასოები. შემდეგ ათვალიერებდა მაგიდაზე დადებულ უკვე ნაცნობ ნივთებს: რეზინის ბურნუკიან წებოს შუშას, ანბანურ გრძელ წიგნაკს, მაკრატელს, მწვანე შუქფარიან პატარა ლამპას, და უცებ მოულოდნელად შეხტებოდა, როცა გაისმოდა ხმა:

— აბა, მოიტათ თქვენი ქაღალდები!

კრემლიდან სასტუმრო „ნაციონალში“ დაბრუნებისას, სადაც მაშინ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი იყო მოთავსებული, მარია განცდილ წუთებს იგონებდა: ეს ხომ სამახსოვრო, მარად დაუვიწყარი წუთები იყო.

მოსკოვის ქუჩებში მიმავალი მარია არაფრით არ განსხვავდებოდა სხვებისაგან თავისი გახუნებული გიმნასტურით, მრავალ ადგილას დაკერებული მამაკაცის ჩექმებით, მუშამბის გაქერცლილი, გამობერილი პორტფელით. მაგრამ ამ დროს რომ ვინმეს მის თვალებში ჩაეხედა, შეამჩნევდა დაფარულ სიხარულს, იმ ადამიანის სიხარულს, რომელსაც საოცარი, სასიხარულო საიდუმლო აქვს.

•
• •

ამას წინათ, როცა მარია კრემლში იყო, ლენინმა თითქოს მუხლების გასამართავად კაბინეტში გაიარ-გამოიარა, გაიხედა ფანჯარაში; კრემლს ლაქვარდისფერი ცა დაჰყურებდა. სამების კოშკი არაჩვეულებრივად განათებული და ლამაზი ჩანდა.

— ერთი შეხედეთ, — თქვა მან, — რას შვრება ეს ანცი შემოდგომა! როგორი დღე გვაჩუქა.

„ახლა, ალბათ ვლადიმერ ილიას ძე აღარ იტყვის ანცი შემოდგომაო!“— ფიქრობდა მარია, როცა წითელი მოედნის სველ ქვაფენილზე მიაბიჯებდა. ცრიდა, ცა ჯარისკაცის მაზარის მაუდივით რუხი ფერისა იყო.

როგორც ჩანდა, ლენინი უკვე წასასვლელად მოემზადა. იგი მიუჯდა მაგიდას, გახსნა საქაღალდე. დღეს საბედნიეროდ ქაღალდები ცოტა იყო. მათ სწრაფად გადაავლო თვალი და ხელი მოაწერა.

— თქვენ ახლა საით? სამსახურში? — ჰკითხა მარიას, როცა საქაღალდეს უბრუნებდა. — მაშ ჩადით დაბლა, ჩაიცვით და მომიცადეთ! მალე მოვალ! დღეს მე და ამხანაგი კოლონტაი ერთ მიტინგზე გამოვდივართ!

ნარიამ გაკვირვებით შეხედა.

— მე ალექსანდრა მიხეილის ასულს დავპირდი, რომ „ნაციონალში“ გა-

ვუვლიდი, — ღიმილით განუმარტა ვლადიმერ ილიას ძემ. — თქვენც თან წაგიყვანთ!

ორი თუ სამი წუთის შემდეგ ლენინი სწრაფად ეშვებოდა კიბეზე. ქვემოთ მდგარმა მარიამ ნათლად წარმოიდგინა, როგორ შეირბენდა ლენინი შინ და საკიდარიდან პალტოს და კეპს ჩამოხსნიდა.

— თქვენ კიდევ ჩაუცმელი ხართ? — გაკვირვებით ჰკითხა მარიას.

მარიას გამხდარ, ფერწასულ სახეზე ვარდისფერმა გადაჰკრა: მეტად ძნელი იყო მისთვის ამ შეკითხვაზე ერთბაშად გაეცა პასუხი. შემდეგ ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, მარიამ ვერაფრის გაკეთება ვერ მოასწრო: ლენინმა მოიძრო შარფი და მას კისერზე შემოახვია. მარია მხოლოდ ამის შემდეგ მოეგონა და შიშნეულად წარმოთქვა:

— მე არ მცივა... მართლა არ მცივა... იცით, რა ამტანი ვარ!..

— არ ვიცი! — მოკლედ მოუჭრა ლენინმა. — კეთილინებეთ და კარგად მოიხვიეთ შარფი!

მანქანა კრემლის ჭიშკრიდან გავიდა, გზადაგზა შავ ბოლს აფრქვევდა. არც ისე დიდი მოძრაობა იყო, მაგრამ შოფერი სულ აქეთ-იქით იცქირებოდა და მანქანას წამდაუწუმ აყვირებდა. მარია გაუნძრევლად იჯდა, ცდილობდა, რაც შეიძლება ცოტა ადგილი დაეკავებინა. იგი ნერვიულად აწვალებდა შარფის ბოლოებს.

ლენინი ფანჯარაში იცქირებოდა, მერე მარიასკენ შებრუნდა:

— უღმერთოდა ვართ ყველანი საქმით გადატვირთულნი! — უთხრა ისე, თითქოს თავის ფიქრს უპასუხებსო. — გინდა, ვინმეს წერილი მისწერო, მაგრამ ორიოდე სიტყვით კმაყოფილდები... ხანდახან იმის საშუალებაც არაა, ახლოს გავიცნოთ ერთმანეთი... მიამბეთ ცოტა რამ თქვენს შესახებ! — უეცრად დაამთავრა მან.

უამბოს თავის თავზე ცოტა რამ! მარიას მაშინვე მოაგონდა ლენინის სიტყვები. ერთხელ იგი ქალალდებს მოსცილდა, დაღლილი თვალები მოიფშვნიტა და უთხრა:

— გაჟიანურებულია! რა საჭიროა ეს ბელეტრისტიკა! რამდენი დრო იხარჯება, სანამ დასკვნებამდე, პრაქტიკულ წინადადებებამდე მიხვიდოდე! არა, საქმიანი ქალალდებისათვის დეპეშის ენა უნდა შემუშავდეს!

მარია ხშირად იგონებდა ამ სიტყვებს, როცა მის ხელში გავლილი „ბელეტრისტიკის“ ნაკადიდან საქმის არსში ჩაწვდომას ცდილობდა. ახლა გამოადგა მას ეს პატარა გამოცდილება; ლენინს მხოლოდ იმას უამბობდა, რაც მთავარი და გადამწყვეტი იყო მის ცხოვრებაში. მიუხედავად ახალგაზრდობისა, მარიას უკვე ნამდვილი ბიოგრაფია ჰქონდა: რევოლუცია, უკრაინის ფრონტი, პარტი-

ზანული რაზმი, სადაც მასავით ახალგაზრდა ქმართან ერთად იბრძოდა. ახლა ქმარი მოსკოვის ჰოსპიტალშია, მძიმე კონტუზია აქვს და მკურნალობს.

— როცა გამოეწერება, ისიც თქვენსავით გიმნასტურით ივლის! — შეიშმუხნა ლენინი.

რა სიხარულით უპასუხებდა მარია — არა, არ ივლისო, მაგრამ ადამიანისოვის, რომელიც მის გვერდით იჯდა, არ შეიძლებოდა სიცრუე ეთქვა.

მანქანა უკვე სასტუმრო „ნაციონალს“ უახლოვდებოდა. მარიამ ფრთხილად დაიწყო შარფის შემოხსნა, მაგრამ ლენინმა მუქარით დაუქნია თითი:

— არ გაბედოთ! თან ატარეთ!

•
• •

კოლონტაი ორი საათის შემდეგ დაბრუნდა მიტინგიდან და მდივანი გამოიძახა. სიტყვა „გამოიძახა“, რასაკვირველია, პირობითია, რადგან სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისრის კაბინეტი იქვე, სასტუმროს ყოფილ ნომერში იყო მოთავსებული. მარტო კარის გამოღებაღა კმაროდა, რომ შიგ შესულიყავით.

კოლონტაის ხელში დაწებილი კონვერტი ეჭირა.

— ეს სასურსათო სახალხო კომისარიატში წაიღეთ. აუცილებლად ნახეთ ალექსანდრე დიმიტრის ძე და პირადად გადაეცით. — კოლონტაიმ მდივანს წერილი გაუწოდა, ადგა, მივიდა მასთან და განსაკუთრებული ხმით უთხრა:

— ეჰ, მარია, მარია! რომ იცოდეთ, რა გაკვეთილი მივიღე დღეს!

მარია სმენად იქცა: ალბათ, მიტინგზე მოხდა რამე და ამის შესახებ უნდა მითხრას ალექსანდრა მიხეილის ასულმაო. სახალხო კომისარი ხშირად ამახვილებდა თავისი თანამშრომლების ყურადღებას იმ ფაქტებზე, რომლებიც დაფიქრებას მოითხოვდა. ზოგჯერ, თავისუფალ დროს, ემიგრაციისა და რევოლუციური ბრძოლის წლებს იგონებდა; ჰყვებოდა სულ ახლახან განვლილ, მაგრამ უკვე ისტორიად ქცეულ დროის შესახებაც. ერთხელ ისიც მოუყვა, თუ როგორ არ შეუშვა ახოვანმა, დიდწვერა კარისკაცმა სახელმწიფო მზრუნველობის ყოფილ სამინისტროს შენობაში სახალხო კომისრად ახლახან დანიშნული კოლონტაი, როგორ წყევლიდნენ პეტროგრადის საკრებულო ტაძრებში „წყეულ ბოლშევიკ ქალს“.

— არა, არა! — აჩქარებით წარმოთქვა ალექსანდრა მიხეილის ასულმა.— დროს ნუ კარგავთ, მარია! ეს მეტად მნიშვნელოვანი საქმეა, მეტად!

•
• •

კაცი, რომელიც მარიას აუცილებლად უნდა ენახა, ალექსანდრე დიმიტრის ძე ციურუპა გახლდათ. კაბინეტში მისი ნახვა თითქმის შეუძლებელი იყო, მაგრამ მარიას ბედმა გაუღიმა. ციურუპა კიბეზე შეხვდა და პირადად გადასცა წერილი. ციურუპა რაფას მიეყრდნო და კონვერტი გახსნა. მარია უცქეროდა მის ფერმილეულ, გამხდარ, თითქმის გამჭვირვალე ხელებს. სახეც მიმქრალი, შეშუპებული ჰქონდა, დიდ ზრუნვას თავისი დაღი დაესვა ზედ. ცნობილი იყო, რომ რამდენიმე ხნის წინ, სხდომის დამთავრების შემდეგ ციურუპას გული წაუვიდა. ექიმებმა ადვილად დაადგინეს, რომ ეს სისტემატურად ცუდი კვების ბრალი იყო. აი, ასეთი გახლდათ სურსათის ლენინური სახალხო კომისარი, რომელიც არა ერთხელ გაუცოცხავს ლენინს, „სახელმწიფო ქონებისადმი (ე. ი. საკუთარი ჯანმრთელობისადმი) შეუწყნარებელი მოპყრობისათვის“. ლენინმა მდივანს — ფოტიევასაც კი დაავალა თვალყური ედევნებინა, როგორ იკვებებოდა და ისვენებდა სურსათის სახალხო კომისარი ციურუპა, როგორ ასრულებდა იგი ექიმების დარიგებას.

წერილის კითხვისას ციურუპას თანდათან გაუბრწყინდა სახე. მან რამდენჯერმე გაიქნია თავი, მერე გაიღიმა. ბოლოს რაფაზე ქაღალდი გაასწორა, ზედ რამდენიმე სტრიქონი წააწერა და მარიას გაუწოდა.

— მოსკოვს იცნობთ? წადით პირდაპირ ბოლშაია დმიტროვკაზე, მიხაილოვების ყოფილ მაცივარში, და ეს გადაეცით ამხანაგს, რომლის გვარიც აქ დავწერე. სანამ მიხვალთ, დავურეკავ!

ციურუპამ ღიმილით ჩამოართვა ხელი მარიას და გაისტუმრა. მარია ცოტა შეფიქრიანებული გამოვიდა ქუჩაში. აქამდე მან იცოდა ან წარმოდგენა მაინც ჰქონდა, რა დავალებას ასრულებდა. მაგრამ დღევანდელი დავალება გაუგებარი იყო. „მაცივარი! — ფიქრობდა გზაში. — რა შუაშია აქ მაცივარი?“

ტყავის გაცვეთილქურთუკიანმა ამხანაგმა, ვისი გვარიც ბარათზე ეწერა, მარია საწყობში წაიყვანა. შენობაში მართლაც ისე ციოდა, როგორც მაცივარში. გარშემო ყუთები და კოლოფები იდგა, კედლებზე ტანსაცმელი ეკიდა.

საწყობია? ცხადია საწყობია! ეს იყო განსაკუთრებული საწყობი, თავისებური „სასწრაფო დახმარების პუნქტი!“ აქ სასტიკი კონტროლის ქვეშ ინახებოდა მეტად მცირე რაოდენობის ძვირფასი ქონება, რაც გააჩნდა მაშინ უკაცრიელ, ცივ, მშიერ და გატყაულ მოსკოვს. ამ საწყობს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდნენ ხოლმე. ვთქვათ, ლენინის თხოვნით საჭირო იყო თბილად შეემოსათ შორეული ქვეყნიდან ჩამოსული ამხანაგი, ჩამოსული იმ

ქვეყნიდან, სადაც მთელი წელი ზაფხულია; სასწრაფოდ უნდა შეერჩიათ სათანადო კოსტუმი საზღვარგარეთ მიმავალი საბჭოთა დიპლომატისთვის; ახლა სვერდლოვი დარეკავდა: აუცილებლად უნდა გამოინახოს სამი წყვილი კარგი ჩექმა ყრილობის დელეგატებისთვის.

აი, ასეთ საწყობში მივიდა მარია სახალხო კომისრის ციურუპას რეზოლუციით. ტყავისქურთუკიანმა ამხანაგმა საქმიანად, მკაცრად ახედ-დახედა მოსულს, ყუთიდან ქალის მაღალყელიანი, ზონრებიანი ფეხსაცმელი და ბეწვის ქუდი ამოიღო, საკიდრიდან ციყვის ბეწვის ქურქი ჩამოხსნა და უთხრა: ჩაიცვი, მოიზომეო.

ბოლოს, როგორც იქნა, მიხვდა მარია, რა საქმეზედაც იყო მოსული. სიცილის გუნებაზეც კი დადგა. „ღმერთო ჩემო, — გაიფიქრა თავისთვის, — რა და რა დავალების შესრულება არ მიხდება!“

მან ჩაიცვა ჭრაჭუნა ფეხსაცმელი, ქურქი, დაიხურა ქუდი, და ხელების ქნევით, ჩქარი ენერგიული ნაბიჯით გაიარ-გამოიარა, სწორედ ისე, როგორც ალექსანდრა მიხეილის ასულმა კოლონტაიმ იცოდა.

— ქუდი და ფეხსაცმელი კარგი უნდა იყოს. ქურქი კი, თითქოს ვიწროა, — თქვა მან.

მისცეს მეორე ქურქი, ისევ ციყვის ბეწვისა.

— ეს კი მგონი დიდია! — ამოიხვნეშა მარიამ.

— ამხანაგო, ვერ გრძნობთ, რომ ჭირვეულობთ? — პირქუშად ჰკითხა ტყავისქურთუკიანმა. — ეს ქურქი პირდაპირ თქვენს ტანზეა შეკერილი.

— კი მაგრამ ეს ხომ ჩემთვის არ არის! — გაიცინა მარიამ.—ამხანაგმა კოლონტაიმ უნდა ატაროს! ის კი ჩემზე დაბალია და უფრო სქელი! განა მე უკეთესად არ ვიცი!

ტყავისქურთუკიანმა შეაწყვეტინა:

— მაშ, თქვენ ამხანაგ კოლონტაისთვის იზომებთ?!

— აბა ვისთვის? — მხრები აიჩეჩა მარიამ.

მოღუშულ ამხანაგს გაეღიმა. იგი თურმე უფრო ახალგაზრდა იყო, ვიდრე ერთი დანახვით ჩანდა, ამასთან არც ისე პირქუში ყოფილა.

— მაშ ასე, ამხანაგო, — თქვა მან და ისევ ოფიციალური გამომეტყველება მიიღო. — ყოველივე ამას თქვენთვის იზომებთ და არა ამხანაგ კოლონტაისთვის! დიახ, დიახ, თქვენთვის! — დაუმატა ტყავისქურთუკიანმა, როცა მარიას შეშინებული და დაბნეული სახე დაინახა. — აი, აქ წერია! და გთხოვთ ხელი მომიწეროთ...

მთელი გზა ბოლშაია დმიტროვკიდან თითქმის მორბოდა მარია, თან გამობერილ პორტფელს მოაქნევდა. დარწმუნებული იყო, რომ რაღაც გაუგებ-

რობა მოხდა, რაღაც ისე არ გაკეთდა, როგორც საჭირო იყო. ახალი ფეხსაცმელი კი ყოველ ნაბიჯზე ჭრაჭუნებდა; ძვირფას ქურქში და ბეწვის ქუდში მარია ძალიან უხერხულად გრძნობდა თავს, ეგონა, ყველა მას უყურებდა.

ალექსანდრა მიხეილის ასულმა ტაშიც კი შემოჰკრა მის დანახვაზე:

— მარია! საუცხოოა! აბა, შემობრუნდი! დიდებულია! — კოლონტაიმ საათს დახედა. — არ გაიხადოთ, არ გაიხადოთ! ახლავე, როგორცა ხართ, ისე გასწით სახალხო კომისართა საბჭოს სამდივნოში, ლიდია ალექსანდრეს ასულ ფოტიევასთან და უთხარით, ყველაფერი რიგზეა-თქო. სწორედ ასე უთხარით: „ყველაფერი რიგზეა“ და მაშინვე გამობრუნდით...

*
* *

— ამხანაგმა კოლონტაიმ მთხოვა, გადმოგცეთ, რომ ყველაფერი რიგზეა,— უთხრა მარიამ ფოტიევას.

ფოტიევამ თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა და გაიღიმა:

— ერთი წუთით!

ლენინის კაბინეტის კარი ღია დარჩენილიყო და იქიდან უცებ გამოვიდა ვლადიმერ ილიას ძე.

— ერთი შეხედეთ, როგორ უხდება! — წამოიძახა მან მხიარულად და გაკვირვებით. — აი, ახლა კი არავითარი ეჭვი არ არის, რომ ჩვენთან სახალხო კომისრის მდივანია მოსული! გადაეცით ამხანაგ კოლონტაის, რომ ფრიად კმაყოფილი ვარ. ჩემი სახელით უთხარით, თქვენს ქმარზეც იზრუნოს, გესმით, ამხანაგო სახალხო კომისრის მდივანო?

აი, თურმე, რა ყოფილა!

თითქოს გაიელვა და თვალწინ წარმოუდგა მარიას მთელი ეს დღე მოცული სასწრაფო დავალებებით, წერილებით, ბარათებით.

— მე, მე... არ ვიცი... — წყნარად თქვა მარიამ და გაჩუმდა. მას უნდოდა ეთქვა: „მე არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა, ვლადიმერ ილიას ძეო“, მაგრამ ხმა ჩაუწყდა.

დროზე უშველა ოთახში ჯარისკაცის შემოსვლამ, რამაც მდგომარეობიდან გამოიყვანა. ჯარისკაცმა სამხედრო სალამი მისცა ლენინს და პაკეტი გაუწოდა. ვლადიმერ ილიას ძეს მყისვე დაეძაბა სახე, იგი კაბინეტისაკენ შებრუნდა, მაგრამ ერთხელ კიდევ შეხედა სახალხო კომისრის მდივანს და მის თვალებში წამიერი ღიმილი აისახა.

„შარფი! — კინაღამ იყვირა მარიამ. — შარფი!"

შარფი გამობერილ პორტფელში ედო. მარია თავს ნებას არ აძლევდა, ეტარებინა იგი, დაეტოვებინა თავისთვის. შარფი პატრონისთვის უნდა დაებრუნებინა. ახლა მეტად მოხერხებული და საუკეთესო წუთი დაუდგა, მაგრამ ვერ გამოიყენა!

*
* *

— განა მე თვითონ არ ვიყავი ვალდებული გამეკეთებინა ეს? მე პირველს უნდა დამენახა, შემემჩნია!.. არა, არა, მარია, საჭირო არაა ჩემი გამართლება! რატომ უნდა მივჩქმალო საკუთარი შეცდომა!.. ჩვენ ძლიერ, ძლიერ დატვირთულები ვართ, ეს მართალია. ხოლო ის არაადამიანურად, უზომოდ გადატვირთულია, და მაინც ყოველთვის ამჩნევს ყველაფერს!

მარია ჩუმად უსმენდა კოლონტაის, ლოყები ეწვოდა: საჭირო იყო შარფის ამბავიც ეთქვა.

— რა საოცრად გამოხატავს ეს მის ხასიათს! — თქვა კოლონტაიმ და ჩქარი ნაბიჯით გაიარა ოთახში, ისე, როგორც მღელვარების წუთებში სჩვეოდა. შემდეგ მდივნის ახლოს გაჩერდა: — იცით, მე ვიზიარებ თქვენს მღელვარებას! ვეჭვობ, რომ ვლადიმერ ილიას ძეს მეორე შარფი ჰქონდეს!.. სავსებით შესაძლებელია, ახლა უშარფოდ იყოს!

ამ სიტყვებმა გადაწყვიტა ყველაფერი, აიძულა მარია ემოქმედა დაუყოვნებლივ და უყოყმანოდ.

უკვე საღამო იყო, ასე ვთქვათ, არასამუშაო დრო, მაგრამ კრემლში არ იცოდნენ ასეთი დროის არსებობა. მარიამ საშვი წარადგინა და სწრაფად ჩაუარა მისაღებ ოთახს, გასცილდა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტს და დერეფნის ბოლოში შეჩერდა. აქ იყო ლენინის ბინა. ნეტავ ვინ გაუღებს კარს?

კარი ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა გაუღო.

— მე ამხანაგ კოლონტაის მდივანი ვარ! — გაბედულად უთხრა მარიამ.

— თქვენ ვლადიმერ ილიას ძესთან ხართ? — უბრალოდ, შინაურულად ჰკითხა კრუპსკაიამ. — შინ არ არის, მოსკოვის საბჭოშია. შემობრძანდით... გსურთ რაიმე გადასცეთ ვლადიმერ ილიას ძეს?

— არა, გმადლობთ! — აჩქარებით უპასუხა მარიამ. — ესე იგი, ჰო! — მარიას სწრაფად გაუქრა სითამამე. — იქნებ, თქვენ იცით... ვლადიმერ ილიას ძემ

თავისი შარფი მომცა... შეიძლება დავუბრუნო? — მარიას ისევ აუთრთოლდა ხმა. — ხომ ხედავთ, როგორ მაცვია ახლა!

ნადეჟდა კონსტანტინეს ასული მიუხვდა და გაეღიმა:

— კარგით! ვეცდები, შევასრულო თქვენი თხოვნა!

•

ეს ამბავი რამდენიმე წლის შემდეგ გვიამბო ძველმა კომუნისტმა ი. დეშ-ჩენკომ — სახალხო კომისრის ყოფილი მდივნის მარიას მეუღლემ.

ვლადიმერ ილიას ძის შარფი ახლა მისივე სახელობის მუზეუმში ინახება.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲡᲢᲣᲛᲘ

ტელეფონით ლაპარაკი დიდხანს არ გაგრძელებულა; მოსაუბრეებმა იცოდნენ, რას ეხებოდა საქმე.

— იაკობ მიხეილის ძევ! — თქვა კომენდანტმა. — ამხანაგი ჩემთანაა... ველი თქვენს მითითებას!

პასუხმა დაიგვიანა. ეს გასაკვირი იყო, რადგან მან, ვინც კომენდანტს ელაპარაკებოდა, დაყოვნება არ იცოდა.

პასუხის მოლოდინში კომენდანტმა საფერფლედან თითქმის უკვე დამწვარი პაპიროსი აიღო და რამდენიმეჯერ გააბოლა.

— აი, რა! — გაისმა ყურმილში. — გთხოვთ, არსად წახვიდეთ... ელოდეთ ბრძანებას!

კომენდანტი ერთ ხანს ყურმილს უყურებდა, შემდეგ ფრთხილად ჩამოკიდა იგი და გულგრილად თქვა:

— რა გაეწყობა?! დაველოდებით, შეგვიძლია დიდი ხნითაც დაველოდოთ... ასე არ არის?

კითხვა ხანშიშესული სათვალიანი კაცისადმი იყო მიმართული. იგი სკამის კიდეზე იჯდა და ინტერესით იცქირებოდა ალათიან ფანჯარაში, რომელიც კრემლის ეზოს გადაჰყურებდა.

— ყველაფერი, რაც საჭიროა, ხომ თან გაქვთ? — დაფიქრებით ჰკითხა კომენდანტმა. სათვალიანმა ჯიბიდან დახვეული სანტიმეტრი, ნალევა წითელი ფანქარი და დაცრეცილი უბის წიგნაკი ამოიღო.

— ესაა ყველაფერი! მეტი არცაა საჭირო. ზომას ავიღებ და ჩავიწერ, რომ არ დამავიწყდეს. შემდეგ კი, როცა მასალას დავჭრი, მაშინ პირველად დავაზომებ!

— გასაგებია! — წარმოთქვა დაფიქრებულმა კომენდანტმა. — ასჯერ გაზომე, ერთხელ გასჭერიო, ნათქვამია... მაგრამ არ შეიძლება სხვანაირად: ვთქვათ, ერთხელ გაზომო, ერთხელ გამოჭრა და შეკერო?

— მოუზომებლად კერვა ვის გაუგია, — დაბეჯითებით უპასუხა მკერავმა. — მხოლოდ მოზომებისას შეიძლება გავიგოთ, როგორ უნდა შეიკეროს — სად-

დავუდოთ ბამბა, სად გამოვუშვათ, სად დავავიწროვოთ!.. ტანადობაზეც ბევრია დამოკიდებული... ნუ იფიქრებთ, მამაკაცის ტანსაცმლის შეკერვა იოლი იყოს... ზოგიერთი მამაკაცი ქალზე უფრო ჭირვეულია!

— ხომ ხდება ისეც, რომ პირდაპირ ზომის მიხედვით კერავენ? — განაგრძობდა ძიებას კომენდანტი.

— ყველაფერი ხდება, — ორჭოფულად მიუგო მკერავმა, — მაგრამ ეს ხომ კერვა არაა... ერთი მითხარით, ამხანაგო კომენდანტო, ვის უნდა შევუკერო? ბოდიში, მაგრამ თქვენ ეს ჩემთვის არ გითქვამთ!..

კომენდანტმა ჩაახველა. ეტყობოდა, მზად არ ჰქონდა საამისო პასუხი. ჯიბიდან ქისა ამოიღო, თითის სიმსხო პაპიროსი გაახვია და დიდხანს აჩხაკუნა სანთებელა.

დარეკა ტელეფონმა.

კომენდანტი აპარატს მივარდა, მაგრამ ყურმილის აღებისთანავე სახეზე უკმაყოფილება გამოეხატა. მერე განკარგულება გასცა, ესა და ეს ბაქანი განტვირთეთო, თან მუქარით დააყოლა, მოვალ და შევამოწმებო.

— ვატყობ, თქვენი თანამდებობა ყველაფერს მოიცავს! — მოკრძალებით შენიშნა მკერავმა. — ცოტა ხანი ვიარეთ ჭიშკრიდან და რამდენმა ხალხმა მოგმართათ...

კომენდანტი დაეთანხმა. როგორც ჩანდა, ცდილობდა თავაზიანი მასპინძელი ყოფილიყო, მაგრამ არ გამოუდიოდა. ხან სკამიდან წამოხტებოდა და ოთახში დაალაჯებდა, ხან მოუსვენრად უყურებდა კედლის საათს, ამასთან წამდაუწუმ ახვევდა პაპიროსს და აბოლებდა.

ახმიანდა ზარი.

ტელეფონში გაისმა ლითონივით მტკიცე, მკაფიო, ნაცნობი ხმა:

— ამხანაგი კომენდანტია?.. მე და ფელიქს ედმუნდის ძე ახლა ილიჩთან მივდივართ! ათიოდე წუთის შემდეგ მოდით თქვენს ამხანაგთან ერთად! გელოდებით...

ამჯერად კომენდანტმა უცბად დაკიდა ყურმილი და ალმაცერად გადახედა მკერავს. როგორ მოიქცეს? ახლავე უთხრას, თუ, როგორც იტყვიან, უკანასკნელ წუთს?

სანამ ფიქრობდა, საათის დიდი ისარი შეტოკდა, მთელი დანაყოფით წინ გადახტა. კომენდანტი აჩქარდა.

გარეთ მზიანი დარი იდგა, ოდნავ ყინავდა. კომენდანტი და მკერავი ტაძრის გვერდით მიდიოდნენ. ტაძრის გუმბათი, რომელსაც შეთხელებული თოვლის ქუდი ეხურა, მზეზე ბრწყინავდა. როგორც ყველგან, აქაც, კრემლშიაც, ბიჭუნები გუნდაობდნენ. მოდიოდა შეშით დატვირთული ჩვეულებრივი საზიდრები.

— აი, მოვედით... აქვე, ორიოდე ნაბიჯზეა! — კომენდანტი ამას ძალიან მშვიდად, დინჯი ხმით ამბობდა. — ლენინის, ვლადიმერ ილიას ძის კოსტუმი უნდა შევკეროთ... ესე იგი პიჯაკი, შარვალი, ჟილეტი.

— ხუმრობთ?! — ძლივს წარმოთქვა მკერავმა.

— არა, არ ვხუმრობ! მართალს ვამბობ... ნუ ღელავთ... ლენინს საკვებით შესაფერისი ტანადობა აქვს...

— განა მე ტანადობა მაფიქრებს? — აღმოხდა მკერავს. — ეჰ!

კომენდანტმა ხელი მკლავში გაუყარა.

— არ გეწყინოთ... ადრე არ გითხარით, მინდოდა დამშვიდებული ყოფილიყავით... მე ხომ ვიცი... აღელვება კი, ღმერთმანი, არ არის საჭირო... გულახდილად გეუბნებით: ვლადიმერ ილიას ძესთან ყველაფერი უბრალოდაა. არავითარი ცერემონიები არ იცის... მისი ბინაც სასახლე როდია, ჩვეულებრივი უბრალო ბინაა...

— თქვენ თვითონ რაღას ღელავთ, ამხანაგო კომენდანტო?! გგონიათ, ვერ გატყობთ...

კომენდანტი მოიღუშა.

— არ უარვყოფ!.. მეც ვღელავ!.. მხოლოდ სხვა გარემოების გამო... აქ სხვა ამბავია. — იგი უფრო მოიღუშა, რადგან იგრძნო, რომ მის სიტყვებს დამაჯერებლობა აკლდა. — მოყოლის დრო არა მაქვს, გესმით, არა მაქვს...

*
* *

მიხელსონის ქარხანაში ვერაგული თავდასხმის შემდეგ ლენინი უფრო ადრე შეუდგა მუშაობას, ვიდრე ჯანმრთელობა ამის ნებას მისცემდა. ექიმებმა მოთხოვეს, მუშაობა შეეწყვიტა და გორკაში წასულიყო.

ამ შემთხვევით ისარგებლეს და გადაწყვიტეს შეეკეთებინათ ულიანოვების ბინა.

— რამდენადაც მოხერხდეს, გააჭიანურეთ რემონტი, გაიგეთ? — ეუბნებოდა სვერდლოვი კომენდანტს. — შეუძლებელია ასეთი იშვიათი შემთხვევა არ გამოვიყენოთ. დაე, რამდენიმე დღე კიდევ დაჰყოს ჰაერზე...

კომენდანტიც აჭიანურებდა, მაგრამ ძვირად კი უჯდებოდა! პირველ ხანებში გორკასთან სატელეფონო კავშირი არ არსებობდა. კომენდანტსაც ხშირად უხდებოდა ლენინთან წასვლა სხვადასხვა დავალების გამო. ვლადიმერ ილიას ძე ყოველთვის მოუთმენლად ეკითხებოდა, როგორ მიდის ბინის რემონტიო. კომენდანტი ეუბნებოდა, არა უშავს, საქმე წინ მიიწევს, მაგრამ მასალის ნაკლებობა გვაფერხებს, მძიმე დროა, ხან ეს არ არის, ხან ისაო...

როცა ლენინი ცოტათი მომჯობინდა, მოუთმენლობაც გაეზარდა. სულ უფრო და უფრო ძნელი ხდებოდა მასალის ნაკლებობისა და სხვა დაბრკოლებების მომიზეზება. ერთხელ ვლადიმერ ილიას ძემ მკვახედ მოუჭრა კომენდანტს:

— იცით რა, ჩემო კარგო, კმარა! რემონტი დამთავრებულია! ეს უკვე გამოვარკვიე! ხვალ დილით მოსკოვს ვბრუნდები! ასე გადაეცით იაკობ მიხეილის ძეს!.. მე ხომ ვიცი, ვინც გაძლევთ მითითებებს, — დაუმატა მან და კომენდანტს გამგმირავად შეხედა.

კომენდანტი უსმენდა და დამნაშავესავით ახამხამებდა თვალებს. ისეთი დამწუხრებული სახე ჰქონდა, თითქოს სავსებით გრძნობდა თავის დანაშაულს. მაგრამ მას შემდეგ დიდი დრო არ გასულა და მხნედ შეუდგა ახალი „შეთქმულების“ განხორციელებას, რომელსაც კვლავ სვერდლოვი მეთაურობდა. „შეთქმულებაში“ ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკიც იღებდა მონაწილეობას.

დაადგინეს, რომ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ახალი კოსტუმი ესაჭიროებოდა, თვითონ კი სხვა აზრისა იყო.

ლენინს მხოლოდ ორი კოსტუმი ჰქონდა. მას საშინლად სძულდა ყოველგვარი პირადი ქონების დაგროვება და ერთი კაცისათვის ეს ორი კოსტუმიც სავსებით საკმარისად მიაჩნდა. იგი მნიშვნელობას არ აძლევდა იმას, რომ კოსტუმები დიდი ხნის ხმარებით საკმაოდ გაცვდა. კოსტუმები ყოველთვის გაწმენდილი და დაუთოებული ჰქონდა და წესიერადაც გამოიყურებოდა — მეტი რაღა იყო საჭირო?!

ახალი „შეთქმულების“ განსაკუთრებული სიძნელე ის იყო, რომ მისი განხორციელება თვითონ ლენინის საქმეში ჩაურევლად არ შეიძლებოდა. როგორ შედგომოდნენ ამ საქმეს, არც სვერდლოვმა იცოდა და არც ძერჟინსკიმ.

— ყოველ შემთხვევაში ჯერ კრინტი არ დაძრათ! — აფრთხილებდა სვერდლოვი კომენდანტს. — ჩათვალეთ როგორც სამხედრო საიდუმლოება! ვლადიმერ ილიას ძემ რომ ჩვენი განზრახვა გაიგოს, ყველაფერი ჩაიფუშება. მოულოდნელად უნდა მივიტანოთ იერიში, მოხერხებული წუთი შევურჩიოთ.

ასეთი წუთიც დადგა.

* * *

მუშამბაგადაფარებულ, კვადრატულ მაგიდასთან ისხდნენ ძერჟინსკი და სვერდლოვი. ვლადიმერ ილიას ძე ჩვეულებისამებრ ოთახში მიდი-მოდიოდა და გაცხოველებით ყვებოდა რაღაც ამბავს.

— გამარჯობათ, ამხანაგო კომენდანტო! რა მოხდა? — იკითხა მან.

კომენდანტმა სვერდლოვს შეხედა. ალბათ, მეტად გამომეტყველი იყო მისი გამოხედვა, რადგან ლენინი მაშინვე სტუმრებისაკენ შემობრუნდა. იაკობ მიხეილის ძე სვერდლოვი უშფოთველი სახით იჯდა. მხოლოდ სათვალის მინები უბრწყინავდა.

ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკი წიგნს ფურცლავდა, თითქოს არაფერი მომხდარაო. ვლადიმერ ილიას ძემ მოუთმენლობისაგან წარბები შეიკრა.

— იქნებ თქვენ აგვიხსნათ, ამხანაგო კომენდანტო, მოსვლის მიზანი? ეგ ვინღაა, თქვენს ზურგს უკან რომ იშალება?! ისევ რაიმე გამოიგონეთ?!

ოჰ, რა მძიმე, რა უხერხული წუთი იყო! ყოფილმა მეზღვაურმა, რომელიც, როგორც იტყვიან, წარბშეუხრელად აცლიდა იარაღს ყუმბარებით აღჭურვილ ანარქისტებს, აღარ იცოდა, რა ეთქვა. ხელი უნებლიეთ ჯიბეს შეახო, სადაც თამბაქოს ქისა ედო.

— მე მგონია, ჩვენს წინაშეა ამხანაგი, რომელიც ზომის ასაღებადაა მოსული! — ისეთივე მშვიდი გამომეტყველებით წარმოთქვა სვერდლოვმა. — მე რატომღაც ასეთი შთაბეჭდილება შემექმნა.

— ზომის? — გაიკვირვა ლენინმა. — რა ზომა? ვის უნდა აუღონ ზომა?

— თქვენ, ვლადიმერ ილიას ძევ, — ჩაერია ლაპარაკში ძერჟინსკი. — თუ არ ვცდები, ლაპარაკია თქვენს ახალ კოსტუმზე!

— ეს რა არის? შეთქმულება? — ლენინმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.— ისიც თვით სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მონაწილეობით?

ძერჟინსკიმ დარცხვენით დახარა თავი.

— გამოვიწვრთე, ვლადიმერ ილიას ძევ! მე ხომ სულ შეთქმულებებზე ვმუშაობ! შეიძლება ითქვას, სპეციალისტი გავხდი!

— აი, თურმე რა ყოფილა! მეტად ორიგინალურია. — ლენინმა ალმაცერად გადახედა სულგანაბულ „შეთქმულებს". — სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე კი დიპლომატიურად დუმს!.. მაგრამ ნუ გგონიათ, იაკობ მიხეილის ძევ, რომ მე არ ვიცი ზოგიერთი თქვენი ძ-ძ-ძალიან თავისებური იდეა... ან ის, თუ რა გულმოდგინეობას იჩენს თქვენი განზრახვების აღმსრულებელი...

ვლადიმერ ილიას ძის ხმაში გაქირდვა იგრძნობოდა, ეტყობოდა, რომ მართლა ჯავრობდა.

სვერდლოვმა ოდნავ შესამჩნევად შეარხია ხელი და სათვალე მიანათა კომენდანტს. მან სწრაფად გაუგო, ნელა, ვითომ შემთხვევით განზე გადგა და ყველამ დაინახა მის განიერ ზურგს მოფარებული კაცი. იგი თვალებს ჭუტავდა,

თითქოს კაშკაშა სინათლის წინ დგასო, სათვალე გვერდზე მოქცეოდა, თითებით ანგარიშმიუცემლად აწვალებდა სანტიმეტრს.

— გამარჯობათ, ამხანაგო, — უთხრა ლენინმა, მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა. — არ ვიცი, როგორ მოგმართოთ.

— თევდორე... მიხეის ძე... როსლიაკოვი, — დახშული ხმით უპასუხა მკერავმა.

— თევდორე მიხეის ძე? — მეორედ მიმართა ლენინმა. — მაშ, თევდორე მიხეის ძევ, გთხოვთ მომიტევოთ, რომ შეგაწუხეს, თვითონ შემეძლო მოვსულიყავი თქვენთან! — მან „შეთქმულებს" გადახედა, თვალებში მომნუსხავი ნაპერწკალი გაუკრთა. — კარგი, დღეს თქვენ მაჯობეთ, მაგრამ... — ლენინმა ხელი ჩაიქნია. — რას მოითხოვთ ჩემგან?

მკერავმა პირველად შეხედა სახეში თავის არაჩვეულებრივ შემკვეთს, რომლის სახე საკვირველი მშვიდი იყო და ვიწრო, გასაოცრად ცოცხალი თვალების სიღრმეში ღიმილი უკრთოდა. თევდორე მიხეის ძე მიუახლოვდა ლენინს, გაისწორა სათვალე, შეათვალიერა ლენინის კოსტუმი და ფრთხილად გადმოაბრუნა გადანაკეცი.

— თვითონ დარწმუნდით, რა ფერი ჰქონდა ამ ქსოვილს და რა ფერისაა ახლა...

ლენინმა ალმაცერად დახედა გადმობრუნებულ გადანაკეცს.

—ჰმ... — წარმოთქვა ერთგვარად შეცბუნებულმა. — ეს ხომ მხოლოდ მაშინ ჩანს, თუ გადააბრუნებ. გარედან კი მთელი ქსოვილი ერთიანადაა გახუნებული. მგონია ეს მის სიმტკიცეზე გავლენას არ ახდენს... ვფიქრობ, იგი საკვირველი დამაკმაყოფილებელია.

— არაა დამაკმაყოფილებელი, — უკვე უფრო გაბედულად უთხრა მკერავმა. — რასაკვირველია, ჩანს, რომ კარგად უვლით, მაგრამ ყოველი ნიეთი მწყობრიდან გამოდის! — მკერავის ხმა მკაცრადაც კი გაისმა. — ასე რომ, ახალი კოსტუმი აუცილებლად გჭირდებათ... მე მგონი, ამაზე არ ვიკამათებთ!..

კომენდანტი აღტაცებით შეჰყურებდა საკვირველიან ჩია მკერავს, რომელიც ასე დინჯად და მტკიცედ მოქმედებდა. სვერდლოვი და ძერჟინსკი ყურადღებით შესცქეროდნენ მკერავს. იგი ოსტატურად ხმარობდა სანტიმეტრს და თავის გაცვეთილ უბის წიგნაკში რაღაცას ინიშნავდა. ვლადიმერ ილიას ძე მორჩილად ტრიალებდა მის წინ, ხელებს მაღლა წევდა, დგამდა ნაბიჯებს.

— დღეს კმარა! — მკერავმა მარდად დაიწყო სანტიმეტრის დახვევა. — ვფიქრობ, ვლადიმერ ილიას ძევ, — (რა უბრალოდ და ადვილად გამოუვიდა ეს მიმართვა!) — ვფიქრობ, რომ ერთი მოზომების მეტი არ დაგჭირდებათ;

ცდას არ დავაკლებთ... მართალია, მაუდი პირველხარისხოვანი არ არის, ცოტა უხეშია, მაგრამ კოსტუმს შესაფერისს შევკერავთ...

— მაუდი... — გაიმეორა ლენინმა, თითქოს ყურს უგდებდა, როგორ ჟღერს ეს სიტყვაო, და უცბად მიუბრუნდა კომენდანტს: — ვერ გამაგებინებთ, საიდან გაჩნდა მაუდი?! რა თანხებითაა შეძენილი?!

კომენდანტი წინ წარდგა.

— ვლადიმერ ილიას ძევ! აი... დამიჯერეთ! თქვენ თვითონ ხართ საქმის კურსში. ფართალს ათ-ათ არშინს არიგებდნენ პროფკავშირის ყოველ წევრზე. ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს და მარია ილიას ასულს შევუთანხმდით: ფართლის მაგიერ ერთი საკოსტუმე ავიღეთ... ფასში კი ვიზარალეთ! ხომ მოისმინეთ, მაუდი პირველხარისხოვანი არააო. სამართლიანობა მოითხოვდა, ცოტა ფართალიც დაგვეტოვებინა, მაგრამ ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა არამც და არამცო... ვერას გავხდით!..

ლენინი ისე უსმენდა, თითქოს ფიქრობდა, დავუჯერო თუ არაო.

— მხედველობაში იქონიეთ, რომ ყველაფერს მკაცრად შევამოწმებ! და თუ ყველაფერი ასე არ არის, ვაი თქვენი ბრალი! თქვენ ისედაც შემჩნეული მყავხართ...

— ვლადიმერ ილიას ძევ! — მხურვალედ წამოიძახა კომენდანტმა. — მე...

ლენინი თვალებმოჭუტული უცქეროდა მას, და უცებ გადაიხარხარა ისე, როგორც მას სჩვეოდა — მხიარულად, ლაღად, თავშეუკავებლად...

— მაშ, გამოდის, რომ თქვენ მთელი ჩემი ოჯახი ჩააბით შეთქმულებაში... — ამბობდა და ხელისგულით იწმენდდა თვალებს. — იცით რა... ეჰ, სიტყვები არ მყოფნის!..

•
• •

კომენდანტი ბავშვივით იქცეოდა. იგი სტვენით მიდიოდა, ახტებოდა თოვლით დაფარულ მორებს, ყვავებს ნაფოტებს ესროდა. მერე უცებ გაახსენდა, რომ დიდი ხანია მოწევა უნდოდა და არც გაჩერებულა, ისე გაახვია რაღაც განსაკუთრებული მოყვანილობის პაპიროსი.

— ახლა ყველაფერი გარკვეულია, — უთხრა თანამგზავრს და თამბაქოს ბოლი სიამოვნებით გამოუშვა ცხვირიდან. — როგორც კი კოსტუმი გასასინჯად მზად იქნება, მაშინვე დავურეკავ ილიჩს. დარწმუნებული იყავით, რომ ამჯერად გამონახავს დროს, რადგან დაგვპირდა...

თანამგზავრი ხმას არ იღებდა, მიდიოდა და წინ იცქირებოდა. კომენდანტმა ღიმილით შეხედა:

— აი, როგორ ხდება ცხოვრებაში! განა იფიქრებდით, რომ შეთქმულების მონაწილე გახდებოდით?! ხომ არ შეშინდით?

მკერავი შეჩერდა. მოძველებული სათვალიდან მომზირალი თვალები უბრწყინავდა.

— შევშინდი? არა, ეს ის სიტყვა არაა! ამჯერად არ გამოგვადგება! — მისი ხმა მხიარულად ჟღერდა. — დღეს ადამიანად ვიგრძენი თავი!.. ადამიანად!

საიდუმლოება

...ჩვენ არც ისე შორსა ვართ დედაქალაქიდან, გზაც ახლო გადის, მაგრამ უცხო კაცს იშვიათად შეხვდებით. ირგვლივ ტყეა, სიწყნარე, ხანდახან თუ გაიგონებ საყვირის ხმას სადგურიდან.

და უცებ, სულ რომ არ მოველოდით, მოსკოვიდან სტუმრები ჩამოვიდნენ. გუშინდელივით მახსოვს — გზიდან მანქანის ხმა მოგვესმა. მე და ჩემი ბებრუხანა ამ დროს სამხრად ვემზადებოდით. გამოვედი, რომ მენახა, ვინ ჩამოვიდა.

ვხედავ: მანქანასთან კაცი დგას, იღიმება:

— გამარჯობა, ძია კუზმა! როგორა ხარ, რასა იქმ? კარგა ხანია ერთმანეთი აღარ გვინახავს!

ჩავაცქერდი — ეს ხომ ჩემი მოსკოველი ძმისწულია!

— გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს, — ვეუბნები. — დაგავიწყდა განა ბიძაშენი, სად დაიკარგე!..

— დროს ვერ ვშოულობ, კუზმა ძია, ხომ იცი სამსახურის ამბავი! ახლა კი ხედავ, მოვედი... სტუმარიც მოგიყვანე.

მანქანიდან სტუმარი გადმოდის. ტანზე ჯუბა აცვია, ყურებიანი ქუდი ჰხურავს, ხელში თოფი უჭირავს; მისი სახე მეცნობა.

— თითქოს სადღაც შევხვედრივართ, — ვეუბნები სტუმარს, — ხოლო სად, ვერ მომიგონებია.

— არა უშავს! ვინც კი ოდესმე შეგხვედრია, ყველას ხომ ვერ დაიმახსოვრებ! მოდით, გავიცნოთ ერთმანეთი! ლენინი! — მეუბნება მოსული.

ერთბაშად ვერც კი ჩავწვდი მის ნათქვამს! შემდეგ ერთი-ორჯერ შევხედე, დავაკვირდი: ეს ხომ ნამდვილად ლენინია! სადგურის უფროსთან მინახავს მისი სურათი, სიტყვას რომ ამბობს. „ვაი, სირცხვილო, — გავიფიქრე, — ეს რა მომივიდა! როგორ ვუთხარი, სადღაც მინახიხართ, მაგრამ ვერ მომიგონებია-მეთქი!“

— კუზმა თომას ძევ! მიიღე სტუმარი!

ამას ძმისწული მეუბნება. ლენინი კი აჩერებს:

— თუ ხათრი გაქვთ, ნურაფერზე შეწუხდებით. მე არაფერი მინდა. აი, სანადირო წასვლა კი, სულ სხვა ამბავია.

იგი ლაპარაკობდა მშვიდად, თავაზიანად. მეც უფრო თავისუფლად ვიგრძენი თავი. რაც შეეხება ნადირობას, ეს ხომ ჩემი საყვარელი საქმე იყო.

— ნადირობა ახლა შეიძლება, — ვუთხარი მე. — ერთ-ორ როჭოს მოვინადირებთ! კურდღლებზე ნადირობაც დროულია. ძაღლი არც გვინდა... ჯერ კი ქოხში შემობრძანდით, ნუ დაგვძრახავთ, ტყეში ვცხოვრობთ! ვიწროდა ვართ, სიბნელეში — ქოხი ხუხულასავითაა... ნუ დამემდურებით, თუ რამე ისე არ იქნა...

ძმისწულმა ალმაცერად გადმომხედა, წარბები შეიკრა. მე მაშინვე დავდუმდი! ჩანს, რაღაც წამომცდა, მაგრამ რა? ამაზე ფიქრის დრო არ იყო...

შევედით ქოხში. ჩემი ბებრუხანა სწორედ ამ დროს შჩის აცხელებდა. მან ქვაბი მაგიდაზე დადგა. ლენინი მიესალმა მას და ფეხებზე დაიხედა.

— ჩექმები ხეირიანად არც დაგვიბერტყავს! რამდენი თოვლი შემოვიტანეთ!

ბებრუჯანამ არ იცოდა, ვინ იდგა მის წინ და შინაურულად უთხრა:

— არაფერია! იატაკი მაინც გასარეცხია! ხომ არ ინებებთ ჩვენს შჩის? მართალია, გუშინდელია, მაგრამ შჩი ხომ მეორე დღეს უფრო გემრიელია!

ლენინმა მადლობა გადაუხადა, ჩანთიდან შეკრულა ამოიღო, გახსნა, ამოალაგა სახლიდან წამოღებული საუზმე — ბუტერბროდები — ისეთი, როგორსაც მოსწავლეებს ატანენ ხოლმე სკოლაში. უთუოდ მეუღლემ მოუმზადა.

— მიირთვით, გეთაყვა, გთხოვთ! — უთხრა დიასახლისს, თვითონ კი შჩის შეექცა, მოეწონა:

— ძალიან გემრიელია თქვენი შჩი! ნამდვილი რუსული შჩია!

ისეთი სიტყვები, რასაკვირველია, მეტად ეამა დიასახლისს. მაგრამ აბა, სცოდნოდა ერთი, ვინ იყო მისი სტუმარი?!

ამ დროს ძმისწულმა მკითხა:

— კუზმა თომას ძევ, ხომ არ გექნება ჭილობის ნაჭერი ან ძველი ტომარა? მანქანას უნდა მივხედო.

გამოვედით დერეფანში, ძმისწული ჩუმად მიხსნის:

—შენ, ძია კუზმა, ცხადია, არ იცი საქმის ვითარება, რადგან ყველაფერი უეცრად მოხდა. მხოლოდ ღმერთი არ გაგიწყრეს და ლენინს თავი ღატაკად არ მოაჩვენო! აქაოდა, პატარა ხალხი ვართო, არ დაგვძრახოთ და ასეთები. ჭი-

რივით ეჯავრება, როცა ადამიანი თავს იმცირებს, ხოლო მას ადიდებს. ვლადიმერ ილიას ძე ასეთ რამეს ვერ ითმენს. გესმის?

— მესმის, — ვეუბნები მე. — შენ მხოლოდ ერთი რამ ამიხსენი: როგორ მოხდა, რომ აქ მოვიდა? ჩანს, ჩემო ძმისწულო, შენც დიდი თანამდებობისთვის მიგიღწევია, რაკი თვით ლენინთანა ხარ!

ძმისწული იცინის:

— ჩემი თანამდებობა ისაა, რომ კრემლის გარაჟის შოფერი ვარ. თანამდებობა პატარაა, ნდობა კი დიდი: ვლადიმერ ილიას ძე სხვადასხვა საქმეზე დამყავს. გუშინ მიტინგიდან მომყავდა, მეუბნება: „დიდი ხანია ქალაქგარეთ არ ვყოფილვარ! მინდა სუფთა ჰაერი ვისუნთქო. უქმად გდებით თოფიც მიქანგდება!“ ვეუბნები — „რას ამბობთ, ვლადიმერ ილიას ძევ, ახლოს შესაფერისი ადგილი მეგულება, იქ ერთი კაცია — მეტყეველ მუშაობს, ზეპირად იცის რამდენი როჭო და კურდღელია ტყეში!“ ჰოდა, სტუმრადაც მოგიყვანე. წაყევი ვლადიმერ ილიას ძეს. შორს ნუ წახვალთ, შვიდ საათზე კრემლში სხდომას უნდა მიუსწროს. მე კი მანქანას მივხედავ, რატომღაც ძრავა ხრიალებს!

დავამთავრეთ საუბარიც და ლენინი გამოვიდა, ხელში თოფი ეჭირა.

— მე მზადა ვარ, კუზმა თომას ძევ, თქვენ?

მას უკვე დაუხსომებია ჩემი სახელიცა და მამის სახელიც, და მეც მოურიდებლად, როგორც დიდი ხნის ნაცნობს, ისე ვეუბნები:

— ამ წუთში, ვლადიმერ ილიას ძევ, ცოტა მომითმინეთ! ერთი საქმე მაქვს! ახლავე მოვალ!

— კეთილი, დაგიცდით!

ჩემი ბებრუხანა ქოხს ალაგებდა, მითხრა:

— რა თავაზიანი ადამიანია. ყველაფერი გამომკითხა: ტყეში ცხოვრება ხომ არ მოგწყინდათო, მოსკოვში თუ ყოფილხართო... ნეტავი ვინ არის?

ცოტა ვაცალე და ვუთხარი:

— ეს თვითონ ლენინია, ვლადიმერ ილიას ძე! ჩემთან პირდაპირ კრემლიდან მოვიდა სანადიროდ!

ბებრუხანამ ხელები გაშალა:

— რას ამბობ! გონს მოდი! როგორ არა, შენთან ჩამოვიდოდა სწორედ!

— შენ რა გესმის, ჭკუამოკლეე, — ვეუბნები მე, — მართალია, ლენინი ყველა მეფეზე დიდია, მაგრამ მუშებისა და გლეხების ბელადია და მისთვის უბრალო ადამიანზე უფრო საყვარელი არავინაა დედამიწაზე! გაიგე? იმას გენერალიც კი დაუდგებოდა შოფრად. მან კი ვინ აიყვანა, ჩემი ძმისწული! შემიძლია დაწვრილებით აგიხსნა, მაგრამ მე ხომ ლენინი მელოდება.

ვხედავ, ჩემი ბებრუხანა თვალებს ახამხამებს. დაიჯერა, როგორც იქნა!

— კი მაგრამ, რა ვქნათ ახლა? როგორ მოვიქცეთ ამის შემდეგ?

— არავითარი მოქცევა საჭირო არაა, ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც არის. მე რომ დილით თეთრი კურდღელი მოვიტანე, გაატყავე, შედე ღუმელში, რომ სადილისათვის მზად იყოს... გასაგებია? მე და ლენინი კი ახლა სანადიროდ მივდივართ.

ბებრუხანამ ხელები შეიხოცა, წინსაფარი მოიხსნა და გამომყვა.

ვლადიმერ ილიას ძე წინკართან იდგა, ზამთრის მზეზე თვალი მოეჭუტა, თვალებში სიხარული ჩადგომოდა.

— მაშ, კუზმა თომას ძევ, ჩვენ დღეს სეირს ვუჩვენებთ ყველა კურდღელს, ხომ?

როგორც მიღებულია ხოლმე, გამარჯვებული დაბრუნებულიყავითო — გვისურვეს და გზას გავუდექით. მშრალი, ძლიერი, მაგრამ უქარო ყინვაა, ასე რომ, არ გვაწუხებს. ტყეში სიჩუმეა, ტოტიც არ ირხევა. ნაძვები თეთრ ქურქში გახვეულან. ფიჭვები ისე აზიდულან ცაში, გეგონებათ მზეს წვდებიანო.

ლენინი აუჩქარებლად მიდის, აქეთ-იქით იცქირება, ბუნების ცქერით ტკბება.

— კარგა ხანია ასეთი მშვენიერება არ მინახავს. აქ ცაც კი სხვანაირად გამოიყურება.

ერთ ადგილას ტოტს გამოედო, თოვლი დააცვივდა თავზე, საყელოშიც ჩაეყარა. ის კი იცინის:

— კარგია! მშვენიერია!.. კუზმა თომას ძევ, თამბაქოს ეწევით?

— ოდესღაც ვცოდავდი, — ვუპასუხე. — წეკოსაც ვახვევდი, ჩიბუხსაც ვაბოლებდი! შემდეგ თავი მივანებე. ახლა ისე ვარ, თითქოს არასდროს მომეწიოს.

— კარგი გიქნიათ, კუზმა თომას ძევ! მეც არა ვარ თამბაქოს მოყვარული! სეირნობის დროს რომ სწევენ, მთელ სიამოვნებას გაშხამებენ. როცა თამბაქოს მწეველებთან მივდივარ სასეირნოდ, ყოველთვის ვაფრთხილებ, რაც მოსაწევი აქვთ, ერთბაშად მოსწიონ.

მივდივარ ლენინთან ერთად. სულ ახლომახლო ვტრიალებთ, რომ ძალიან არ დავშორდეთ სახლს. ვლადიმერ ილიას ძე ზომიერი ნაბიჯით მომყვება, ღრმად და თანაბრად სუნთქავს, ჩანს, გამოცდილი მოსიარულეა. ასე მივაღწიეთ ყოფილ ტეპლოვის სატყეომდე. გვარიანი გზა გავლიეთ. აქ მეჩხერი ტყეა. ვერხვები გვერდზე გადახრილი დგანან. აი, კურდღლის წრიული ნაკვალევიც გარშემო შემოვუარეთ. ფრთხილად შევეხე ვლადიმერ ილიას ძეს მკლავზე, ვანიშნებ პატარა ლაქას თოვლზე: თითქოს ყურაქვიტა ორმოში ჩაფლულა და ყურები უკან გადაუწყვია. „ესროლეთ“, — წავჩურჩულე ლენინს. მან თოფი

შემართა. გაისროლა. იქ, სადაც ლაქა მოჩანდა, თოვლის ბუქი ავარდა. ახლოს მივედით, მაგრამ მოკლული კურდღლის მაგიერ კუნძი დაგვხვდა.

ვლადიმერ ილიას ძე ხუმრობს:

— ბედმა გვიმტყუნა!

— არა, — ვეუბნები, — ეს მე მოვტყუვდი, კუნძი კურდღლად მომეჩვენა, თქვენ კი პირდაპირ მიზანში მოახვედრეთ! ზუსტად ისვრით! კურდღელი რომ ყოფილიყო, შავი დღე დაადგებოდა!

ისევ გავუდექით წრიულ გზას. ხან მელიის კვალს წავაწყდებოდით, რომელიც გვირისტს წააგავდა, ხან კურდღლის მიხვეულ-მოხვეულ ნავალს, თვითონ ნადირი კი არ შეგვინიშნავს. ერთ ქეციან კურდღელს მაინც გადაეკრა გზა! როჭოც ვერ დავაფრთხეთ, თოვლში თუ ჩაძვრნენ ყინვის შიშით. თითქოს ყოველი სულდგმული ამოწყვეტილიყო.

მართალი გითხრათ, თანდათან მღელვარება მიპყრობდა. რამდენი ხანია დავდივართ და ვერაფერს წავაწყდით. ზამთრის დღე მოკლეა, ლენინსაც დრო არა აქვს.

მივაღწიეთ ღრმა ხევს. აქ მოვუხვევდით და ბილიკი სახლთან მიგვიყვანდა. უცებ მახლობლად თოვლის ხრაშა-ხრუში გაისმა. ეს უკვე კურდღელი კი არ მოხტოდა, რაღაც სხვა პირდაპირ მოიწევდა ჩვენკენ. ჩავსაფრდით, თოფები მოვიმარჯვეთ და ამ დროს ლაპარაკი შემოგვესმა. გამოჩნდა ორი ჭაბუკი. ესენი სადგურზე მცხოვრები ნაცნობი ბიჭები იყვნენ.

— გამარჯობათ, ძია კუზმა! ჩვენ მელას წავაწყდით! მოკალით რამე?

მე გავბრაზდი: დაბორიალობენ უსაქმოდ, მხოლოდ ნადირს აფრთხობენ და მეტი არაფერი. ვლადიმერ ილიას ძე კი მაშინვე გამოესაუბრა. ჭაბუკებმა ყურადღება მიაქციეს მის თოფს და შეეკითხნენ: „ძია, როგორ ისვრის ეგ თოფი უჩახმახოდ?“ ლენინმა გადახსნა თოფი, ამოიღო ვაზნები და აუხსნა, როგორ იყო იგი მოწყობილი. მერე თვითეულს ხელშიც კი დააჭერინა!

მე განზე ვდგავარ, ბოღმა მახრჩობს. ეს რა გამოვიდა, რა უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი! დავპირდი ლენინს ნადირობას, დავიტრაბახე — კურდღელს უძაღლოდ მივაგნებ-მეთქი! ძმისწულიც მაქებდა! — გამოცდილი კაციაო, როჭოებს სულ სათითაოდ იცნობსო.

ჰოდა, ისეთმა უცნაურმა აზრმა გამიელვა, ძნელად თუ დაიჯერება.

ვიფიქრე, ნეტავ ახლა აქ მომცა ის კურდღელი ჩემს ბებრუხანას რომ დაეუტოვე შესაწვავად; ხელუხლებელი რომ მეგულებოდეს, ახლავე ჩუმად გავაგზავნიდი ამ ბიჭებს და მოვატანინებდი-მეთქი. არც ისე შორი გზა იყო, დაბრუნებას მოასწრებდნენ. მერე შეუმჩნევლად ჩავდებდი ბუჩქებში და...

აი, რა ფიქრები მიტრიალებდა დადარდიანებულს! ტყეში კი უკვე ღამდე-

ბოდა, წასვლის დრო იყო! ჭაბუკებმა გული იჯერეს თოფის ცქერით და სადგურისაკენ გაემართნენ. ლენინმა მათ გზა დაულოცა, თან დაუმატა:

— ასე შორს რატომ გამოდიხართ ტყეში? ხომ შეიძლება გზა აგერიოთ?

ჭაბუკებმა კი შორიდან უპასუხეს:

— ფიქრი ნუ გაქვთ, ძია, ჩვენ აქ თვალდახუჭული გავიგნებთ გზას! ზაფხულობით თხუთმეტ ვერსზე მივდივართ ხოლმე სოკოებისთვის.

ვლადიმერ ილიას ძემ გახედა მიმავალთ და მოწონების კილოთი წარმოთქვა: „ყოჩაღი ბიჭებია“. შემდეგ ჯუბა გაიხსნა და საათი ამოიღო.

— რა გაეწყობა, კუზმა თომას ძევ! უნდა გავწიოთ სახლისაკენ!

დამთავრდა ჩვენი ნადირობა!

გამოვბრუნდით უკან. ლენინი ხმას არ იღებს. მე მოშორებით მივყვები, საკუთარ ფეხებს დავყურებ. ვგრძნობ, რომ ყურები მეწვის, თავი მიხურს! ასე მივდივართ, თოვლი ხრაშუნებს ფეხქვეშ. უცებ ლენინი ახლოს მოდის, ჩერდება. აჰა! ახლა მეტყვის საკადრისს! — გავივლე გულში!

მესმის მისი ხმა — მშვიდი, დაბალი:

— გამიგონეთ, კუზმა თომას ძევ! ეგრე რამ დაგაღონათ! დღეს ნადირობამ არ გაგვიმართლა. ხდება ხოლმე! დღე დღეს არ წააგავს! განა შეიძლება ასეთ უბრალო რამეზე აღელვება?!

— განა ეს უბრალო რამაა, ვლადიმერ ილიას ძევ? — ვეუბნები მე. — როგორ არ ვიღელვო? ამას ჩემს თავს ვერასოდეს ვაპატიებ! სანადიროდ ჩამოხვედით, გინდოდათ სიამოვნება განგეცადათ, და რა გამოვიდა? იმის გაფიქრებაც კი არ შემიძლია, რომ შინ ხელცარიელი დაბრუნდებით!

ლენინმა მხარზე ხელი დამადო:

— გაიგეთ, კუზმა თომას ძევ, არც ასეა საქმე. მოხარული ვარ, რომ აქ ჩამოვედი! სუფთა ჰაერი ვისუნთქე, ტყეში თოფით ვიხეტიალე. ეს ჩემთვის ყველაზე საუკეთესო და სასიამოვნო დასვენებაა. კიდევაც რომ შემხვედროდა ფრინველი ან ნადირი, ვინ იცის, იქნებ არც კი მესროლა.

რომ ამბობენ: „გულიდან ლოდი მომცილდაო!“ მეც ასე დამემართა, დავმშვიდდი, ფეხებმა შვება იგრძნეს.

— იცით, ვლადიმერ ილიას ძევ, — ვეუბნები მე, — უნდა გამოგიტყდეთ, რომ თქვენი მოტყუება მინდოდა!

— ჩემი? მითხარით როგორ, საინტერესოა!

ახლა უკან დახევა აღარ შეიძლებოდა. ვუამბე მოკლული კურდღლის ამბავი.

პირდაპირ წარმოუდგენელი რამ მოხდა!

სიცილისაგან აცრემლებული ლენინი ცხვირსახოცით იმშრალებდა თვალებს.

— კი მაგრამ, როგორ გააკეთებდით ამას? ამიხსენით მაინც!..

— როგორმე მოვახერხებდი, ვიეშმაკებდი!.. ბუჩქებში ან ბორცვის ძირში მივაგდებდი... შემდეგ... მაშასადამე, თითქოს თქვენი გასროლით...

ვლადიმერ ილიას ძე ხეს მიეყრდნო, ხელები დამიქნია:

— კმარა, კმარა, კუზმა თომას ძევ... თქვენ მე სიცილით მომკლავთ!

განვაგრძობთ გზას. როგორც კი გაახსენდება კურდღლის ამბავი, ლენინი სიცილით იგუდება.

მალე მივედით სახლში, ლენინი გამხიარულებული შედის შინ, თითქოს კარგი ნადირობიდან დავბრუნდითო.

ბებრუხანა ძველი ჩვეულებისამებრ გვეგებება:

— ბარაქით დაბრუნდით!

ასე ვთქვათ, წარმატებას გვილოცავს. ვლადიმერ ილიას ძემ იცის ნადირობის წესები და უპასუხებს:

— არა, ხელმოცარულნი დავბრუნდით.

ეს რომ ბებრუხანამ გაიგონა, გაკვირვებისაგან ხელები გაშალა, ლენინმა კი მაშინვე დასძინა:

— სამაგიეროდ საუცხოოდ გავისეირნეთ და მე მეტად კმაყოფილი ვარ. ჰაერი იმდენი ვისუნთქე, მთელი თვე მეყოფა. კუზმა თომას ძემ ყველა საუკეთესო ადგილი მიჩვენა. ახლა კი შინ უნდა წავიდე!

ბებრუხანა ეუბნება:

— წაისაუზმეთ, ვლადიმერ ილიას ძევ! როგორ შეიძლება, მთელი დღე უჭმელი ხართ! ყველაფერი მზადაა, სუფრის გაშლაღაა საჭირო!

— გმადლობთ, მაგრამ წასვლის დროა!

ლაპარაკში ჩემი ძმისწული ჩაერია:

— დრო კიდევ არის, ვლადიმერ ილიას ძევ! ზუსტად შვიდ საათზე ჩავალთ, ამაზე მე ვაგებ პასუხს. ნუ აწყენინებთ ჩემს ნათესავებს.

დავსვით ვლადიმერ ილიას ძე მაგიდასთან. დედაბერმა ტაფით შემწვარი კურდღელი შემოიტანა, ჩამოგვირიგა ყველას.

— არ ვიცი, — ამბობს იგი, — იქნება აკლია შეწვა, თუმცა მთელი დღე ვშუშავდი ნელ ცეცხლზე.

ლენინი ამშვიდებს:

— რას ბრძანებთ, თქვენი კურდღელი ჩინებულია!.. მე ის არ დამავიწყდება! — თან ეშმაკურად მიყურებს, ვითომ ჩემი განზრახვის გამხელას აპი-

რებს. უკლებზე ვზივარ. ისე უხერხულად ვგრძნობ თავს, მზად ვარ გავიქცე-ლენინმა კიდევ ერთხელ გადმომხედა და ერთბაშად შეცვალა ლაპარაკი: მესმის საქმის ვითარება, ვდუმვარ, საიდუმლოებად დარჩესო.

და მხოლოდ მანქანაში, ვიდრე ძმისწული ძრავას ქოქავდა, ისევ გაიცინა ჩუმად, რომ არავის შეემჩნია. შემდეგ გადმოიწია ჩემკენ და ჩამჩურჩულა:

— თქვენ, კუზმა თომას ძევ, ძალიან დიდი იუმორისტი ხართ! კარგა ხანია ასე არ მიცინია და ასე საუცხოოდ არ დამისვენია!

ზეადგ. მოსკოვისაკენ

მატარებელი მოსკოვს უახლოვდებოდა. ბოლო თბილანა ვაგონში განუწყვეტლივ ღუღუნებდა ღუმელი. გარეთ მძვინვარებდა ყინვა, რომელსაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ნათლიღების ყინვას უწოდებდნენ. სადგურის დასახლებათა ზემოთ გვერდებზე ჩამოღვენთილი სანთლებივით ჩანდა საკვამურებიდან ამოსული თეთრი ბოლი.

როცა მატარებელი მოსკოვის გარეუბნის რომელიღაც სადგურზე გაჩერდა, ერთ-ერთმა წითელარმიელმა (ამხანაგები მას „ზემდეგს“ ეძახღნენ), ხვნეშით ჩაიცვა მაზარა, ჩამოიფხატა მაუდის ქუდი, გადაიკიდა საველე ჩანთა, ჩამოიკიდა რევოლვერი და თქვა, ვაგონების დასათვალიერებლად ჩავდივარო. ახლა, როცა მოსკოვამდე თითზე ჩამოსათვლელი კილომეტრებიღა რჩებოდა, თითქმის არავითარი მოულოდნელი რამ არ უნდა მომხდარიყო. ამ გრძელ და ძნელ გზაზე კი მოულოდნელ ამბებს არა ერთხელ შესწრებიან...

ზემდეგმა ყურადღებით შეამოწმა დალუქული ვაგონები, ბაქნის ბოლომდე მივიდა და მოლიპულ საფეხურებზე დაეშვა, უკეთ რომ ვთქვათ, ჩასრიალდა პირდაპირ დათოვლილ ველზე. აქედან თითქოს სულ სხვა სამყარო იწყებოდა. უძრავად იდგა გაყინული ვერცხლისფერი არყის ხეები. გეგონებოდათ, საკმარისია ოდნავ შეეხოთ და ისინიც აწკრიალდებიანო. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე სუფევდა. სიჩუმეში უეცრად გაისმა მყისიერი ტკაცანი — რომელიღაც არყის ხემ ყინვას ვერ გაუძლო და გაიბზარა. შორს ჰორიზონტზეცა მეწამული შუქით იყო განათებული — მოსკოვის გუბერნია ციმბირის დამახასიათებელი ყინვით ხვდებოდა მგზავრებს.

ზემდეგი ცოტა ხანს იდგა, სიცივემ აიტანა და ისევ უკან გამობრუნდა. ბაქანზე არ იყო მგზავრების ჩვეულებრივი ჩოჩქოლი, მცველი რაზმი არავის უშვებდა სამარშრუტო შემადგენლობასთან, ბოლო თბილანასთან კი რატომღაც პატარა ჯგუფი იდგა.

ზემდეგმა ნაბიჯს უმატა, ალბათ, რაღაც მოხდაო. მან ჯერ კიდევ შორიდან ხალხში მაღალი, ქუდიანი ჰაბუკი შენიშნა. იქვე იდგნენ შალმოხვეული ქალები,

შავ, გაზეთილქურქიანი რკინიგზელები, აგრეთვე შემადგენლობის მცველები. დაბალმა, ჯმუხმა წითელარმიელმა ყურში ჩასჩურჩულა ზემდეგს:

— ხედავ, რა ამბავია?.. თვითონ ლენინია აქ!..

ზემდეგმა მრისხანედ შეხედა ხელქვეითს, თითქოს უნდოდა გამოერკვია, ჭკუაზე ხომ არ შეიშალაო. მაგრამ წითელარმიელის ფართო ღაწვებიანი სახე მხოლოდ გაკვირვებას და აღტაცებას გამოხატავდა.

— აი, ისაა! — ეჩურჩულებოდა მცველი. — სადგურის უფროსის გვერდით რომ წვერიანი კაცი დგას.

ლენინის წინ რიგიან ჯუბაჩაში გამოწყობილი, ბოხოხიანი მსუქანი კაცი გამოეპიმულიყო და დაბალი ხმით ამბობდა:

— ნება მიბოძეთ, ამხანაგო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეე, კიდევ გირჩიოთ ლოკომოტივის გამოძახება. ჩვენ ახლავე დავუკავშირდებით ცენტრალურ დეპოს. სხვა გზას ვერ ვხედავ, რომ მოსკოვში სწრაფად და მოხერხებულად ჩახვიდეთ. მანამდე კი ჩემი ოთახი მთლიანად თქვენს განკარგულებაში იქნება. გარწმუნებთ, ამხანაგო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეე, რომ იქ საკმაო სითბო და სისუფთავეა.

„ამხანაგო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე", — ჩუმად წარმოთქვა ზემდეგმა და მაზარის ქვეშ გული აუძგერდა. — მაშასადამე, სწორია... სინამდვილეა!"

ზემდეგმა გაუბედავად შეხედა თითქოსდა ზამთრის მზით გარუჯულ, ტანდაბალ, მხარბეჭიან კაცს, რომელსაც ყურებიანი კრაველის ქუდი ეხურა.

— საგანგებო ორთქლმავალი გამოვიძახოთ ორი კაცისათვის? — ლენინმა თვალი თვალში გაუყარა სადგურის უფროსს. — უაზრობაა! არ მესმის, რატომ არ შეიძლება ამ მატარებლით წასვლა. იგი ხომ მოსკოვში მიდის და არა უკან.

— ამხანაგო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეე! — თითქმის ამოიკვნესა სადგურის უფროსმა. — ნება მომეცით, მოგახსენოთ. ამ თბილანა ვაგონის მეტს ვერაფერს შემოგთავაზებთ. ამით მიდის მცველი რაზმი!.. თქვენთვის შეუფერებელია, როგორ იმგზავრებთ ასეთ პირობებში?!

— როგორ? ჩვეულებრივად! როგორც სხვები მგზავრობენ, ჩვენც ისე ვიმგზავრებთ! როდის უშვებთ მატარებელს?

სადგურის უფროსის პირმრგვალ სახეს თანდათან სიწითლე ეტეზოდა.

— ამჟამად, ამხანაგო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეე, მატარებლებს უგრაფიკოდ ვატარებთ. ნება მომეცით, გამოვარკვიო წასვლის დრო, და მოგახსენოთ.

სადგურის უფროსმა, ლენინს მხედრული სალამი მისცა და სადგურისკენ გაიქცა. ლენინმა თვალმოჭუტულმა გახედა და ისევ შემობრუნდა.

— თქვენ კი როგორ გრძნობთ თავს, ამხანაგო? — მიმართა მაღალ ჭაბუკს, რომელსაც მსუბუქი ქუდი ეხურა. — რატომ არ უფრთხილდებით ყურებს! მოყინვის არ გეშინიათ?!

— არ მომეყინება, ამხანაგო ლენინ! — მხიარულად მიუგო ჭაბუკმა და ლოყები აუწითლდა. — ქუდი მაქვს, ამხანაგო ლენინ! კენგურუსია, თბილია! მაგრამ უცებ ვერ მივაგენი, როცა თქვენ დაგინახეთ. ვიღაცის ქუდს წავეტანე და უკან გამოგყევით... მე პირველმა გიცანით, საბჭოში რომ შემოხვედით... უცებ ვერავინ ვერ გიცნოთ, მე კი გიცანით...

ლენინი უსმენდა და გამკიცხავად აქნევდა თავს, თუმცა თვალები უღიმოდა.

მოირბინა აქოშინებულმა სადგურის უფროსმა.

— ამხანაგო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეე, რამდენადაც სურვილი გამოთქვით გაჰყვეთ ამ მატარებელს, მოგახსენებთ, რომ ექვს-შვიდ წუთში გავუშვებთ... ვინ არის თქვენი მეთაური? — ფიცხლად მიუბრუნდა წითელარმიელებს.

ზემდეგი როგორღაც ვერ მიხვდა, რომ კითხვა მას ეხებოდა. შემდეგ, თითქოს გამოერკვა, გაუბედავად მიუგო:

— მე ვარ!

— მაშ, რაღას აყოვნებთ! გაისარჯეთ და უზრუნველყავით...

— არაფრის უზრუნველყოფა არ არის საჭირო, — მოუთმენლად წარმოთქვა ლენინმა. — სრულებით არაფრის!

ზემდეგმა სადგურის უფროსის პასუხს არ დაუცადა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გამოსწია თბილანას კარი. ვაგონიდან წეკოსა და დამწვარი საჭმლის სუნი გამოიჭრა. ვაგონის ერთი ნახევარი ფიცრებით იყო სავსე, მეორე ნახევარში კი ძლივს დაეტიათ ორიარუსიანი ტახტები, სახელდახელოდ გაკეთებული მაგიდა, აგრეთვე თვითნაკეთი თარო; კარის ახლოს ჩანდა მილდაქანგული თუჯის ღუმელი „ბურჟუელა“ და თხუთმეტიოდე ნამორი. სადგურის უფროსმა ფრთხილად შეიხედა ვაგონში, თითქოს ეშინია, თავი რამეს არ მიარტყასო, და მხრები აიჩეჩა.

— ასე რად ღელავთ, ამხანაგო?! — დაცინვით ჰკითხა ლენინმა. — გარწმუნებთ, რომ საუცხოოდ ვიმგზავრებთ!

ლენინი სახელურებს მისწვდა და გასაოცარი სიმარდით ავიდა ვაგონში. იგი ხუმრობით აჩქარებდა თანამგზავრს:

— დაუჩქარეთ, დაუჩქარეთ, გეთაყვა! ამაოდ ვკარგავთ ძვირფას სითბოს.

გაისმა წყვეტილი სტვენა. ბორბლები ყრუდ ახმაურდა გაყინულ რელსებზე და მთელი შემადგენლობის ქვეშ ღრჭიალი, ჯახანი დაირხა. ზემდეგი უკვე

დაძრულ ვაგონს შეახტა და კარი მიიხურა. შემდეგ სწრაფად სტაცა ხელი გაშალაშინებულ ფიცარს, რომ ღუმელთან დასაჯდომი მოეწყო.

ლენინმა ხელი დააოდ მხარზე:

— ძალიან გთხოვთ, ამხანაგებო, ჩემთვის თავს ნუ შეიწუხებთ! არაფერი არ მჭირდება. ვიმგზავრებთ ისე, როგორც თქვენ აქამდე მგზავრობდით. მით უმეტეს, არც ისე დიდი მანძილი დარჩა.

მან ნამორი მიიწია და ყინვისაგან გახევებული ხელთათმანები გაიძრო.

— ო, რა ამბავი გვეწია! — მიუბრუნდა ლენინი თანამგზავრს.

— ნუღარ იტყვით! — უპასუხა თანამგზავრმა ცოტა დაგვიანებით, გამოართვა ხელთათმანები და თავის ხელთათმანებთან ერთად მიუფიცხა ღუმელს. მის ჯუბაჩას ბენზინის სუნი აუვიდა. „შოფერია, — გაიფიქრა ზემდეგმა. — ჰანს რაღაც შეემთხვათ! განიცდის“.

ლენინი კი უკვე თავის დაღვრემილ თანამგზავრზე ხუმრობდა და ყვებოდა, რა ამბავი გადახდათ დღეს. ისინი მოსკოვიდან ჩამოვიდნენ, უკან დაბრუნებისას კი ძრავა გაჯიუტდა — გაიყინა. შემდეგ ძლივძლივობით მიაღწიეს სოფლის საბჭომდე, იქ მანქანა დატოვეს და სადგურს მოაშურეს...

წითელარმიელები სულგანაბული შეჰყურებდნენ თავის არაჩვეულებრივ მგზავრს. მათგან მხოლოდ ერთი ნაბიჯის მოშორებით იჯდა რევოლუციის ბელადი. მისმა სახელმა ჯერ კიდევ გერმანიის ფრონტზე სანგრებში ყოფნის დროს მიაღწია მათ ყურამდე. და მას შემდეგ ამ სახელთან იყო დაკავშირებული ყველაფერი — სასტიკი ომის და შიმშილით ტანჯვის დასასრულიც. სხვა ცხოვრების დაწყებაც, რომელსაც ასე გულმსურვალედ ერწმუნა მილიონები... საჭირო იყო კიდევ რაღაც შინაგანი განცდა, რომ დაგეჯერებინა სინამდვილე.

ლენინი დაკვირვებით შეჰყურებდა წითელარმიელებს, დაინტერესდა მათი ვინაობით — საიდან არიან, მოსდით თუ არა წერილები სახლიდან, რა ტვირთი მიაქვთ, რამდენი დღე არიან გზაში. მაგრად და კმაყოფილებით მოისრისა ხელები, როცა გაიგო, რომ ამ შემადგენლობაში ციმბირიდან მოდის კოლჩაკისთვის წართმეული სამხედრო ტანსაცმლით, წამლებითა და კონსერვებით დატვირთული ვაგონები. არც თუ დიდი ხნის წინ მთელი ეს საქონელი თეთრი გენერლის მისამართით მიდიოდა, მაგრამ წითელმა არმიამ მიმართულება შეუცვალა...

ამ ლაპარაკს მშვიდად არ ჩაუვლია: წითელარმიელებს ძალიან უმძიმდათ ჯდომა, როცა ლენინი ეკითხებოდა რაიმეს. თითქოს ზამბარა უბიძგებთო, ისე წამოვარდებოდნენ ხოლმე ფეხზე. ლენინი კი ყოველთვის დაჟინებით იმეორებდა: „იჯექით, ამხანაგო, რატომ დგებით!“

ყველაზე ენაწყლიანი და გაბედული აღმოჩნდა პატარა, დაბალი ჯარისკაცი. თითქმის ყველა კითხვაზე მარტო ის პასუხობდა.

— თქვენ, ამხანაგო, ფრონტზე დაიჭერით? — შეეკითხა ვლადიმერ ილიას ძე მაღალ, გამხდარ, კისერშეხვეულ წითელარმიელს. წითელარმიელმა ჯერ დაბნეულად შეხედა ზემდეგს, შემდეგ წამოხტა და ხმაურით წააქცია ნამორი, რომელზედაც იჯდა.

— დიახ, ამხანაგო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეე! — მაღალი ტენორით წამოიძახა წითელარმიელმა. — ვორონეჟთან ბრძოლაში მარჯვენა ფეხში დავიჭერი. რაც შეეხება კისერს, — აქ ხმას დაუწია, სახეზე დარცხვენა დაეტყო. — კისერზე ძირმაგარა გამომივიდა...

— კი მაგრამ, მაინც რატომ დგებით, ამხანაგო? — ლენინმა საყვედურით გაიქნია თავი. — ეს სრულებით ზედმეტია. მერედა, რა საჭიროა თანამდებობისა და წოდების ზუსტი დასახელება, მარტო გვარიც საკმარისია... თქვენ ხომ სადგურის უფროსი არა ხართ!— დაუმატა ღიმილით.

მაღალმა წითელარმიელმა ისევ დაბნეულად შეხედა თავის უფროსს. ზემდეგს სახე წამოენთო, შეუმჩნევლად ჩამოქაჩა მაზარაზე — დაჯექიო. მას ეგონა, რომ ყველაფერი ცუდად, უხერხულად გამოდიოდა. ვერა და ვერ შეძლო დაეოკებინა მღელვარება. ლაპარაკობდა ჩამწყდარი ხმით. წამდაუწუმ ღუმელს უჩუჩხურებდა, შიგ ხმელი შეშის ნაჭერს დებდა. პატარა „ბურჟუელა“, რომელიც ჯადოსნურ სასკოლო ფარანს ჰგავდა, გავარვარებული იყო, მისი რკინის ფერდები წითლად ღვივოდა.

— მე მგონი, მეტი მოგივათ, ამხანაგო, — გაეხუმრა ლენინი.—პირდაპირ შეგვხრაკავთ...

ზემდეგმა ლენინს შეხედა. იგი ახლა საოცარ გრძნობას განიცდიდა: ეს იყო იმის აღმოჩენაც და დადასტურებაც, რაც შეუგნებლად, მაგრამ მტკიცედ სწამდა: ლენინი არ შეიძლებოდა სხვანაირი ყოფილიყო. მხოლოდ ასეთი უნდა ყოფილიყო ლენინი. და მოულოდნელად გახსნა საველე ჩანთა, საიდანაც რაღაც ფურცლების დასტა ამოიღო.

— ხომ არ დაინტერესდებით? — ჰკითხა მორცხვად. — უცხოური რამ ირის. კონსერვებიან ყუთებზე იყო დაწებებული. ზოგიერთებს ასძვრა...

ლენინმა გამოართვა ფურცლები — ნაირნაირი ეტიკეტები, რომლებზეც მსოფლიოს მრავალ ენაზე ჩანდა წარწერები, ზოგს იაპონური იეროგლიფებიც კი ეხატა. მათზე გამოსახული იყო მწვანე საძოვარზე გაშლილი მსუქანი ძროხები, ოქროსრქიანი ცხვრები, ღორების ვარდისფერი თავები და გვერდით გვირგვინი და ორი ლომი.

— დიახ, მეტად საინტერესოა! — ლენინი აუჩქარებლად თვალიერებდა

ფერად ფურცლებს. — როგორც იტყვიან, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. მათ ამაოდ აკმევდა ანტანტა, ვერ გაამართლეს იმედები. — ლენინმა აკრიფა ფურცლები და ზემდეგს გადასცა. — საუცხოო კოლექციაა. ინტერვენციის ისტორია კონსერვების ქილებზეა. უნდა შეინახოთ!

ზემდეგს სახე გაებადრა.

— შევაგროვე და ჩანთაში ჩავალაგე! ვიფიქრე, მაინც ფეხით გათელავენ-მეთქი... მე, ამხანაგო ლენინ, და მყავს მოსკოვში. 1915 წელს აქეთ აღარ მინახავს. ბავშვები ჰყავს. მიმაქვს მათთვის როგორც სათამაშო. ნახონ. მაინც საინტერესოა!

— უეჭველად! — დაეთანხმა ლენინი. — ჭკუის სასწავლებელია ბავშვებისთვისაც და დიდებისთვისაც!

ამასობაში მრავალი ამბის მომსწრე დაჭეჭყილი ჩაიდანიც ათუხთუხდა. ზემდეგმა სწრაფად ჩამოიღო თაროდან თუნუქის კოლოფი და ჩაიდანში რაღაც ჩაყარა.

— კავკასიურია! — განმარტა მან. — გამხმარი შინდია.

მას ძალიან უნდოდა ლენინისთვის გასასინჯად შეეთავაზებინა ნაყენი, ჰაგრამ ვერ ბედავდა. ვლადიმერ ილიას ძის თანამგზავრი თითქოს მიუხვდაო, თქვა:

— კარგი იქნებოდა ცხელი ჩაი ამ ყინვაში... ძალიან სასარგებლოა...

ის პასუხს აღარ დაელოდა, ჩანთიდან ორი მოკალული ისეთივე ტოლჩა ამოიღო, როგორიც წითელარმიელებს ჰქონდათ. ზემდეგმა ტოლჩები მოწითალო სითხით აავსო. ირგვლივ სასიამოვნო-მომჟავო სუნი დადგა.

— იცით, ურიგო სასმელი არ არის! — თქვა ლენინმა, როცა მოსვა.

ზემდეგი წამოიწია, მაგრამ მყისვე დაჯდა. საულვაშეზე ოფლმაც კი გამოჯონა. ბოლოს მაინც ვერ შეიკავა თავი:

— ამხანაგო, ლენინ! ეს როგორ იქნება, თქვენ... უშაქროდ?!

— თქვენ კი, ამხანაგო, ყოველთვის შაქრითა სვამთ? — გულთბილად მოჭუტა თვალი ლენინმა.

— ვინ, ჩვენ?! — ზემდეგის ხმა გაბედულად გაისმა. — ჩვენ?!

მან ხელი წამოავლო ტახტზე დადებულ ჩანთას და გამობერტყა. იქიდან გადმოვარდა ქაღალდის პარკი, რომელშიც შაქრის დიდი უსწორმასწორო ნატეხი აღმოჩნდა.

— აი! — სიხარულით წამოიძახა ზემდეგმა. — ახლა ამას ნამსხვრევებად ვაქცევთ.

— არაა საჭირო, ამხანაგო, არ დაამტვრიოთ!

ზემდეგს ხელი აუთრთოლდა.

— დიდად გმადლობთ, ამხანაგო, — თბილად უთხრა ლენინმა. — მართლაც რომ საჭირო არ არის. შაქარი თქვენ საჩუქრად მიგაქვთ დისა და ბავშვებისათვის... სურათებთან ერთად. ხომ ასეა? მაშ, ისევ ჩადეთ ჩანთაში. ჩვენ კი ისე, უშაქროდ დავლევთ...

ლენინმა შეათვალიერა წითელარმიელების გამხდარი, წვერგაბანჯგლული, ითქოსდა შერუჯული სახეები, მათი დაჭმუჭნილი, ჩაშავებული გიმნასტიორები, უხეში ტოლაღები, უშველებელი, გაცვეთილი ფეხსაცმელები, და თვალებში სიმკაცრე ჩაუდგა, იკითხა:

— როგორაა ულუფის საქმე? ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებელი თუა მაინც? ან იქნებ სულაც არაა დამაკმაყოფილებელი?

— არა უშავს რა! მშრალი ულუფა მოგვცეს და ვხარშავთ!

ზემდეგმა ამხანაგებს გადახედა, თითქოს მოუწოდებდა დაედასტურებინათ, რომ ისინი ასეა თუ ისე, ცხოვრობენ.

— მშრალი ულუფა სერიოზული რამაა! — ლენინმა მზერა შეაჩერა თაროზე, სადაც ხის კოვზებიანი ქვაბი იდგა. — საჭიროა ყოველ დღეზე უაღრესად ზუსტად განაწილდეს, თორემ შეიძლება მშიერი დარჩეთ!

— ჩვენც ვანაწილებთ! უამისოდ არ შეიძლება!.. მართალია, ერთი ამბავი შეგვემთხვა, ულუფა ცოტა შევამცირეთ, — ზემდეგმა ჩაიცინა და ხელი ჩაიქნია. — მაგრამ, რაც იყო, იყო!

— ულუფა შეამცირეთ? — გაკვირვებით იკითხა ლენინმა. — მთლიანად არ მოგცეს, თუ თქვენ თვითონ ვერ მოზომეთ?

ზემდეგმა პასუხი დააგვიანა.

— არა, ამხანაგო ლენინ! სულ სხვა ამბავი მოხდა... ისე, ცოტა დავბრკოლდით!.. გრძელი ამბავია.

— მაინც რა ამბავია, აბა მოყევით, რა შეგემთხვათ?

ზემდეგი დუმდა. მის მოღუშულ სახეზე ამოიკითხავდით, რომ წუხდა — რად მოვიგონე ეს არასაინტერესო შემთხვევაო.

— ნებას მომცემთ, ამხანაგო ლენინ, თქვენთან თუთუნი მოვწიო?! — მოულოდნელად ითხოვა მან.

— მოსწიეთ, რასაკვირველია! კითხვაც არ უნდა. შემდეგ კი გვიამბეთ!

— ჩვენს თუთუნს მძიმე სუნი აქვს, — მორიდებით თქვა ზემდეგმა და ქისიდან ხელისგულზე წეკოს მტვერი გადმოყარა. მან წეკო გაახვია, ნაკვერცხალზე მოუკიდა, რამდენჯერმე გააბოლა და შემდეგ გადასცა ამხანაგებს, რომლებიც დაუფარავი სიხარბით შესცქეროდნენ ხელში.

— ეს საქმე ასე დაიწყო, — შეუდგა ზემდეგი ამბის თხრობას. — ჩავედით სადგურ ჩუბუკში, გავიგეთ არასასიამოვნო ამბავი: რვა ვაგონიდან ორი

უნდა მოიხსნას. რადგან ბუქსები იწვისო. მოვითხოვეთ მათი დაცლა, მაგრამ სადგურის ხელმძღვანელებმა სხვანაირად განსაჯეს: თავისუფალი ვაგონები არა გვაქვს, არც მტვირთავები გვყავსო. გადაწყვიტეს, მოეხსნათ ორი ვაგონი, ხოლო დანარჩენები გაეშვათ დანიშნულებისამებრ... ამრიგად, ერთი ნაწილი უნდა მოეცილებინათ შემადგენლობისათვის, თანაც საჭირო იყო მცველებიც დაგვეყენებინა! ჩვენ კი სულ ხუთნი ვიყავით! თბილი ტანსაცმელი არა გვქონდა. საკვები მისხლობით იყო გამოზომილი. თანაც მოგეხსენებათ რას ნიშნავს მოსკოვში არასრული შემადგენლობის ჩაყვანა. ეს ხომ პირდაპირ სამხედრო ტრიბუნალში წასვლაა!

ზემდეგმა შიშნეულად გადახედა მსმენელს — ხომ სწორად ვამბობო.

ლენინი სმენად იყო გადაქცეული, თითქოს შიშობდა ერთი სიტყვაც არ გამომეპაროსო. ზემდეგს სიმხნევე მოემატა.

— ვერ შევთანხმდით! — განაგრძო მან. — რა უნდა გვექნა. ძალა მათ მხარეზე იყო!.. მებრძოლები საგუშაგოებზე გავანაწილე, ვუბრძანე ვაგონებთან ახლოს არავინ მიუშვათ, თუნდაც ამისათვის იარაღის ხმარება დაგჭირდეთ-მეთქი, და თვითონ დასაზვერად წავედი. ბოლოს და ბოლოს გამოვარკვიე, რომ ცარიელი ვაგონები ჰქონდათ. გავექანე სადგურის უფროსთან, კომენდანტთან — არც ერთი ადგილზე არ აღმოჩნდა. დრეზინით წავიდნენ და უიმათოდ ვერაფერს გადავწყვეტთო, — მითხრეს სადგურში... უფროსებს სამი დღე და ღამე ვუცადეთ. მე, სინამდვილეში, სადგურში დავსახლდი. ვდარაჯობ. ერთხელ, დილით რამდენიმე წუთით გამოვედი სადგურიდან, მალე უკან გავვარდი, მაგრამ იქ უშველებელი რიგი დამხვდა! აღარ მიშვებდნენ, განსაკუთრებით ქალები, რის ვაივაგლახით მაინც შევაღწიე უფროსთან.

მასთან ვიღაც ჭაბუკი იჯდა, სხვებიც იყვნენ, მაგრამ მაშინვე ვუთხარი, რაც მაწუხებდა ვეუბნები — „განა არ იცით, რა ტვირთიც მიგვაქვს და როგორ ელოდებიან?! მით უმეტეს, გადასატვირთად თავისუფალი რეზერვი გაქვთ! შეიძლება ამ პირობებში ტვირთის დაბრკოლება?!“ ის დუმდა. მომეჩვენა, ჩემმა სიტყვებმა იმოქმედეს-მეთქი. მაგრამ მან უეცრად მუშტი დაარტყა მაგიდას: „მე თქვენ ანგარიშს არ გაბარებთ! ნუ არღვევთ ტრანსპორტის მოძრაობას, როგორც მითითებულია, ისე იქნება!“ ძალიან შევეჯახეთ ერთმანეთს! — ზემდეგმა ხელი მიიდო ტუჩებზე, ფრთხილად ჩაახველა. ალბათ, ეშინოდა მაგრად არ გამომივიდეს ნათქვამიო. — გამოვვარდი ბაქანზე, ის ჭაბუკიც, რომელიც უფროსთან ვნახე, უკან გამომყვა. მეძახის: — „მოიცათ, ამხანაგო! გაითვალისწინეთ, რომ გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს! ყოველი მდგომარეობიდან შეიძლება იპოვო გამოსავალი!“

— ასე თქვა? — სწრაფად იკითხა ლენინმა. — ვინ იყო?

— სწორედ ასე თქვა, ამხანაგო ლენინ! ზუსტად გადმოგცემთ მის სიტყვებს. თვითონ კი ახალგაზრდა იყო, დიდი-დიდი თხუთმეტი-თექვსმეტი წლისა იქნებოდა. ქუდი ჩამოფხატოდა თავზე, ალაგ-ალაგ გამომწვარი, დაბამბული ქურქი ეცვა. მკითხა, სად არის ვაგონებიო. მივიყვანე შემადგენლობასთან. ცოტა ხანს იდგა, რაღაცას ფიქრობდა. შემდეგ მითხრა: „წავიდეთ! ამ საღამოს იხსნება მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის კონფერენცია. მოვეთათბიროთ ამხანაგებს. მე კომკავშირის სამაზრო კომიტეტის მდივანი ვარ“. გზაში მითხრა, რკინიგზელები ჩვენ, ესე იგი ახალგაზრდობას, პატივს გვცემენ, რადგან შაბათობები მოვუწყეთ, ლიანდაგები გავუწმინდეთ, საწვავი დავუმზადეთ და ბევრი სხვა რამე გავუკეთეთო...

მივედით ბურჟუის ყოფილ სახლში. არის ერთი ხმაური, ფუსფუსი, ზარის რეკვა. სადღაც მღერიან. ერთ ოთახში კედლის გაზეთს ამზადებენ, მეორეში მანდოლინაზე და ბალალაიკაზე „ინტერნაციონალის“ დაკვრას სწავლობენ. მიჩვენეს სამზარეულოც. ყველა დელეგატს თან მოეტანა თავისი სურსათ-სანოვაგე, რაც კი ეშოვა. ხარშავენ, წვავენ... ის იყო, შევუდექით საუბარს, რომ ჩვენი მცველი რაზმიდან ერთმა მებრძოლმა მოირბინა, აი, ამან! — ზემდეგმა ტანდაბალ წითელარმიელზე მიუთითა. — ენაგადმოგდებული ძლივს იბრუნებდა სულს, თქვა: „მადლობა ღმერთს, რომ მალე გიპოვეთ. ჩქარა, ჩქარა, ვაგონები ახსნეს! საწყობისაკენ მიჰყავთ!“

გავიქეცი მასთან ერთად სადგურში. ის ჭაბუკიც — მდივანი — ჩვენთანაა. ჩემი მცველები აქეთ-იქით დარბიან. ვაგონები აუხსნიათ. ვუყვირი ჭაბუკს: „საადაა შენი გამოსავალი ყოველი მდგომარეობიდან?!“

„გამოსავალი არის, — მიპასუხა მან. — ვაგონებთან მცველები დატოვეთ, თქვენ კი წადით! ამ საკითხს დღესვე განვიხილავთ. მთელი კონფერენცია გამოვა შაბათობაზე! ყველაფერს გავაკეთებთ! კიდევაც გადავტვირთავთ და კიდევაც გამოვგზავნით! ნამდვილად!“

ასე იყო, თუ ისე, მეტი გზა აღარ გვქონდა. მცველად დავტოვე ორი მებრძოლი, მივეცი ჩვენი ერთადერთი ტყაპუჭი, თამბაქო, საკვები. რასაკვირველია, ნორმას არ ვუყურებდი. ვინ იცოდა, რამდენი ხნით რჩებოდნენ ისინი! ძლივს მოვასწარით განაწილება, რომ ორთქლმავალი უკვე დაიძრა.

მივდივართ ერთი დღე, მეორე, მესამე. არ მძინავს, სულ იმაზე ვფიქრობ, რა ხდება სადგურ ჩუბუკში. მეოთხე დღეს, ზმიევკაში დეპეშა დაგვეწია. — ზემდეგმა მაზარა გაიხსნა და გულის ჯიბიდან ფრთხილად ამოიღო ნაცრისფერი ქაღალდი, რომელზედაც ირიბად იყო დაწებებული ტელეგრაფის ლენტის ზოლები. — აი ეს, ამხანაგო ლენინ!

ლენინი დიდხანს უყურებდა ამ ზოლებს, რომლებზედაც ძლივს ჩანდა ასოები.

„შაბათობა ჩავატარეთ, ვაგონები გადაიტვირთა, წამოვიდა. მცველები კარგად არიან, თან მოჰყვებიან. კომუნისტური სალამი. კონფერენციის თავმჯდომარე იაკობ კოსონოგოვი“.

— ძვირფასი ქაღალდია, ამხანაგო ლენინ! ჩვენთვის ეს საბუთია! ახლა მე ცა ქუდად არ მიმაჩნია და დედამიწა ქალამნად!.. მხოლოდ ერთის გვეშინია — არ დავშორდეთ ამხანაგებს. სანამ ისინი მოვლენ, ვაი თუ სხვა ნაწილში გაგვამწესონ... მაგრამ ვფიქრობ, აქაც ყველაფერი რიგზე იქნება!

ლენინი ისევ ქაღალდს დასჩერებოდა.

— აქ რაღა წერია, გვერდზე, ფანქრით?

ზემდეგმა ქაღალდს მხარზემოდან დახედა.

— ჰო, ეს ისე, დამაინტერესა, — მორცხვად განუმარტა ზემდეგმა. — როცა კოსონოგოვთან ერთად დერეფანი გავიარეთ, იქ ბიჭები სიმღერას ამბობდნენ. ყველაფერი ვერ დავიხსომე... მხოლოდ ზოგიერთი სიტყვა ჩავიწერე...

— ვერ ვარჩევ! — უთხრა ლენინმა და ქაღალდი გადმოაბრუნა. — იქნებ იმღეროთ.

— ვიმღერო? — იკითხა საგონებელში ჩავარდნილმა ზემდეგმა. — გულახდილად უნდა გითხრათ, ამხანაგო ლენინ, რომ სიმღერას ვერიდები. ბავშვობიდან არ მქონია სმენა. როცა ჩვენი ბიჭები ხანდახან „საღამოს ზარს“ მღეროდნენ, მე მარტო „ბომ-ბომ“-ის მოძახილს მანდობდნენ!

ლენინს სახე ღიმილით გაებადრა!

— მჯერა! მაშ, ხმამაღლა წაიკითხეთ!

ზემდეგი შეეპოქმანდა, შემდეგ წამოდგა და გაუბედავად წაიკითხა:

როს ხელს ჰკიდებ ჩაქუჩ-ნამგალს,
დაიხსომე, ძმაო, ერთიც:
რომ შაშხანა, რომ შაშხანა
განუყრელად გქონდეს გვერდით!

— მეტი არ ვიცი, — დაამთავრა ზემდეგმა. — ეს მისამღერი იყო...

ვაგონში ისმოდა ლითონის ნაწილების ჯახაჯუხი, ნელი ჭრიალი.

— მაშ, თქვენი აზრით ამ ამბის მოყოლა არ ღირდა?!

ზემდეგმა მეჭმუნვარედ გაშალა ხელები.

— არ ვიცოდი, ამხანაგო ლენინ..: ვფიქრობდი, ასეთი ამბით როგორ წავართვა დრო-მეთქი.

— კარგი ამბავია, — თქვა ლენინმა, — შაშხანის ამბავიც კარგია...

იგი ჩაფიქრებული უყურებდა ნარინჯისფერ მოტკაცუნე ნაკვერცხლებს. შემდეგ ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო და იქვე გვერდით დადო ნამორზე. ერთი

შეხედვით იფიქრებდით, სულ არ გრძნობს თავს უხერხულად, რომ ასეთ ვითარებაში წერსო.

— როცა ვაგონებს ჩააბარებთ, მაშინვე გასწით მოსკოვის სამხედრო კომენდანტთან, — უთხრა ზემდეგს და ბარათი გაუწოდა. — ვფიქრობ, რომ ამხანაგების დაბრუნებამდე მოსკოვში მოგაწყობთ. ულუფაზედაც იზრუნებენ. თქვენ უნდა მიიღოთ ის, რაც გერგებათ. გზაში დაგვიანება თქვენი ბრალი არ არის.

თბილანაში შემოიჭრა ორთქლმავლის გაბმული მძაფრი კივილი, თითქოს მეშანქანეს სურდა მთელი დედაქალაქისათვის ემცნო მისი ჩამოსვლა. გაკრთა მწვანე და წითელი შუქურების ბუნდოვანი შუქი. საყვირის ხმა შენელდა და სუსხიან ჰაერში მკაფიოდ მოისმა მავთულების ზრიალი.

— აი, ჩამოვედით კიდეც, — თქვა ვლადიმერ ილიას ძემ თვალების ციმციმით, — და მეტად შესაფერ პირობებშიც.

წითელარმიელები ერთბაშად წამოიშალნენ, თითქოს ბრძანება მიიღესო, მაგრამ ამას შენიშვნა არ მოჰყოლია. ლენინიც ადგა, მათკენ გადადგა ნაბიჯი.

— ნახვამდის, ამხანაგებო! გმადლობთ დიდი და ძნელი მუშაობისათვის!

ᲛᲐᲚᲔ ᲗᲔᲥᲕᲡᲛᲔᲢᲘᲡᲐ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲘ

რა სათქმელია გზა და მანძილი, —
ჩვენ შეეკავშირდით
სიკვდილ-სიცოცხლის ყველა გზებით
სამარადისოდ.

ნ. ტიხონოვი.

რევკომის თავმჯდომარის ამხანაგ კრუპატკიხის კაბინეტში ტანმორჩილი, სუსტი ბიჭი შევიდა და საქმიანი კილოთი იკითხა:

— მეძახდით, ამხანაგო რევკომის თავმჯდომარევ?!

— გეძახდით! — უპასუხა კრუპატკიხმა. — დაჯექი, ამხანაგო ავანგარდ!

ის, ვისაც ასეთი ომახიანი სახელი ერქვა, ღრმად ჩაჯდა დაგლეჯილ ტყავის სავარძელში, ჯიბიდან ტილოს ქისა ამოიღო, ზორბა პაპიროსი გაახვია და მარდად ჩამოჰკრა სანთებელას ბორბალს. იგი თამბაქოს ნაცრისფერ ბოლშიც კი მეტისმეტად წითური და ჭორფლიანი ჩანდა. თითქოს მთელი ტანსაცმელიც ამ ძირითადი ფერის მიხედვით შეერჩია: გაქუცულ ქუდზე მოწითალო ლაქები აჩნდა, მის ოდესღაც შავი ტყავის ქურთუკს (ეტყობოდა სხვისი ნაქონი იყო) დროთა ვითარებისაგან წითური ფერი დასდებოდა. ტელეფონის მავთულით ჩამოკიდებულ რევოლვერის ბუდესაც რაღაც ღია სტაფილოსფერი დაჰკრავდა.

რევკომის თავმჯდომარის დაღლილ, ჩაშავებულ სახეზე მოულოდნელად ეშმაკური ღიმილი აისახა:

— როგორ არის საქმე, ამხანაგო ავანგარდ! სულ ვეწევით და ვაბოლებთ არა? დახე, ყურებიც კი შეგჭვარტლია.

ავანგარდმა ქედმაღლურად გაიღიმა და მხრები აიჩეჩა.

— ოჰო, რა გულფიცხი ყოფილხარ! — მოჭუტა თვალი კრუპატკიხმა. — ჰო, მართლა, რამდენი წლისა ხარ, ამხანაგო ავანგარდ?

ავანგარდმა წარბები შეიკრა.

— ვთქვათ, მალე თექვსმეტისა ვიქნები! — უპასუხა გამომწვევად. — მერე რა?!

— არაფერი! — მოკლედ მიუგო რევკომის თავმჯდომარემ. — უბრალოდ, ძალიან კარგია, რომ მალე თექვსმეტისა გახდები. — იგი იქვე, ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარ სამხედრო სწავლების ინსტრუქტორ ბაშკატოვისკენ შებრუნდა. — მგონი, თქვენ ერთმანეთს იცნობთ, არა?

ცისფერთვალა, ქერაწვერიანმა ბაშკატოვმა, რომელიც ბილინების გმირს წააგავდა, შეხედა ავანგარდს და მრავალმნიშვნელოვნად თქვა:

— კი, შევხვედრივართ!

ავანგარდი ჯიუტად დუმდა, მაგრამ ისიც და ბაშკატოვიც ახლა უთუოდ ერთსა და იმავე ამბავს იხსენებდნენ. წვიმებისაგან გადარეცხილ გზაზე რაზმი მიდის. აცვიათ დახეული მაზარები, გიმნასტურები და მუშის ხალათები, შემოუკრავთ ტოლაღები, ახურავთ კეპები და კარტუზები, მხარზე გადაუკიდიათ ყველა სისტემის თოფი: შაშხანა, კარაბინი, ბერდანა.

რაზმის წინ გრძელ, შეუღებავ ტარზე ფრიალებს წითელი ნაჭერი, რომელზედაც უსწორმასწორო ასოებით წერია: „ძრწოდეთ კაპიტალის დამქაშებო!“ მედროშე, რომელსაც ქუდის ქვემოთ გადმოშლილ სპილენძისფერ-წითურ კულულებს ქარი უწეწავს, ისე მიდის, თითქოს სამხედრო ორკესტრს აყოლებს ნაბიჯებსო, თუმცა მუსიკის ნაცვლად ტალახში ჩადგმული ფეხსაცმელების თხლაშათხლუში ისმის.

უცებ, უკან მოტოციკლეტის თახთახი ისმის. მოტოციკლეტიდან ხტება მაზარააკვალთული, თავიდან ფეხებამდე ტალახში მოსვრილი ბაშკატოვი და მეთაურს პაკეტს აწვდის. ერთ წუთში ყველაფერი აშკარა ხდება: რევკომის ბრძანებით კომკავშირელთა რაზმი უკან, ქალაქში ბრუნდება. „კი მაგრამ, რა მოხდა?! ვინ მისცა უფლება?“ — ყვირის მედროშე.

ერთბაშად დანარჩენებიც აყაყანდნენ. მაგრამ ხმაური ბაშკატოვის მრისხანე, მბრძანებლურმა ხმამ დაფარა: „ვინა ხართ თქვენ? ჯარისკაცები თუ... — იგი შეჩერდა, თითქოს შეეშინდა, ცუდი შედარება არ გამომივიდესო და მკვახედ დაამთავრა სათქმელი: — ბრძანებას კი არ იხილავენ, ასრულებენ! შეწყვიტეთ მიტინგი! რიგებად მოეწყვეთ! ოცეულთა მეთაურებო, ადგილებზე! ნა-ბი-ჯით ი-არ!“

— ასე რომ, ჩემო ძვირფასო ავანგარდ! — თქვა კრუპატკიხმა. — ჩვენ ყველაფერი ვიცით, ყველაფერი გვესმის! ომია, ბრძოლაში მიგიწევთ გული, თქვენ კი გგონიათ, ზურგში გაკავებენ! — თავმჯდომარემ თვალჩაციებით შეხედა ავანგარდს, მას კი გაუკვირდა, რა შეუცდომლად ამოუცვნია ჩემი აზრე-

ბიო. — აი, რას გეტყვი: თქვენს მამაცობაში კი არ გვეპარება ეჭვი ან გულაჩუყებით კი არ გვებრალებით. საქმე რომ აქამდე მისულიყო, — მან ხელი გაისვა ყელზე. — ბრძოლის ქარცეცხლში გაგგზავნიდით, ისე როგორც უერთგულეს მებრძოლებს... მაგრამ, მადლობა ღმერთს, აქამდე საქმე არ მისულა. ახლა კი გვინდა, პატარა სამუშაო შემოგთავაზოთ. მე მგონი, არა უშავს, შესაფერისი სამუშაოა. შენ რა აზრისა ხარ, ამხანაგო ბაშკატოვ?

— სამუშაო? — გაელიმა ბაშკატოვს და ჩინებული, თეთრი კბილები გამოუჩნდა. — სამუშაო, როგორც იტყვიან, მაგარი არაა, მაგრამ ხელსაყრელია!

ავანგარდმა წყენით შეხედა ორივეს: მგონი, ისევ ხუმრობის გუნებაზე არიან, უმჯობესია გავჩუმდეო...

— მაშ, გვისმინე! — თქვა კრუპატკიხმა. — მოსკოვში ოთხ ვაგონ სურსათს ვგზავნით ლენინის მოწოდების პასუხად! ბაშკატოვი მიჰყვება. აბა, ერემია პეტრეს ძევ, მიგყავს თანაშემწედ?!

— მიმყავს! — უპასუხა ბაშკატოვმა. — უყოყმანოდ! ულაპარაკოდ!

*
* *

სატვირთო ვაგონები წარწერით — „მოსკოვი — სასურსათო სახალხო კომისარიატი“ — ვაგზლის მოშორებით სათადარიგო ხაზზე იდგა. ერთ-ერთ დაულუქავ თბილანაში შტაბელებად დალაგებულ ტომრებს შორის გამყოლთათვის ადგილი იყო დატოვებული. იქვე ფრთხილად შეიტანეს და საიმედო ადგილას დადეს ძველ, მაგრამ სუფთა ტილოში გამოკერილი დიდი ყუთი. მას ზემოდან ლურჯი საღებავით მკაფიოდ ეწერა: „ამხ. ვ. ი. ლენინს პირადად! ქალ. ტორცოვის წითელარმიელთა რაზმებისა და მუშებისაგან. 1919 წ.“ ამ ყუთში იდო კიდევ ერთი პატარა ყუთი, რომელსაც შიგნით ქეჩა ჰქონდა ამოკრული. ყუთში სამწახნაგებლო ფაბრიკის მუშების მიერ ურალის ქვისაგან გაკეთებული საწერი მოწყობილობა იყო მოთავსებული.

როცა კომისიისაგან ვაგონებს იბარებდა, ერემია პეტრეს ძე ბაშკატოვმა ყველაფერი ძირფესვიანად შეამოწმა. დაბეჯითებით გასინჯა ყოველი ჭანჭიკი და ხრახნი, ყველა საკეტი, გადასაბმელი, სამაგრი. სამმართველოს სპეციალისტი მოუთმენლად შესცქეროდა ვაგონებქვეშ მოტრიალე ბაშკატოვს და თებერვლის სუსხიან ქარში იბუზებოდა. კრუპატკიხი კი მოწონებით ფხუკუნებდა, რაღაცას ეჩურჩულებოდა მაზრის სასურსათო კომისარს. ბოლოს, მიღების აქტს ხელი მოაწერეს და ვაგონებს შაშხანიანი წითელარმიელი დაუყენეს.

მატარებლის მოლოდინში მგზავრები სადგურში ცხოვრობდნენ, აქვე ეძინათ და ჭამდნენ, ცვლიდნენ პროდუქტებს და ნივთებს, ყიდულობდნენ და ყიდდნენ, დაუსრულებლად ლაპარაკობდნენ ახლო წარსულზე, ხარბად უსმენდნენ ყოველნაირ ამბავს და ამ ამბავს იქვე აფერადებდნენ და ამდიდრებდნენ საკუთარი გამონაგონით.

ცნობილი იყო, რომ ორთქლმავალსარემონტო სახელოსნოში ორთქლმავალს არემონტებდნენ და ასობით ადამიანი, თვით რევკომის თავმჯდომარე, აგრეთვე ჩარჩიც, რომელსაც დამშეულ რაიონებში ბურღულისა და მარილის გატანის იმედი ჰქონდა, მოუთმენლად კითხულობდნენ, როგორ მიმდინარეობს რემონტიო.

ვიდრე ბაშკატოვი ვაგონების მიღებით იყო გართული, ავანგარდმა შინ შეიარა.

მწვანე დარაბებიან პატარა სახლში, სადაც გამომცხვარი პურისა და გაუთოებული თეთრეულის სუნი იდგა, ავანგარდმა ძალიან ცოტა ხანს დაჰყო. კაცმა რომ თქვას, უკვე დიდი ხანია, რაც შინ არ ჩერდებოდა, მხოლოდ რამდენიმე წამით თუ შეირბენდა ხოლმე. გასაოცარმა ცხოვრებამ, რომელმაც ბავშვობიდანვე ჩაითრია, იგი ოჯახურ სითბოს გადაჩვია.

როცა მამა ცოცხალი ჰყავდა, ავანგარდი (მამამისი იმ სახელოსნოში მუშაობდა, სადაც ახლა ორთქლმავალს არემონტებდნენ, შემდეგ კი თეთრ კაზაკებთან პირველსავე ბრძოლაში დაიღუპა) ქალაქის ოთხკლასიან სასწავლებელში სწავლობდა. უკანასკნელ ხანებში ის ხშირად აცდენდა გაკვეთილებს.

ავანგარდი ებრძოდა მესაბოტაჟე მასწავლებლებს, კრებებზე ანადგურებდა შინგამოჩეკილ სკაუტებს, რომლებიც ჯერ კიდევ ფართოფარფლიანი ქუდებითა და მუხლებამდე წინდებით დადიოდნენ და გაჰყვიროდნენ, ახალგაზრდობას პოლიტიკა არ ესაჭიროებაო.

დარაჯობდა საწყობებს, მორიგეობდა სამაზრო კომიტეტში, შაბათობებზე რკინის ძალაყინს ატრიალებდა, სწავლობდა იარაღის ხმარებას და აზრადაც არ მოსდიოდა, რომ შეიძლებოდა სხვანაირი ბავშვობა ჰქონოდა.

შინმისულმა ავანგარდმა დედას უთხრა, მოსკოვს მაგზავნიანო. გადაჭრით თქვა უარი „შავი დღისათვის“ შემონახულ პროდუქტებზე — ერთ ნაჭერ ყვითელ, ძლიერ დამარილებულ ქონზე, ერთ პარკ შაქარზე და კიდევ რაღაც საჭმელზე. მხოლოდ მამის ძველი ღვედი აიღო, რომ შეეცვალა ტელეფონის მავთული, რომელზედაც რევოლვერის ბუდე ეკიდა. წასვლის წინ დედას მხარზე უხერხულად, მოუქნელად მოუთათუნა ხელი.

ერემია პეტრეს ძე ბაშკატოვი ამ დროს დაუღალავად მუშაობდა. მას ისეთი არავინ არ ჰყავდა, რომ გამოთხოვებოდა, მისივე თქმით, სატანასავით მარ-

ტოდმარტო იყო. თხუთმეტი წლის აგვისტოდან უმეტესად სანგრებში, მიწუ-რებში, ბლინდაჟებში, ღია ცის ქვეშ ცხოვრობდა, სამხედრო საპყრობილეც გაძოსცადა. „40 კაცისა და 8 ცხენის“ თბილანა იყო მისი მშობლიური სახლი და ახლა ნაცადი ფრონტელი ჯარისკაცის მიხვედრილობით და გაწაფულობით მყისვე შეუდგა მის მოწყობას. ზოგი რამ, როგორც ჩანდა, წინასწარ მოემზადებინა, ზოგიც გზადაგზა მოიფიქრა. უმოკლეს ხანში ერემია პეტრეს ძემ რიგიანი სადგომი მოაწყო.

თბილანაში დაიდგა „ბურჟუელა“, მას გაუკეთდა ცეცხლისაგან გაფუჭებული, მოხრილი მილი. თაროზე გაჩნდა ჩაიდანი, ტაფა, თეფშები, კოვზები, პატარა ქვაბი, ტახტის ქვეშ — ხელსაწყო-იარაღები: დურგლის ნაჯახი, ხერხი, ლურსმნები. თბილანაში იყო აგრეთვე ორი ტაბურეტი, ნაჭერი საპონი, ნავთიანი ბიდონი. ვედრო, ცოცხი და ფეხსაცმლის საწმენდი ჯაგრისიც კი.

ცალკე ადგილი ეჭირა სურსათის მარაგს. აქ ეწყო ფეტვის ბურღულიანი ტომარა, პარკი, რომელშიც რუხი მსხვილი მარილი ეყარა (ეს იმ დროს დიდი განძი იყო), ხმელი ბოსტნეულით სავსე კალათა და მათარა, რომელშიც სქელი, კუპრივით შავი საჭმელი ზეთი ესხა.

ასეთი მარაგით, რასაკვირველია, შეიძლებოდა ნებისმიერი მოგზაურობის დაწყება.

ამასთან ბაშკატოვი დიდ იმედს ამყარებდა სავაჭრო ოპერაციებზე, ესე იგი პროდუქტების გაცვლასა და შესყიდვაზე, რაც სავსებით შესაძლებელი იყო გზაში. შესყიდვისათვის მას ყოველნაირი ფული მოეპოვებოდა, რასაც კი იმ წლებში ხმარობდნენ.

ძალიან განცვიფრდა ავანგარდი, როცა ბაშკატოვმა ჩანთიდან ამოიღო სქელი ფუმფულა ხალიჩა, ცისფერი ფარდა, რომელსაც ჯერ კიდევ არ გასცლოდა თავადაზნაურული კეთილსურნელება, და ვენზელიანი უცნაური ჩამოსაკიდი.

ჩრჩილისა და ხოჭოებისაგან დაჭმულ-დაჩენჩილი ყველა ეს საოცარი ნივთი ბაშკატოვმა ორდერით მიიღო ყოფილი გრაფის პოლტოვის სახლიდან, როცა სწავლულთა კომისიამ დაადგინა, მათ ისტორიული მნიშვნელობა არა აქვთო. ხალიჩა და ფარდა ტახტზე დააფინეს, რომ რბილად ყოფილიყვნენ, გრაფის ვენზელიანი ჩამოსაკიდი კი თავთან მიაჭედეს კედელზე.

ბოლოს ყველაფერი დაასრულეს, რის გაკეთებაც კი შეიძლებოდა. ახლა ლოდინის მეტი არაფერი დარჩენოდათ. ავანგარდს კი სრულებით არ შეეძლო ლოდინი. ხშირად ეღვიძებოდა ღამით, ყურს უგდებდა რკინის შორეულ რაკუნს, რაღაც გაურკვეველ ხმებს. „ვცხოვრობთ, თითქოს მივდივართ, ადგილზე კი ვდგავართ“, — გაიფიქრა და იქვე დაასკვნა, ეს რომელიღაც მომავალი ლექ-

სის სტრიქონია, რომელიც აუცილებლად უნდა დაეიმახსოვროო. ამ საქმეში ავანგარდი ახალბედა როდი გახლდათ, მისი ერთი ლექსი კედლის გაზეთშიც კი მოათავსეს „სერგეი ავანგარდის“ ხელმოწერით. სიბნელეში მაცქერალმა სცადა ლექსი შეეთხზა, მაგრამ სიტყვას „ვდგავართ“ რითმა ვერ მოუნახა და მალე ისევ ჩაეძინა.

დილით ბაშკატოვი მსუბუქად გადმოხტა ტახტიდან, მაზარა მოისხა და ახალი ამბების გასაგებად გაიქცა. უკან დაბრუნებულს ავანგარდი ისევ მძინარე დაუხვდა და დიდხანს ანჯღრევდა.

— ძამიკო, — უთხრა მას, როცა „ბურჟუელას“ დანთება დაიწყო. — საქმე ასეა: წუხელ სახელოსნოებში თვითონ კრუპატკინი და საგანგებო კომისიის თავმჯდომარე კრაიზერი ყოფილან! უთქვამთ, დააჩქარეთო რემონტი, დანიშნულია კომისარი!

„ბურჟუელა“ უწყალოდ ხრჩოლავდა, ბაშკატოვი იძულებული გახდა, ფართოდ გაეღო კარი. ქარმა მსხვილი, მჩხვლეტავი თოვლი შემოყარა. ბაშკატოვმა ადუღებულ წყალში სახარინის ნატეხი ჩააგდო, შემდეგ ჯამში ჰვავის პურის ნამცეცები ჩაფერთხა.

საუზმის შემდეგ ერემია პეტრეს ძემ ჩანთიდან ნემსები და ძაფი ამოიღო და ავანგარდს უთხრა, „ხელსაქმეს“ მოკიდე ხელიო. თვითონ ქალის სიმარდით გაუყარა ნემსის ყუნწში ძაფი და დაბამბული ქურთუკის სახელოზე დიდი საკერებლის დაკერებას შეუდგა.

ავანგარდსაც უნდა დაეკერებინა თავისი გიმნასტურა, მაგრამ არაფრის გაკეთება არ სურდა. „ძალიან ცუდია ლოდინი, — ფიქრობდა ტახტზე მწოლარე, — ელოდო და არ იცოდე, როდის ეღირსები!.. ო, ო... საშინელებაა... სულაც არ გინდა რაიმე აკეთო!“

— ეს კი ფილოსოფიაა! — უთხრა ბაშკატოვმა, როცა ავანგარდმა თავისი მოსაზრება გამოთქვა. — დრო ხომ გადის! მაშასადამე, აკეთე, რაც შეგიძლია!

ავანგარდი დიდად არ შეკამათებია, გრძნობდა, რომ მართალი არ იყო. შუადღისას ბაშკატოვმა დაავალა, ფაფა გაეკეთებინა. ამ დავალებას წარმატებით გაართვა თავი. როცა ქვაბი და კოვზები გარეცხა, ისევ სიზარმაცე მიეძალა. ეხარბებოდა, რომ ბაშკატოვი მშვიდად საქმიანობდა. ერემია პეტრეს ძემ უკვე დააკერა თავისი დაბამბული ქურთუკი და ახლა ქვემოთ შემოცვეთილი მაზარის კალთების ამოხვევას შეუდგა. მან სქელ, რუხ მაუდში ნემსი გაუყარა და თქვა:

— ვნანობ, რომ ქსოვა არ ვისწავლე. რა არ ისწავლა ხალხმა სანგრებში... ზოგიერთმა წინდის ჩხირები და რაღაცნაირი თითისტარებიც კი გაიჩინა... ხელთათმანებსა და წინდებს იქსოვდნენ... ეს სასარგებლოცაა და დროსაც ჰკლავ!

ავანგარდმა გაიფიქრა, — დროს მოსაკლავად არანაკლები საშუალება არსებობს, ვიდრე ქსოვაა, მაგალითად, ძილიო. ასე გასინჯეთ, ისეთი საშუალებაც კია, რომლის მეოხებითაც ყოველ დროს და ყოველ ვითარებაში შეიძლება დაიძინო. უნდა დაწვე „ქარიყლაპიურად" (რატომღაც ასე ეძახდნენ წოლის ამ მდგომარეობას), ოდნავ მარჯვენა გვერდზე, ხელები ფერდებზე ფარფლებივით დაიწყო და ცხვირით თანაბრად ისუნთქო. ამ საშუალებას წარმატებით უჩვენებდა ავანგარდი ამხანაგებს, როცა შეკვეთით იძინებდა.

ახლაც. როგორც კი „ქარიყლაპიურად" დაწვა ტახტზე, მაშინვე ღრმად დაიძინა.

დრო გადიოდა, ბაშკატოვი კარს აჯახუნებდა, მიდიოდა და ბრუნდებოდა, ხმაურით ტრიალებდა ვიწრო ბინაში, ავანგარდს კი ეძინა, ერთხელაც არ განძრეულა. „იძინოს, — ეღიმებოდა მის შემხედვარე ბაშკატოვს, — სულ ერთია ვზაში გაიტანჯება! როცა გძინავს, ცოდვებს მაინც არ სჩადიხარ".

ალბათ, დილამდე გაგრძელდებოდა ავანგარდის დეკგმირული ძილი, რომ ვილაცის ცხელი, მოალერსე ხელი არ შეხებოდა სახეზე და რუსული ღუმელის, ცომის, კვლიავის ნაცნობი სურნელება არ ეგრძნო...

თვალები გაახილა, იდაყვებზე წამოიწია, ვერ გაერკვია, სიზმარი იყო თუ ცხადი: იქვე ახლოს დედა ფუსფუსებდა, რაღაც ფუთას ხსნიდა, წყნარი მშობლიური ხმით ჰყვებოდა:

— მარუსია კოლოსკოვა მოვიდა დეპოდან... მეუბნება, მათი ვაგონები როგორც იდგა, ისევე დგას სათადარიგო ხაზზეო... ორთქლმავალიც არ არისო!.. ვიფიქრე, მოდი კვერს გამოვუცხობ-მეთქი... ცომს ამოყვანა უნდოდა, მაგრამ შემეშინდა, ვაი თუ ვერ მოვასწრო-მეთქი... შეხედე, შვილო, სულ ცხელია!.. კვერები ქოთანში ჩავალაგე, ქოთანი კი ბალიშში ჩავდე... ბალიშს, რასაკვირველია დაგიტოვებ! — მის წყნარ ხმაში ეშმაკური, გამქირდავი კილო იგრძნობოდა. — ბალიშს უკან ხომ არ ვათრევ!

ავანგარდს ახლა საბოლოოდ გაუფრთხა ძილი.

— აბა, რა საჭირო იყო ეს დავიდარაბა! — თქვა დაბეჯითებით და ალმაცერად გადახედა ბაშკატოვს. — მოსაკითხი მომიტანა, თითქოს პატარა ვიყო.

— ეს ხომ შინაურული, ქონით გაკეთებული კვერებია!.. როდისღა ჭამ ასეთს? — დარწმუნებით ეუბნებოდა დედა. — გასინჯეთ ჩვენი ნახელავი, — მიუბრუნდა ბაშკატოვს. — ცომს ამოყვანა უნდოდა, მაგრამ არ მოხერხდა!

— ო, ჰო, ჰო, რა მშვენიერებაა! — თქვა ბაშკატოვმა და მოზრდილი მოშაო კვერი ხელისგულზე დაიდო. — ორთქლიც კი ასდის! დიდი მადლობა, დიდი, რომ გაგახსენდით ყარიბები.

დედა კი იჯდა, ლოყა მუშტზე დაეყრდნო და უცქერდა, როგორ ილუკმებოდნენ ისინი.

— კვერების მოტანა მაინც მოვასწარი! — ტკბილი ხმით ამბობდა დედა და იღიმებოდა, დანაოჭებულ სახეზე შუქი ეფინა. — დაცვამაც რომ გამომიშვა, ეს იყო ბედნიერება!.. ირგვლივ აუარებელი ხალხია!.. კიდევ რამდენ ხანს გალოდინებენ აქ, ჩემო კარგებო?

ამ დროს, თითქოს მას უპასუხაო, ორთქლმავლის ჩახრინწული ხმა გაისმა. ავანგარდს გული აუძგერდა, შეუშმელი კვერი ტახტზე დადო.

— აჰა, გვეხმიანება! — თქვა ბაშკატოვმა.

კიდევ ერთხელ, უკვე გაბედულად და ომახიანად, თითქოს ყელი ამოიწმინდაო, ახმიანდა საყვირი. ბაშკატოვი ლიანდაგზე გადმოხტა. შორიდან მძლე გუგუნი მოიჭრა, რომელიც უფრო და უფრო ძლიერდებოდა, თითქოს მთიდან მეწყერი ეშვება ნელ-ნელაო.

— ჩასასხდომად ემზადებიან! — თქვა ბაშკატოვმა. — მაშასადამე, რაღაც იქნება!

გვერდით გაირბინა ფარნიანმა რკინიგზელმა. ბაშკატოვმა ხელი სტაცა.

— მივდივართ?

— ორთქლმავალი მოიყვანეს შამატოვოდან! — მიუგო რკინიგზელმა და გზა განაგრძო. დედა აჩქარდა.

— ამოსვლით მარდად ამოვედი, მაგრამ უკან როგორღა ჩავიდე?

ქალს ორივე მიეხმარა ჩასვლაში.

— შენ წადი, ნუ დაგველოდები, — ჩუმად უთხრა ავანგარდმა.

— კარგი, შვილო, წავალ! — მიუგო დედამ. იგი მათ წინ იდგა პატარა, დალეული და ხმელ-ხმელი, ფოჩებშემოვლებული შავი თავშალი შემოეხვია. უცებ, ისე, რომ ავანგარდმა თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრო, დედამ პირჯვარი გადასახა. „ასე ხომ ეკლესიაში იციან“, — შიშით გაიფიქრა ავანგარდმა და თვალები დახუჭა, ვერ გაებედა ბაშკატოვისთვის შეეხედა.

— გზა მშვიდობისა, ძვირფასებო! — უთხრა მათ დედამ და ლიანდაგს გაუყვა.

— გმადლობთ კეთილი სურვილისათვის! — უპასუხა ბაშკატოვმა. — ბედნიერად იყავით! ელოდეთ მოსკოვურ საჩუქრებს.

მატარებელი ნელა მიდიოდა, თითქოს სული ეხუთებაო, ვაგონები ირხეოდნენ და ჭრიალებდნენ, მაგრამ ეს გულისგამაწვრილებელი ერთფეროვანი ხმა მუსიკად ეჩვენებოდა ყველას, ვისაც ბედი ეწია და ვაგონში მოხვდა.

ავანგარდი ერთბაშად ჩამოვარდნილმა სიჩუმემ გამოაღვიძა. რამდენიმე

წამს ის კიდევ წინ მიცურავდა. კარის ფართო ჭუჭრუტანაში შეეერცხლილი დილა იხედებოდა, ავანგარდისკენ შიშველი, შეყინული ტოტები გამოეწვდინა ერთადერთ ხეს სადგურზე, წითელ ჯიხურთან. ვაგონის გვერდით იდგა ბებერი, შავგვრემანი ბოშა-ქალი, რომელსაც უშველებელი ჭრელი თავშალი მოეხვია, ყელზე გასაოცარი მძივები ეკიდა. ავანგარდი უცებ ვერ მიხვდა, რომ ეს ერთმანეთზე მჭიდროდ აცმული გამხმარი თევზები იყო.

— შენს თავს უმკითხავე, რად მინდა შენი მკითხაობა?! — დამაჯერებლად ეუბნებოდა ბაშკატოვი ბოშას. — თვითონ გიმარჩიელებ თუ გინდა, თანაც უფასოდ... სიმღერები კი მართლაც კარგი იცით ბოშებმა. მაგრამ ახლა სასიმღეროდ არა გვცალია!.. მოდი, საქმეზე ვილაპარაკოთ: ჩემი ფეტვის ბურღული, შენი თევზი!

გაცვალეს და ბოშა ქალი ბურტყუნით წავიდა სადგურისაკენ, თანაც აქეთ-იქით იხედებოდა. ბაშკატოვი დიდად კმაყოფილი დარჩა თავისი შენაძენით: მოამზადებდნენ ახალ, შესანიშნავ კერძს — თევზიან ფეტვის ბურღულის წვენს.

საღამოს მათთან მთავარმა კონდუქტორმა — მოხუცმა, ქუდგაზინთულმა, ულვაშა რკინიგზელმა შეიხედა. მთავარი კონდუქტორი შესამოწმებლად მოვიდა, მაგრამ ბაშკატოვს გამოელაპარაკა და ცეცხლთან ჩამოჯდა. ჯიბეში ერთი მწიკვი ნამდვილი ჩაი აღმოაჩნდა, რაც იშვიათზე იშვიათი საჩუქარი იყო.

გახურებულ „ბურჟუელასა“ და ცხელი ჩაის სმისაგან დასცხათ: კარი გამოაღეს, და ბორბლების არეულ რაკარუკში გადაიშალა მყუდრო დათოვლილი ველები, გამოჩნდა მკრთალად განათებული პატარა სახლები.

დღემ ყინულის ხორგივით ჩაიქროლა. მას მოჰყვა სრულიად მსგავსი მეორე დღე. ისევ გულისგამაწვრილებლად ჭრიალებდნენ ვაგონები, ისევე გაცურდა უკან დათოვლილი ველები — ზოგი რუხი, ზოგი ლურჯი, ზოგი თითქოსდა ნაფტალინმოყრილი. ბოლისაგან გაშავებული ბოძები ისე ნელა ეფარებოდნენ თვალს, თითქოს მიმავალ მატარებელს დასცინიან და ეუბნებიან: „კარგა ხანს ვერ მიაღწევ ჩემს მეზობლამდე“.

სადგურებში გაჩერებისას ბაშკატოვი ქამარზე ხის ბუდიან პარაბელუმს იკიდებდა, ავანგარდი კი თავის მოსევადებულ ნაგანს და ასე გამოდიოდნენ გარეთ.

მატარებლის შემადგენლობაში რამდენიმე სამგზავრო ვაგონი იყო. ადამიანთა ტალღა ზათქით, გრიალით აწყდებოდა ხალხით გაჭედილ ვაგონებს, სადაც ისედაც ჭირდა სუნთქვა. ტომრებით, ჩემოდნებით, ჩანთებით დატვირთული, რაღაცით ერთმანეთის მსგავსი კაცები მოურიდებლად არღვევდნენ ადამიანთა კედელს, აინუნშიც არ აგდებდნენ არც მათ წყევლა-კრულვას, არც

მუქარას და არც ქალების ტირილს, მიძვრებოდნენ ბუფერებზე, გადასაბმელებზე, სახურავებზე.

ტრანსპორტის საგანგებო კომისიის აგენტები, წითელარმიელები და განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილთა კომკავშირელები ამ ერთმანეთზე მიჭყლეტილ, მოხიხინე ადამიანთა ბრბოში ტრიალებდნენ და ჯიკავჯიკავით შეჰყავდათ ტამბურებში ქალები, მოხუცები და ინვალიდები, რომლებიც მათ ქაღალდებს აჩრიდნენ.

ბაქანზე ხალხი აქეთ-იქით დარბოდა, ერთმანეთს ეჯახებოდნენ ჩემოდნებიანი, ბოხჩებიანი, ყუთებიანი, ტომრებიანი ადამიანები, ესეოდნენ თბილანებს, მაგრამ ყოველ თბილანას წინ თოფიანი დარაჯები იდგნენ და ძვირფას ტვირთთან არავის უშვებდნენ.

სადგურიდან, რომელსაც უცნაური სახელი — ჩელობიტნაია ერქვა, უკან ბრუნდებოდა ვითარების გასარკვევად წასული ბაშკატოვი. ხელში უდიდესი სიფრთხილით ეპირა გაზეთის ნაგლეჯი.

— იმ სულკატიანებმა პაპიროსისთვის დასწვეს ასეთი გაზეთი, — გულდაწყვეტით ამბობდა ბაშკატოვი. — მოსკოვისაა... თებერვლის... გესმის? ძლივს გამოვთხოვე ეს ნაგლეჯი!

ავანგარდმა ბაშკატოვისებური სიფრთხილითვე აიღო ამ რვა დღის წინათ მოსკოვში ნამყოფი გაყვითლებული ფურცლის ნახევი, რომელსაც მაზუთიანი თითების ნაკვალევი აჩნდა.

მათ უჩვეულო მოთმინებით დაიწყეს მაზუთის გადღაბნილ ლაქებს შორის გაურკვეველი, ფერგადასული ნაბეჭდის ასო-ასო ამოკითხვა.

და ერემია პეტრეს ძე ბაშკატოვი, რომელიც ყველაფერში თავკაცობდა, იძულებული გახდა ეღიარებინა ავანგარდის უპირატესობა, რადგან სწორედ მან შეძლო რამდენიმე განცხადება წაეკითხა და დაედგინა, რომ გაზეთის ნაგლეჯი მესამე და მეოთხე გვერდების ნაწილი იყო.

„საბინაო მოსამსახურეთა კავშირი იუწყება, — ომახიანად კითხულობდა ავანგარდი, — რომ ეკლესიების დარაჯთა და მეტაბლეთა კავშირი... — ჰმ, ეს ბერებისმაგვარი ხალხია, არა? — პროფკავშირის მოსკოვის საბჭოს დადგენილებით შეუერთდა საბინაო მოსამსახურეთა კავშირს!.. პარიკმახერთა კავშირი იტყობინება, რომ რეგისტრაცია ყველა...“ — შემდეგ მოხეულია! აი, კიდევ! — „პროლეტარული კლუბის გამგეობა იუწყება, რომ მუშებისთვის ეწყობა ექსკურსია ხელოვნების მუზეუმში... ვოლხონკა მაცხოვრის ტაძრის პირდაპირ...“

ბაშკატოვი უსმენდა, მოუთმენლად ცმუკავდა ტაბურეტზე და სულ იმას ცდილობდა, რამე ეთქვა.

— იცი, მე ხომ იქ ნამყოფი ვარ! სწორედ იმ ადგილებში! თითქოს ახლა

ვხედავდე იმ მაცხოვრის ტაძარს! ეჰ, მოსკოვი, მოსკოვი! შემეძლო იქ მოვწყობილიყავი!

გამოირკვა, რომ ერემია პეტრეს ძე კინაღამ კრემლის სკოლის კურსანტი გამხდარიყო, ასე გასინჯეთ, ყველა ანკეტა შეევსო, კრემლის სასადილოს ტალონით ესადილა კიდეც, უკვე წვერის მოპარსვასაც კი აპირებდა თურმე, რომ აღმოსავლეთის ფრონტზე გაგზავნის ცნობა მიიღო. „ჰოდა, ჩემი სამხედრო წვერი ურალში წავიყოლე", — დაამთავრა თხრობა სიცილით. მას თვალები და კბილები უკრთოდა. ქერა, მოკლე, მომრგვალებული წვერი მიწებებული გეგონებოდათ მის ახალგაზრდულ, უნაოჭო სახეზე.

ავანგარდი გაოცებული იყო. მამალივით გვერდულად უცქეროდა და ათვალიერებდა ამ გასაოცარ ბაშკატოვს, რომელსაც, თურმე, კრემლში ესადილა. ამ კაცს ერთხელაც არ დასცდენია სიტყვა ასეთ განსაცვიფრებელ ამბავზე!

ავანგარდს შეეძლო ბევრი რამ წარმოედგინა და გონებით მიწვდომოდა — მას ხომ წაკითხული ჰქონდა „საიდუმლო კუნძული", „ინდოეთის ჯურღმულებში", „სამყაროთა ომი". მაგრამ მოსკოვზე ფიქრის დროს ვერაფრის წარმოდგენას ვერ ახერხებდა.

— ვთქვათ, ჩავედით მოსკოვში! გადმოვედით მატარებლიდან! შემდეგ?— დაეინებით ეკითხებოდა ბაშკატოვს.

— შემდეგ? შემდეგ ჩავაბარებთ ვაგონებს, ანგარიშს წარვუდგენთ უფროსებს. — ერემია პეტრეს ძე ოცნებით იღიმებოდა. — პარიკმახერებმა ხომ რეგისტრაცია გამოაცხადეს! მაშასადამე, სადღაც უთუოდ კრეჭენ და პარსავენ! მე და შენ, ალბათ, იმ მეტაბლე ბერებზე ნაკლებად არ უნდა ვიყოთ გაბანჯგლულები... შემდეგ წავალთ აბანოში... ხოლო შემდეგ დავრეკავთ ტელეფონზე: „გამარჯობათ, ვლადიმერ ილიას ძევ! მავან და მავანი ჩამოვედით!"

ავანგარდს ეს არ სჯეროდა. ნუთუ შეიძლება დაატრიალო აპარატის სახელური და დ ა უ რ ე კ ო ლ ე ნ ი ნ ს?!

მაგრამ ბაშკატოვი სრულიად დარწმუნებული ლაპარაკობდა:

— მე და შენ პატარა ადამიანები ვართ, ძმაო ავანგარდ, საქმეები კი დიდი გვაქვს!

•

• •

მემანქანე და ცეცხლფარეში ორთქლმავლიდან გადმოვიდნენ და რწევით გაემართნენ ვაგზლისაკენ.

— არ მომწონს ეს ზურგები! — თქვა მათმა მაცქერალმა ბაშკატოვმა, — კატეგორიულად არ მომწონს! სადგურიც რა საძაგელია!

მართლაც, უსიამოვნო სანახავი იყო სადგური ლიპსკაია—ვაგზლის ყვითელი, ბათქაშჩამოცვენილი კედლები, ჭუჭყიან გუბეებად ქცეული თოვლი, მზეჩუმზირას ჩენჩოთი და პაპიროსის ნამწვებით სავსე ადუღებული წყლის კასრები.

ბაშკატოვი დასაზვერად წავიდა.

უკანდაბრუნებული დიდხანს ტენიდა თავის ჩიბუხს, აბოლებდა და ხვნეშოდა.

— ამას იქით აღარ მივყავართ, ჩემო ავანგარდ! — თქვა ბოლოს. — გული მიგრძნობდა!.. შემცვლელი ბრიგადა ერთ გადასარბენს იქით ელოდებათ, ეს ფრანტები კი გაჯიქებულან: ჩვენ ჩვენი ნორმა გამოვიმუშავეთ, ახლა დღე-ღამე ჩვენიაო. ერთხმად ვცადეთ მათი დაჯერება: „როგორ იქნება, ძმებო, დაფიქრდით“. გვითხრეს: „უფროსებმა იფიქრონ, მათ დიდი თავი აქვთო!“ დავურეკეთ უფროსობას, ძლივს დავუკავშირდით, გვიპასუხა: „თვით საბჭოთა ხელისუფლებამ დააწესა რვასაათიანი სამუშაო დღე! თქვენ რა, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგი ხართ?!“ აი, როგორ შემოატრიალა საქმე რკინიგზის კონტრამ!.. ახლა ატეხეს ერთი განგაში...

ბაშკატოვმა ჩიბუხი გამობერტყა, ტახტის ქვეშ ხის ნაჭერი გამოიღო და გააფთრებით შეუდგა კოვზის თლას. ერთი ასეთი კოვზი მან უკვე გამოთალა და ავანგარდს აჩუქა.

— შესანიშნავად კი ვიმგზავრეთ ლიპსკაიამდე! უნდა გამოვტყდე, რომ მღელვარება შემეპარა... — კვლავ ალაპარაკდა ბაშკატოვი. — სამაგიეროდ, ახლა ყველაფერი რიგზეა. — ირონიულად ჩაიქირქილა მან. — ვიჯდეთ და ვუსტვინოთ, სანამ შემცვლელი ბრიგადა მოვიდოდეს... ამას გარდა, ავარიებიც ხომ ხდება! უნდა ითქვას, საკმაოდ ხშირადაც! როდესაც მოსკოვიდან მოვდიოდით, გზაში ორთქლმავალი დაგვეწვა! ვითომ რად უნდა დამწვარიყო რკინა! შენ წარმოიდგინე, ასანთის კოლოფივით აბრიალდა! იცი, რამდენ ხანს ვიდექით მაშინ? — ბაშკატოვი ცოტა ხნით გაჩუმდა. — ხუთი დღე-ღამე!

— ძალიან მანუგეშებ! — დაღვრემილად ჩაიცინა ავანგარდმა. — ახლა შეიძლება მშვიდად იძინო!

მაგრამ მას უკვე ძილიც აღარ უნდოდა. ნაცადმა „ქარიყლაპიურმაც“ ვერ უშველა. ავანგარდი თავისი თავის უკმაყოფილო იყო. ცოტა ხნის წინათ ბაშკატოვმა ლექცია წაუკითხა საინტერესო თემაზე: „რა არის დარდი და მოწყენილობა და როგორ ვებრძოლოთ მას!“ ერემია პეტრეს ძე გამოცდილი ლექტორის ტონით მიმართავდა გონებაში წარმოსახულ აუდიტორიას და თავის მოსაზრებებს გამოთქვამდა: „მოწყენილობას სუსტ სნებას უწოდებენ! — ამბობდა ის. — მოწყენილობის წინააღმდეგ ხმარობენ, ასე ვთქვათ, შინაურულ სა-

შუალებებს: ანეგდოტებს, მზესუმზირას, ბანქოს, ლოტოს — ვისაც რა შეუძლია!.. დარდი კი სხვა საქმეა! არის დარდი გულისმიერი, სანგრისმიერი და გზისმიერი... ამ ქალბატონ დარდის მორთულობა საავდრო ღრუბელივით შავია. მზესუმზირა და ანეგდოტები მასზე არ მოქმედებენ! ყველაზე საიმედო საწინააღმდეგო საშუალება ის იქნება, რომ სრულებით არ შეიმჩნიო, ნაცნობობა არ გაბა, არ დაემორჩილო მას. ხდება ხოლმე, სადმე შეგხვდება აბეზარი მგზავრი ქალი! აღარ მოგეშვება, გექაქანება დაუსრულებლად, შენ კი ზრდილობის გულისათვის უპასუხებ: „დიახ-დიახ!“ „ჰო-ჰო!“ „ჭეშმარიტად!“ — ამ დროს კი სხვა რამეზე ფიქრობ. მაგრამ საკმარისია გამოიჩინო სისუსტე, და ხათაბალაში გაებმები! ის ქალი გაიგებს შენს მისამართს, წაუღებ ჩემოდანს და ბევრ სხვა რამეს...“

ავანგარდი უსმენდა ამ ჭკუის სასწავლებელ ლექციას, რომლითაც ბაშკატოვი ბრძოლაში იწვევდა „აბეზარ მგზავრ ქალს“, და დანაღვლიანებული აღიარებდა, მაინც სუსტი კაცი ვარო! მაგრამ ის ხომ იწრთობოდა, ნებისყოფას და გამძლეობას ეჩვეოდა. ერთხელ, მაგალითად, გულითად მეგობარს ვასია გუსაროვს პირობა მისცა, რომ მთელი დღე-ღამის განმავლობაში არ დალევდა წყალს, და კიდეც ჩაბარა გამოცდა. ერთხელ ღამე გაათია მიტოვებულ სასაფლაოზე, რომელიც სხვებს დღისითაც კი აშინებდა. ავანგარდი ფიქრობდა, რომ ბევრი შესანიშნავი საქმის გაკეთების უნარი ჰქონდა. მაგრამ ხომ არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც ჯდომა და ლოდინი არ შეუძლიათ!

სწორედ ეს არ შეეძლო ავანგარდს!

მან ქისა ამოიღო, და როგორც ბაშკატოვი ამბობდა, „ზორბა პაპიროსი“ გაახვია. ნაფაზი რომ დაარტყა, ზიზღისაგან კინაღამ გული აერია, თითქოს ახლა იწყებდა წევას. ავანგარდმა კიდევ ერთხელ შეისუნთქა მწარე კვამლი და პაპიროსი კარის ღრიჭოში გადაისროლა. საფეთქლები ტეხდა, პირში სიმშრალის საზიზღარი შეგრძნება ჰქონდა. როგორც ეტყობოდა, გაციებაც მოახერხა. მთავარი კი ის იყო, რომ უნდოდა ბაშკატოვისთვის შეეჩივლა, ეთქვა, თავს ცუდად, საძაგლად ვგრძნობო...

ავანგარდმა ხელები მომუშტა, მრისხანედ შეკმუხნა წარბები — ამას არასოდეს არ ვიზამო! ბაშკატოვმა გაოცებით შეხედა მას, და ავანგარდი გაბრაზდა. უკვე აღარ უნდოდა შეეჩივლა, პირიქით, სურვილი დაებადა, მოენახა მკვახე, საწყენი სიტყვები, გაეჯავრებინა ბაშკატოვი, მაგრამ შერცხვა თავისი უხიკი სურვილისა, ტყაპუჭი ჩაიცვა და ვაგზლისკენ გაემართა.

ფანტელებად დიოდა წყალთოვლი, ვაგონების სახურავებზე სქლად იდო. ეგი. ეტყობოდა, ვაგონები დიდი ხანია იდგა აქ და მანამ იქნებოდა, ვიდრე, თოვლი მთლად არ დაფარავდა... ნუთუ აგონდება ვინმეს მიყრუებულ სადგურზე მდგარი ეს მატარებელი?

ტელეგრაფის შესასვლელთან მოლისფერმაზარიანი გუშაგი იდგა, ყელიანი მძიმე ფეხსაცმელი ეცვა და ტოლაღები ჰქონდა შემოკრული. ხელში ეჭირა შაშხანა, რომელზეც სამწახნაგოვანი ხიშტი იყო წამოცმული. ტელეგრაფის ოთახიდან აჩქარებული კაკუნი, ზარის რეკვა, ტელეფონის წკარუნი ისმოდა.

კარი გაიღო და გამოვიდა მატარებლის კომენდანტი, საოცრად მხარბეჭიანი კაცი. იგი ცხვრის ტყავის მოკლე ქურთუკში იყო გამოწყობილი, რომელზედაც აშურმიანი შესანიშნავი ქამარი შემოერტყა. ავანგარდმა ნაძალადევი გულგრილობით შეავლო თვალი კომენდანტს; დიდი ხანია ოცნებობდა იგი ასეთ შესანიშნავ აღჭურვილობაზე. კომენდანტთან ვიღაც უცნობი მივიდა. მას ყელთან ლითონის ბალთით შეკრული, ძველი რეჟიმისდროინდელი ლაბადა მოესხა. უცნობმა ხელი წინაფრასთან მიიდო და უთხრა:

— ნებას მომცემთ შეგეკითხოთ?! მე კარაულოვი ვარ, თქვენდამი რწმუნებული შემადგენლობის მგზავრი!.. გვითხარით თუ შეიძლება, როდის წავა მატარებელი?!

ეს კითხვა ჭეშმარიტად დიდებულად გაისმა.

— განრიგით თორმეტ საათსა და თვრამეტ წუთზე უნდა წავიდეს, მაგრამ, მგონი, დაიგვიანებს. — სრულიად სერიოზულად უპასუხა კომენდანტმა და თვალი ჩაუკრა ავანგარდს.

— მადლობას მოგახსენებთ! — თავაზიანად უთხრა ლაბადიანმა კაცმა და თავისი ვაგონისაკენ გაემართა. ზურგზე უხეირო შავი ჩანთა ეკიდა...

არა, არც ერთი წამით არ ჩერდება ცხოვრება! არაფერი არ ეძლევა დაეიწყებას. ადამიანები ხუმრობენ და მოთმინებით ელოდებიან. ტელეფონის აპარატებთან დაჟინებით ისმის ლაპარაკი და ჩხაკუნებს ტელეგრაფის სახელური.

•

• •

ბაშკატოვი, რომელიც ფხიზლად თვლემდა ტახტის კიდეზე, უცებ წამოხტა და კარი გამოაღო. ავანგარდმა ძილში რაღაც წაიბურტყუნა და ნახევრად პირდაღებულმა კვლავ მძიმედ დაიწყო სუნთქვა.

უფერული დილა გათენდა. დათოვლილ ველებს იქით, შავ, თითქოსდა ტუშით მოხაზული ჰორიზონტის ზემოთ, მეწამული ლაქა აშუქებდა. ლაქა თითქოს მოძრაობდა, მოხაზულობას იცვლიდა, ფეთქავდა და თავის გარშემო ნარინჯისფერ შარავანდედს ჰფენდა. „შორს ხანძარია“ — გაიფიქრა ბაშკატოვმა.

განუწყვეტლად რეკდა სადგურის ზარი და მძინარეთ აღვიძებდა. ვაგზლი-

საკენ მიემართებოდნენ დამფრთხალი, თმაგაბურძგვნილი ადამიანები, ზოგიერთები გზადაგზა იცვამდნენ.

ზართან ჩანდა მეზღვაურის ბუშლატიანი მაღალი კაცი, რომელსაც ტყვიამფრქვევის ლენტები ჰქონდა შემოკრული. მის გარშემო უწესრიგოდ იყრიდნენ თავს შაშხანიანი ადამიანები. გვერდით გრძელ მერხზე იდგა თვითნაკეთი საკაცე, რომელსაც უხეში ტილო ეფარა, იქვე ეწყო შაშხანების მთელი გროვა.

ზარის რეკვა შეწყდა. მაღალმა მეტყვიამფრქვევემ თვალი მოავლო გარშემო შეგროვილ მდუმარე ხალხს.

— მოქალაქენო! — იყვირა მან. — ნახეთ ყველამ! ძნელი საყურებელია, მაგრამ საჭიროა ნახოთ!.. აი!..

მან საკაცეს ტილო გადახადა. საკაცეზე პირით კედლისაკენ გადაბრუნებული უპერანგო კაცი იწვა. მის უცნაურად თეთრ ზურგზე მკვეთრად გამოირჩეოდა ლურჯი ზოლები. რომელიღაც ახლო მდგომმა ქალმა სახეზე ხელები აიფარა და გაიქცა.

— მოქალაქენო! ყველამ ნახეთ? — მკვახედ იკითხა მეტყვიამფრქვევემ.

— თქვი! რას აჭიანურებ? — დაუყვირეს ხალხიდან.

— მაშ ასე, მოქალაქენო! ჩვენ მოსკოვის სასურსათო რაზმიდან ვართ! აქ დამშეული გუბერნიებისათვის პური მზადდება... ირგვლივ ძველი რწმენის ხალხი ცხოვრობს!.. მათ პური თავზე საყრელად აქვთ, მაგრამ კაცს რომ სული ძვრებოდეს, ნამცეცს არ გაიმეტებენ! პურისაგან ეს ხალხი არაყს ხდის, ღმერთი კი სწამთ... სასურსათო განაწილების მიხედვით, ისინი ვალდებული არიან, ზედმეტი პური ჩაგვაბარონ, მაგრამ მათ საბჭოთა ხელისუფლებისა და დამშეული ხალხის წინააღმდეგ გაილაშქრეს! მერე და, რას უშვრებიან ხალხს?! თავის მეზობელს სიცოცხლე მოუსპეს! რატომ? იმიტომ, რომ გვიჩვენა ადგილი, სადაც კულაკების პური ლპებოდა!.. წამოვასვენეთ იგი, რათა უპატიურად არ მოპყრობოდნენ მიცვალებულს და ადამიანურად დაგვემარხა! — მეტყვიამფრქვევემ ფრთხილად დაუშვა ტილო საკაცეზე და გაჩუმდა.

ბაქანზე სიჩუმე ჩამოწვა, გეგონებოდათ, ხალხმა სუნთქვა შეწყვიტაო.

— ხედავთ შორს იმ არილს? სოფელი იწვის, — განაგრძო მეტყვიამფრქვევემ. — იქ ჩვენი პურის შესაგროვებელი პუნქტია!.. ამ პურის შესახებ უკვე გაგზავნილია ცნობა სასურსათო სახალხო კომისარიატში, მას ელიან მშიერი, დასიებული ბავშვები. იქ ახლა ჩვენი ამხანაგები მშრომელი გლეხობის მხურვალე დახმარებით ცდილობენ პური ბოროტგანწირახველურ დაწკას გადაარჩინონ და საიმედო ადგილებში გადააქვთ. ბოროტმოქმედნი ამას როდი დაჯერდნენ! მოსკოვის მახლობლად რელსები აყარეს და რკინიგზა გააფუჭეს... უნდათ, ხელი შეუშალონ ჩვენი პურის ეშელონის გაგზავნას! როგორ მოვიქცეთ

ახლა, ამხანაგებო?! — მეტყვიამფრქვეველმ ხმას აუწია. — პასუხი მხოლოდ ერთია! დავაფრთხოთ ქვეწარმავლები, გავფანტოთ მათი ბანდა... აღვადგინოთ გზა და დავუყენოთ მცველები! დაე, იარონ ჩვენმა მატარებლებმა!.. აქ არიან მამაკაცები, რომლებსაც იარაღის ხმარება შეუძლიათ... იარაღი გვაქვს, მას მივცემთ ყოველ პატიოსან ამხანაგს, რომელიც ისურვებს ხელი შეუწყოს საერთო საქმეს!..

— გასაგებია! დაიწყე! — გაისმა ვიღაცის ახალგაზრდული წკრიალა ხმა. იგი ძალიან ეცნაურა ბაშკატოვს. ხალხს გამოეყო და მაშინვე ავანგარდს შეეჩეხა.

— ბიჭოს?! — უსაზღვროდ გაიოცა ბაშკატოვმა. — შენ ხომ ზაზუნასავით გეძინა!

— როცა საჭიროა, ვიღვიძებ! — მოუჭრა ავანგარდმა.

ბაშკატოვმა მოწონებით შეხედა: „ფხიანი ბიჭია!“ — გაიფიქრა და საბოლოოდ მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება. „აი, რა, ძმაო ავანგარდ! — დაიწყო მეტისმეტად საქმიანი კილოთი. — მაშასადამე, საქმე ასეა...“

— არა, ასე არაა! — შეჰყვირა უცებ ავანგარდმა. სახე გაუფითრდა და ჭორფლი ლურსმნის თავებივით დააჩნდა ლოყებსა და შუბლზე. — ძალიან კარგად ვიცი, როგორც არის! კმარა!.. აქ სასწავლო პუნქტი არ გეგონოს!.. მოეშვი განკარგულებებს და ყველაფრის ერთპიროვნულად გადაწყვეტას!.. მე შენი მაჩანჩალა არ ვარ! — ავანგარდს სული შეუგუბდა და მძულვარებით შეხედა ბაშკატოვს: ნუთუ სულ ახლახან ისინი ერთი ქვაბიდან ჭამდნენ და ერთმანეთზე მიხუტებულებს ეძინათ? — მეც მაქვს უფლება, თოფი ავიღო და წავიდე მათთან ერთად!..

ბაშკატოვი მოულოდნელობისაგან დაიბნა, ასე გასინჯეთ, ნაბიჯით უკანაც კი დაიხია. დუმილით შესცქეროდა გაფთრებულ ავანგარდს, თითქოს ფიქრობდა, როგორ მივიღო მისი სიტყვებიო.

ბოლოს წამოწითლდა და ღაწვებზე კოჟიჟები დააჩნდა:

— ამხანაგო მალცევ! დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ ლაპარაკი!

ავანგარდი შეკრთა, თითქოს შიშველ ტანზე ყინული მიადესო. იგი გადაჩვეული იყო თავის გვარს, დავიწყებული ჰქონდა და ახლა უხამსად მოხვდა ყურში. ახლოს ხალხი ვუგუნებდა, ჩხაკუნებდა საკეტები, ავანგარდს კი არაფერი ესმოდა. მას უკვე ნახული ჰქონდა ბაშკატოვის ასეთი სახე — გაქვავებული კოჟიჟები და მობრიალე თვალები: „შეწყდეს მიტინგი! მოეწყვეთ!“— თქვა ბაშკატოვმა მაშინ და რაზმი ქალაქისაკენ შეაბრუნა...

— გთხოვთ, ნუ დაივიწყებთ, რომ რევკომის ბრძანებით მე მექვემდებარებით! — უთხრა განრისხებულმა ბაშკატოვმა. — გიბრძანებთ, დარჩეთ ვაგო-

ნებთან და დამელოდოთ. ვიდრე დავბრუნდებოდე! პლომბების და ტვირთის დაცვისათვის მთელი სიცოცხლით აგებთ პასუხს. თუ ვინმე შეეცდება შეიჭრას ვაგონებში, გამოიყენეთ ცეცხლსასროლი იარაღი და ხელყუმბარები!.. გასაგებია?!

ავანგარდმა ტუჩზე იკბინა.

— ვაგონებთან წავიდეთ! — მკაცრად უთხრა ბაშკატოვმა.

ორივე ჩუმად მივიდა თბილანასთან.

— გიტოვებთ ამ პაკეტს! — ბაშკატოვმა პირდაპირ თვალებში ჩახედა, თითქოს ჰიპნოზს უკეთებსო. — აქაა ყველა დოკუმენტი! ისინი საკუთარ სიცოცხლეზე მეტად უნდა დაიცვათ. სად ჩაიდებთ?! — ჰკითხა მკვახედ.

— ქურთუკის გულის ჯიბეში ჩავიდებ და მივიკერებ! — ცივი ხმით უპასუხა ავანგარდმა და ბაშკატოვს სქელი კონვერტი გამოართვა. ბაშკატოვი მოღუშული ადევნებდა თვალს ავანგარდის ხელის მოძრაობას, როცა ის კონვერტს ჯიბეში იდებდა, შემდეგ სწრაფად შეტრიალდა და სადგურისაკენ გაემართა.

ბაქანზე ნამდვილი მობილიზაცია ხდებოდა. სხვადასხვა საქმეზე მატარებლით მიმავალი ახალგაზრდები და ხანშიშესულები მეზღვაურთან მიდიოდნენ, ეუბნებოდნენ გვარს, იღებდნენ იარაღს და დგებოდნენ მარცხნივ, როგორც მითითებული ჰქონდათ.

წინა ვაგონიდან ერთბაშად მოვიდა მთელი ოცეული, ეტყობოდა, ახალგაზრდა მუშები იყვნენ. „მოდი, თვითონ ავირჩიოთ შაშხანები!“ — თქვა მათმა წინამძღოლმა, თავშეხვეულმა, კუნთმაგარმა ჭაბუკმა. მათ სწრაფად შეირჩიეს შაშხანები, ჩანთები, ვაზნები, ააჩხაკუნეს საკეტები — ჩანდა, რომ ბრძოლას ნაჩვევნი იყვნენ.

სამი მასწავლებელიც — მათი მეზობელი ვაგონის მგზავრებიც აჩხაკუნებდნენ საკეტებს და თოფის ლულებში იჭვრიტებოდნენ, მაგრამ მაშინვე შეატყობდით, რომ დღემდე არც ერთ მათგანს ხელში თოფი არ სჭეროდა.

მაღალ მეტყვიამფრქვევეესთან ლაბადამოსხმული, წელში გამართული, ჭაღარა წამახულწვერიანი კაცი მივიდა და ოდნავ ენის ბორძიკით უთხრა: „მე, მოგეხსენებათ, ყოფილი ოფიცერი ვარ... უფრო სწორად, ფორტიფიკაციის მასწავლებელი... შეიძლება წამოგყვეთ?“ კითხვა ბავშვური და გულუბრყვილო იყო. მეტყვიამფრქვევე მოიღუშა, მაგრამ ვიდრე ის ფიქრობდა, მისმა თანაშემწემ უკვე ჩაიწერა ლაბადიანი კაცის გვარი და ყველაფერი გადაწყდა. ვიღაც დაჟინებით კითხულობდა, სად დავტოვო ზურგჩანთაო. ახალგაზრდამ (მას სტუდენტის დაჭმუჭნილი ქუდი ეხურა და გრუზა თმა ჰქონდა) გუგუნა ხმით რაღაც გასძახა ფაფახიან, შავგვრემან კაცს, როგორც

ჩანდა, ჩერქეზს. შემდეგ მეტყვიამფრქვევეს მიმართა: „ესეც წამოვა! რუსული არ ესმის, მაგრამ ვილჰელმ ტელიეთ ისვრის!“

ერთ წვერმოქცეულ, ხმელხმელ, ჩია მოხუცს ფრთხილად შეაპარეს — უკეთესი იქნება, თუ არ წახვალო, მან კი გულმოსულად თქვა:

— მოიტა აქ თოფი!

დაკოჟრილი თითები შაშხანას ლულის ბოლოში წაავლო და ნელა ასწია მაღლა.

— ყოჩაღ! ყოჩაღ! — მიაძახეს აქეთ-იქიდან.

ამ დროს ვიღაც ქალი აკივლდა და პაპას მკლავზე ჩამოეკიდა:

— შენ სადღა მიძვრები... შე დაფეხვილო ეშმაკო... ესეც ეჩრება!

— ხმა ჩაიკმინდე! — მრისხახედ შეუტია მოხუცმა. — გვერდზე მომიდექ! მოწყალების დად გამოდგები... თქვენც, დანარჩენო დედაკაცებო, დადექით, თუ თანაგვიგრძნობთ.

მაგრამ მატარებელში სხვა ადამიანებიც იყვნენ. მათ კარგად იცოდნენ, რას ნიშნავდა მოკლე სიტყვა „ჩეკა“, რომელიც ასე იკითხებოდა: „კონტრრევოლუციის, სპეკულაციისა და საბოტაჟის წინააღმდეგ მებრძოლი საგანგებო კომისია“. ისინი საშინელ შიშს მოეცვა, გაყუჩებულნი და მოკუნტულნი ისხდნენ. საშინლად დაძაბულებს დიდი რისკით მიჰქონდათ ფუთობით განძი, რომ თუ ბედი გაუღიმებდათ, წარმოუდგენელი მოგებით გაეყიდათ და გადაეცვალათ. ამასთან უნდა შეძლებოდათ შეენახათ, დაემალათ ეს მძიმე ტომრები და ჩემოდნები გადამღობი რაზმების, მოულოდნელი გასინჯვისა და იმ ადამიანთაგან, რომლებიც წარმოთქვამდნენ მტკიცე სიტყვებს: „ვინც არ მუშაობს, ის არც ჭამს“.

ჰოდა, მოულოდნელად ახალი უბედურება დაატყდათ თავს! ნეტავ, რას მოიფიქრებენ ახლა ისინი, ადამიანები, რომლებიც გადაწყვეტილებებს სწრაფად იღებენ და ფრიად მტკიცედ ასრულებენ?!

მალე ვაგონებში გავრცელდა დამაჯერებელი ხმა, რაზმი მხოლოდ მოხალისეებისაგან დგებაო. დიახ, ეს დაუნდობელი, მტკიცე ხელისუფლება, რომელიც „არამშრომელ ელემენტს“ აიძულებდა ეტეხა ყინული, ეწმინდა დანგრეული სახლები, დაემზადებინა სათბობი, ეზიდა წყალი, ესუფთავებინა საპირფარეშოები, არასოდეს არ მოითხოვდა, რომ ასეთი ყაიდის ადამიანებს დაეცვა იგი.

ბაშკატოვმა წელზე ქამარი შემოიჭირა, რომელზეც მძიმე ჩანთა ჰქონდა მიბმული, და მხარზე თოფგადაკიდებული მივიდა თბილანასთან. თბილანის გვერდით უძრავად იდგა ავანგარდი. მთელი მისი გამომეტყველება თითქოს ამბობდა: „პოსტზე მდგომ გუშაგთან ლაპარაკი სასტიკად აკრძალულია!“

— აი, ამას ჰქვია აუტკივარი თავის ატკიება! — წარმოთქვა ბაშკატოვმა ჩვეულებრივ მშვიდი, დამცინავი კილოთი. — ისევ ორომტრიალი იწყება... ეს კულაკები კი, სალ კლდესავით არიან, თურმე ტყვიამფრქვევიც უშოვიათ! შეიძლება დამალულიც ჰქონდათ!

„რაო, შეეშინდა?“ — ბოროტად გაიფიქრა ავანგარდმა.

— მაგრამ, მეორეს მხრივ — ღმერთი არ გასწირავსო, ხომ გაგიგონია!—განაგრძობდა ბაშკატოვი,—მოვსპობთ ბანდას და წინ გავწევთ...—ავანგარდი დუმდა.

— მსგავსი ამბები ცხოვრებაში, ძმაო ავანგარდ, ისე უნდა მოაგვარო, რომ ყველაფერმა საქმეს არგოს! — შემარიგებლად უთხრა ბაშკატოვმა. — ჩემი წასვლა უფრო გამართლებულია, რადგან სამხედრო გამოცდილება მაქვს... რაც არ უნდა იყოს, თოთხმეტი წლიდან ვომობ... გიორგის ჯვარი მაქვს მიღებული! — ჩაეცინა მას. — შენ კი გმართებს საგუშაგოზე იდგე იარაღმომარჯვებული... თვალი ფხიზლად გეჭიროს! ეშმაკმა უწყის, რა არ შეიძლება მოხდეს! შენ ხომ პურს დარაჯობ! პურს! — გაიმეორა, თითქოს უნდოდა ნათლად ეჩვენებინა თავის თავისა და ავანგარდისათვის ამ სიტყვის უდიდესი მნიშვნელობა. — გრძნობ, ძმობილო ავანგარდ?

ავანგარდმა შეხედა და იგრძნო, რომ გული დაუცხრა. ბაშკატოვს აღტაცებით, სიამაყით, შურით შეჰყურებდა. დიახ, ბაშკატოვი უფრო ძლიერია, უფრო გამოცდილია, შეუძლია გული არ გაიტეხოს, ელოდოს, გამოთალოს კოვზები და დააკეროს დიდებულად. გარდა ამისა, უამრავი შესანიშნავი რამ იცის; მაგას როგორ შეედრები, მაგრამ ერთ რამეში მაინც თანასწორები არიან: მას, ავანგარდსაც, შეუძლია იომოს, წავიდეს იერიშზე, შეიჭრას მტრის ზურგში, ააფეთქოს ხიდი, სანგარში გადაისროლოს ყუმბარა, იცოცოს ცეცხლში. ასეთ საქმეებში არასოდეს არ შეშინდება, არასოდეს დაეცემა სულით... სამწუხაროა, რომ არ შეუძლია ამის დამტკიცება...

— ძალიან კი გახდი, ძმაო ავანგარდ! — მოისმა ბაშკატოვის უჩვეულოდ თბილი ხმა. — რასაკვირველია, საშმელი ძალიან ცუდი გვაქვს, მაგრამ მოიცა, გაძლიერებულ ულუფას გაგიჩენ! ფუნთუშასავით გაგხდი.

ბაქნიდან მაღალი მეტყვიამფრქვევის ხმა მოისმა: „აბა, დავეწყოთ, ამხანაგებო!“

— მაშ, კარგად იყავი! — აჩქარდა ბაშკატოვი. — მუხასავით იდექი... გამარჯვებით!

ავანგარდმა მდუმარებით მოუჭირა ხელი მის ფართო ცხელ ხელს, ამით ყველაფერი უთხრა და ბაშკატოვმაც გაუგო. ბაშკატოვმა, რელსებზე რომ გადადიოდა, მოიხედა, ხელი დაუქნია და გზა განაგრძო, სიარულში ოდნავ არხევდა ფართო მხრებს.

•
• •

ავანგარდი შეუჩერებლად მიდი-მოდიოდა თბილანების გვერდით. ნაცრისფერ ველებს იქით ნელ-ნელა ქრებოდა დაისის ელვარება, თითქოს უსწორმასწოროდ წაესვათ იასამნისფერი საღებავი ტყის შავ ზოლზეო. სადღაც ამ მიმართულებით წავიდა შაშხანამოკიდებული ბაშკატოვი.

ავანგარდი დამძიმებულ ქუთუთოებს ხუჭავდა, საფეთქლებში ტეხდა. იგი განუწყვეტლივ მიდი-მოდიოდა, ხელებს მთელი ძალით კუმშავდა, რომ ამ ყრუ, გულისგამაწვრილებელ ტკივილზე არ ეფიქრა.

დადუმებული შავი მატარებელი თითქოს მიყინვოდა მიწაყრილს, აქა-იქ ფანჯრებში ჭრაქის სუსტი შუქი ციმციმებდა. ერთადერთი ფარანი ჭრიალით ქანაობდა ბოძზე. ავანგარდი ზოგჯერ შეხედავდა მას და, პირს იბრუნებდა. ბავშვობაში სწორედ ასე გახდა წითელათი ავად: დედა სიმღერით კერავდა, ის კი ლამპას შეჰყურებდა და უცებ შეაჟრჟოლა.

რა დრომ გაიარა, რაც ბაშკატოვი წავიდა?! საოცრად მიიზლაზნება საათი, დღე კი იწურება, არა, კი არ იწურება, მიფრინავს, გასაოცარი სისწრაფით მიფრინავს! და თითქოს თვალებს შავი ცხვირსახოცი ჩამოაფარესო, უკვე ღამეა!...

შემდეგ კი სადგურის ერთადერთ განათებულ ფანჯარაში შუქი მქრქალდება იმიტომ, რომ მას შეუმჩნევლად ეპარება რუხი განთიადი. ახლა უკვე ჩანს, როგორ მოძვრებიან ვაგონებიდან ადამიანები და იმართებიან, სევდით შეჰყურებენ ცას, დახეტიალობენ თოვლით ავსებულ რელსებს შორის, აგროვებენ თოვლს ჩაიდნებსა და ვედროებში.

ავანგარდი თბილანას კართან გაჩერდა, ზურგით ფიცარს მიეყრდნო. დაქანცულობით წარმოუდგენლად დამძიმებოდა მხრები, მთქნარებისაგან ღაწვები ეძაგრებოდა, პირი ეხეოდა, რაღაც მხეცური ღმუილით ამთქნარებდა. არაფერი არ უნდოდა ამქვეყნად ისე, როგორც ძილი. სიცხე და ჟრჟოლა უელიდა მთელ ტანში.

მან იგრძნო, რომ საჭირო იყო უკანასკნელი ძალ-ღონის მოკრება, რათა ფეხქვეშ ნიადაგი ეგრძნო — ეცოცხლა, ეცქირა, ვაგონებისთვის ედარაჯნა, თორემ სადღაც ძირს, ორმოში ჩავარდებოდა...

მან ხელები ასწია, კარის სახელურებს ჩამოეკიდა. ტყვიის სიმძიმე მიწისკენ ეზიდებოდა...

შემდეგ თვალები გაახილა. გახევებული თითები გამწარებით მოეჭირა გაყინული რკინის სახელურისათვის. ავანგარდი შეეცადა გაეხსნა თითები, და

კვნესა აღმოხდა. იმ წუთში სრულიად არ იცოდა, რა ხდებოდა გარშემო, ეკიდა გაშეშებულ თითებზე და გონებაში ნაწილ-ნაწილ აღადგენდა ცხოვრების სურათებს.

თითები აამოძრავა. სახელურს ჩამოსცილდა და ბრმასავით წავიდა წინ. უდიდესი ძალის დაძაბვით, თითქოს ციცაბო აღმართზე ადისო, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, შეტორტმანდა, ხელები გაიქნია და დაიწყო წინ და უკან სიარული, როგორც საათის ჭანჭარამ. „პლომბები!“ — გაუელვა უცებ გამოცოცხლებულ გონებაში. გაშმაგებით აუძგერდა გული; ყოველი ფეთქვა ტკივილს ჰგვრიდა მთელ ტანში. პლომბები სრულ წესრიგზე იყო. მაშ, რაღა აწუხებდა ახლა? ავანგარდი ნელა გაჰყვა ვაგონებს, ათვალიერებდა მავთულებზე მიდუღებულ ტყვიის ღილებს, დაძაბულად ცდილობდა მეხსიერებაში შემაშფოთებელი. ნახევრად დავიწყებული რაღაც აღედგინა...

და ერთბაშად მოაგონდა: ცოტა ხნის წინათ, შეიძლება რამდენიმე წუთის წინ. დაინახა ვიღაც შავხელთათმნიანი კაცი, რომელიც მახვილტუჩათი ეპარებოდა ვაგონს, გაიხსენა, როგორ დაუარა ტანში სიცხემ...

— ჩანს, მაინც მძინებია? სიზმარიც კი მინახავს! ცუდია! საძაგლობაა! — თქვა ხმამაღლა, ჩახრინწული, აკანკალებული ხმით.

ავანგარდი პირში ლითონის გემოს გრძნობდა, მუცელი გვრემდა. ბარბაცით მოუარა თბილანას, მიწაყრილზე ჩახოხდა შეკირხლულ ბუჩქებში. თავზე ბნელი ცა დაჰყურებდა. გაცრეცილი მთვარე ნასვრეტიდან გამომკრთალი მილეული შუქივით ბეუტავდა. უცებ თბილანების ბუფერებს შორის მწვანე სინათლე აკიაფდა.

ავანგარდი აჩქარებით ამოვიდა უკანვე, წინ უკვე ბაშკატოვის მხიარულ სახეს ხედავდა...

— ეს სასურსათო სახალხო კომისარიატისაა? — კითხულობდა ვიღაც უცნობი. — ვინ არის აქ?

— მე ვარ! — ჩახლეჩილი ხმით დაიძახა ავანგარდმა და ბუფერებზე გადაბობღდა, ძლივს იჭერდა თავს, რომ არ გადავარდნილიყო.

მან დაინახა კავალერისტის მაზარაში გამოწყობილი კაცი. უცნობს თავზე ვარსკვლავიანი ქუდი ეხურა, ცხვირზე კი შავზონრიანი პენსნე ეკეთა. გვერდით მთავარი კონდუქტორი ედგა ფარნით ხელში. ავანგარდი გასწორდა, რამდენიმე გაუბედავი ნაბიჯი გადადგა.

— საბუთები! — წარმოთქვა სამხედრომ.

ავანგარდმა გაფიჩხებული თითები ჩაიყო ჯიბეში და კონვერტი ამოიღო.

— აბა, მომინათე! — უთხრა კონდუქტორს სამხედრო პირმა და დაიწყო

ქალალდების სინჯვა, რომელთაც თანდათან უბრუნებდა ავანგარდს. შემდეგ საველე ჩანთიდან რაღაცნაირი ბლანკი ამოიღო და დააცქერდა, თან ძირს წამოსულ პენსნეს იმაგრებდა. — ვინაა აქ გამყოლი? ამხანაგი ბაშიკოვია?

— ბაშიკოვი?! — კითხვითვე მიუგო ავანგარდმა. — არა, ბაშიკოვი აქ არავინაა... აქ ბაშკატოვია!.. რა არის? როგორაა იქ საქმე?

ბაშკატოვის ხსენებამ, მისი გვარის გაგონებამ ავანგარდი გაახალისა, თითქოს უკვე ხედავდა ვაგონებისაკენ მომავალ ერემია პეტრეს ძეს, უნდოდა კიდეც შეეცინა მისთვის და ეთქვა — შენ აწი ბაშკატოვი კი არა, ბაშიკოვი ხარო!

— ეტყობა, რამდენიმე ასო აურევიათ! — თქვა სამხედრომ ისე, რომ ავანგარდის კითხვაზე არ უპასუხია. პირდაპირ შეხედა მას. — თქვენ რა, ამხანაგო, ავად ხართ?

ავანგარდმა შეხედა ორ მბრწყინავ მინას, რომლებიც უღლით ჩაჭიდებოდნენ ცხვირს. „ოჰო, თქვენობითაც კი მომმართავს!“ — გაიფიქრა მან. ეტყობოდა, ასე პირველად მიმართავდნენ მის ცხოვრებაში. ალბათ, ყველა, ვინც კი პენსნეს ატარებს, ძალიან ზრდილობიანია...“

— არა, მე ავად არა ვარ. — უპასუხა ავანგარდმა და თვითონ გაუკვირდა, რა დამაჯერებლად გამომივიდა ნათქვამი. — ველოდები ამხანაგს!

— ელოდებით ამხანაგს, — გაიმეორა სამხედრომ. ამ დროს ბაქნიდან დაიყვირეს:

— სმირნოვ! ტელეფონზე გეძახიან!

სამხედრო გაიქცა რელსებზე.

ავანგარდი თბილანას მიეყრდნო. მას თითქოს ვიღაცის უხილავი ხელი ჩასჭიდებოდა საყელოში და შეუჩერებლად ანჯღრევდა.

— ასე როგორ წაყვები ვაგონებს? — მკაცრად ჰკითხა მთავარმა კონდუქტორმა. — შენ ხომ ძლივს დგახარ ფეხზე!

— არა უშავს რა, გაივლის! — მოკლედ უპასუხა ავანგარდმა და გვერდზე დაიწყო ცქერა.

მთავარმა კონდუქტორმა შპალზე დადგა პატარა ფარანი და ალაპარაკდა, თან მწუხარედ აქნევდა თავს.

— ეჰ, ყმაწვილო! ადრე ჩაბმულხარ ამ საქმეში! ჯერ კიდევ უმწიფარი ხარ, ჩემო ძმაო!.. წინათ შენისთანას ორ ბატს არ ჩაბარებდნენ...

ავანგარდმა უკვე მტკიცედ იცოდა, რომ ზოგიერთ ეგრეთ წოდებულ უფროს ადამიანთან დავას არავითარი აზრი არ ჰქონდა. ასეთ ადამიანებს ან მოკრძალებით უნდა მოეკიდო და ელაპარაკო იმაზე, რაც მათ გაეგება, ან ერთბაშად უნდა გააჩერო.

— ეს წინათ იყო, ახლა სხვა დროა! — მიუგო მშრალად.

— ჰო, თქვენ სიტყვის თქმა არ გიჭირთ! — მოიღუშა მთავარი კონდუქტორი და გაჩუმდა. — შენი ამხანაგი ცოლ-შვილიანია?

— მარტოხელაა! — უფრო მშრალად მიუგო ავანგარდმა. იმედი ჰქონდა, რომ კონდუქტორი მოშორდებოდა, მაგრამ ეტყობოდა, მას სათქმელი ჯერ კიდეკ არ დაემთავრებინა.

— მაშასადამე, ბოგანო ყოფილა! ეს უკეთესიცაა, ერთს მოუხდება პასუხი აგოს!

ბრაზმორეულმა ავანგარდმა მხრები აიჩეჩა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მაინც რა უცნაურია ხალხი! რისთვის უნდა აგოს პასუხი ბაშკატოვმა! მოიპარა რამე თუ?!

როგორც იქნა მთავარი კონდუქტორი წავიდა. მისი წასვლის შემდეგ ავანგარდი ისევ მიეყრდნო თბილანას კედელს, ფეხქვეშ მიწის მტკიცე საყრდენს აღარ გრძნობდა, ფეხებს თითქოს ძვლები გამოსცლოდა, ჩვარივით გახდომოდა, ფარნის ბოძი შექანდა მის თვალებში. როგორ უნდოდა ჩამჯდარიყო და ანთებული ქუთუთოები დაეხუჭა...

შეინძრა. უკვე ჰქონდა მცირე გამოცდილება, ერთ ადგილზე დგომა არ შეიძლებოდა, უნდა ემოძრავა.

— დიახ! — ხმამაღლა და მხნედ თქვა ავანგარდმა. — სწორედ ასე ვიმოქმედებთ!

გათენდა.

ბოძზე მოჭრიალე ფარანი ღია ყვითელი ფერისა გახდა. ვაგზლის ფანჯარა შავ კედელზე უკვე ისე მკაფიოდ აღარ გამოირჩეოდა. კარიდან ბაქანზე პენსნეიანი სამხედრო და მხრებგანიერი კომენდანტი გამოვიდნენ. ისინი დიდხანს გასცქეროდნენ მატარებელს, რაღაცაზე ლაპარაკობდნენ, შემდეგ ბოლო ვაგონისაკენ, პირდაპირ ავანგარდისაკენ გაემართნენ.

კომენდანტი ხარბად ქაჩავდა პაპიროსს. წაბლისფერი სახე წამონთებოდა. სამხედრომ მაგრად მოკუმა პირი და შემდეგ ავანგარდს უთხრა:

— ვფიქრობ, თქვენი შემზადება არ დამჭირდება... საქმე ისაა, რომ ამხანაგი ბაშიკოვი...

— ბაშკატოვი! — გაუსწორა ავანგარდმა.

— დიახ, ამხანაგი ბაშკატოვი, — გაასწორა სამხედრომ. — ამხანაგი ბაშკატოვის მეოხებით ხელთ ვიგდეთ ტყვიამფრქვევი და სწრაფად განვაიარაღეთ ბანდა!.. უნდა ითქვას, რომ ამხანაგი ბაშკატოვი გმირულად დაიღუპა გაშმაგებულ მტერთან ბრძოლაში... — მან სასწრაფოდ შეხედა ავანგარდს. — ჩვენ კიდევ ოთხი ამხანაგი დავკარგეთ ამ მატარებლიდან, მათ შორის ერთი ქალი,

რომლის გვარი ჯერ ვერ დავადგინეთ... მუშებისა და გლეხების სურვილით დაღუპულ მებრძოლებს სოფელ ტროიცკოეში ძმათა სასაფლაოზე დაკრძალავენ... ოპერაციაში მონაწილე ამხანაგები მალე მოვლენ. მოხოვთან ლიანდაგი აღდგენილია!

სამხედრო კიდევ რაღაცას ლაპარაკობდა, მაგრამ მისი სიტყვები ქარს მიჰქონდა. „დააზუსტეთ... შემდგომი...“ — ესმოდა ავანგარდს. ის მთელ ძალღონეს ძაბავდა, რომ მთლიანად გაეგო, რას ეუბნებოდა პენსნეიანი კაცი, მაგრამ ყველაზე მთავარს მაინც ვერ ჩაწვდა.

— თქვენ ნამდვილად ავად ხართ, ამხანაგო! — უთხრა უცებ სამხედრომ. მან პენსნე მოიხსნა და წვრილი, ნათელი, კეთილი გამომეტყველების თვალები გამოუჩნდა. — გესმით, ამასთან ხუმრობა არ შეიძლება! ხანდახან მატარებლიდან პირდაპირ საგზაო ჰოსპიტალში ამოყოფენ ხოლმე თავს.

ავანგარდმა მუშტები მოკუმა და გაზრდილი ფრჩხილები ხელისგულებში შეესო.

— ისეთი არაფერი მჭირს, გაციებული ვარ... გაივლის! — მიუგო სამხედროს.

— იმედი გვექნება! შემდგომ რაიმე განსაკუთრებული არაფერია მოსალოდნელი! — სამხედრომ ისე დაუწია ხმას, თითქოს ჩურჩულებდა. — მინდა გაგაფრთხილოთ, რომ ჩატარდება გარკვეული ღონისძიება... ახლა ვაგონებიდან ყველას გამოვიყვანთ და გავსინჯავთ!.. ხალხი ცოტა გვყავს... ფხიზლად ადევნეთ თვალი, რომ მეორე მხრიდან ვაგონების სახურავზე ან ქვეშ არავინ დაიმალოს. იარაღი გაქვთ? — მან რევოლვერის ბუდეს დახედა. — ნაგანია? ვაზნები არის? ჩინებულია, თქვენი იმედი გვექნება...

ტელეფონთან ცოფებს ჰყრიდა ტყავისპალტოიანი კაცი, რევოლვერის ბუდე და ჭოგრიტი ზურგზე მოქცეოდა.

— ეშმაკმა წაგიღოთ! — ჩაჰყვიროდა ტელეფონში. — რა სადგურია? რა სადგური?

ავანგარდი მოაჯირზე გადაეყუდა, ხელში ქაღალდის ფურცელი უძაგძაგებდა.

— დეპეშა...

— არ შეიძლება! — მოუხედავად უპასუხა ტელეგრაფისტმა. — აქ რიგს დღე-ღამეები ელიან. განსაკუთრებული განკარგულებაა საჭირო.

— მე განკარგულების გარეშე მინდა! — იყვირა ავანგარდმა. — ურიგოდ!.. აი, ჩემი მანდატი!

იგი მტრულად შესცქეროდა ტელეგრაფისტს და პასუხს ელოდა.

— მოიტა! — უთხრა ტელეგრაფისტმა.

მან ავანგარდს ფურცელი გამოართვა და ზედ წამახული ფანქრით გაავლო მრუდე ხაზი.

დეპეშა ასეთი იყო: „ბაშკატოვი დაიღუპა ბრძოლაში, სადგური ლიპსკაია, ვაგონები წესრიგზეა, მივდივარ მოსკოვისაკენ, ავანგარდი...“

გაიარეს მანსუროვო, გალშა, სეტკინო. გამოჩნდა ჩრდილოეთის წნორები. ყვავები დაფიქრებით ჩამომსხდარიყვნენ გზისპირა ბოძებზე. თოვლის ბურუსში გამოჩნდა ქალაქი რევდა. აქ მატარებელზე ხალხს იერიში მიჰქონდა. დაცვა ჰაერში ისროდა, ცვიოდა დამსხვრეული მინები...

სამი კაცი, რომელთაც ვეება ტომრები წამოეკიდებინათ, დიდხანს უტრიალებდა მიბმულ საბარგო ვაგონებს. ბოლო ვაგონთან უძრავად, თითქოს გაყინულაო, იდგა წითურქურთუკიანი დაბალი ბიჭუნა და მძიმე ნაგანს ხელს უჭერდა.

სამმა უცნობმა ერთმანეთს რაღაც გადაუჩურჩულა. ერთი ვაგონთან მივიდა.

— მე და ჩემი ამხანაგები ვფიქრობთ, — შემპარავად დაიწყო მან, — თუ თქვენ მაგ რაღაცას მოგვაშორებთ... შევთანხმდებოდით... არის ერთი კარგი საქმე, თუკი მოსკოვში ჩავალთ...

ავანგარდმა მას ჩამოფხატული ქუდის ქვემოდან შეხედა და უკან დაიწია.

— კარგი რა, კარგი!.. ისეთი ხომ არაფერი მითქვამს! — უთხრა მოსულმა.

განაგრძეს გზა.

ავანგარდმა თავი დაანება კარის ამყოლზე ნაჭდევების კეთებას; მას დღეების ანგარიში აერია. ღამით ეჩვენებოდა, თითქოს ვაგონებს პლომბებს აჭრიდნენ. გაშმაგებით წევდა მძიმე კარს. მაგრამ არავინ ჩანდა. თოვდა... როცა იდგნენ, მაშინაც კი ეჩვენებოდა, რომ იატაკის ქვეშ ბორბლები კვლავ უკრავდნენ მჭახე, დაუსრულებელ მუსიკას.

— უმაგრდები? — შეიხედა მასთან მთავარმა კონდუქტორმა. — გამაგრდი! ახლა ისეთ ძღვენს მოგართმევ, თავის დღეში არ გენახოს... სწორედ ავადმყოფისთვისაა! კაკავას ეძახიან!.. აქ ერთ სპეკულანტ ქალს ჰქონდა... დაჯექი, ჭამე...

კვლავ ზედ საფეთქელთან რაკუნებდა ბორბლები. ავანგარდი ყურებს

იცობდა, ტომრებით თავპირს იხვევდა და უცნაურ სიმღერას ბღაოდა, რომ მოძალებული ბოდვა განერიდებინა.

ზოგჯერ ეგონა, კარგად ვხდებიო; ასეთ წუთებში ავანგარდი ბაშკატოვზე ფიქრობდა: ლურსმანზე ჩამოკიდებული დარჩა წევისაგან გაშავებული, მოხრილი ჩიბუხი; ბაშკატოვს ორომტრიალში მისი წაღება დავიწყებოდა. იგი ავანგარდს ეუბნებოდა ხოლმე: ჩიბუხი თოთხმეტი წლის აქეთ სულ თან დამაქვს, ჩემს ჩიბუხს კარგი თამბაქო უყვარს, წეკოსაგან კი ქსიტინებსო...

•

• •

ვაგონებქვეშ ხვლიკივით დაძვრებოდა გაზინთულქურთუკიანი კაცი და იძახდა:

— სათადარიგო საბმელი გაწყვეტილია! ღერძკოლოფები არ ვარგა!

ფორმის ქუდიანმა ჩასუქებულმა მელიანდაგემ ავანგარდს შეხედა და უთხრა:

— მოხსნა მოგვიხდება, ახალგაზრდავ! თქვენი ვაგონი მწყობრიდან გამოსულა!

ავანგარდი შეცქეროდა მელიანდაგის ვარდისფერ ღაბაბს, ნაოჭებად რომ გადმოფენოდა მაგრად მოპერილ ბეწვის საყელოზე. მოეჩვენა, რომ ჩასუქებული მელიანდაგე დასცინოდა და თავიდან ფეხებამდე სინჯავდა. ავანგარდმა რევოლვერის ბუდეს შეავლო ხელი.

— შემდეგ როგორ იქნება საქმე? ეს ხომ პურია!

— ვიცი! თანაგიგრძნობთ! — გაეღიმა მელიანდაგეს და სწორი, ჩასმული კბილები გამოუჩნდა. — მადლობა ღმერთს, ჩვენც მშივრები ვართ... საბკომსაბჭო ცუდად გვკვებავს, ახალგაზრდავ... თავისუფალი ვაგონები კი არ გამაჩნია. დიახ! არაფრის გაკეთება არ შემიძლია... შევაკეთებთ ვაგონს და შემდეგ წახვალთ!

— დიდი ხანი დასჭირდება შეკეთებას?

— ახალგაზრდავ, იმედი მაქვს, რომ თქვენ მთვარიდან არ ჩამოფრენილხართ და ყველაფერი, რასაც ირგვლივ ხედავთ, იმას გეუბნებათ და იმაზე ღაღადებს, რომ საბჭოთა ტრანსპორტზე გამეფებულია რღვევა... გზები ჩაჭედილია, აი, როგორაა ჩაჭედილი, — მან რამდენზედაც შეეძლო ხელები გაშალა. — ათობით და ასობით ვაგონი ელოდება რემონტს, გეფიცებით! ჩვენ ძალიან ვეცდებით! ასე ძლიერ ნუ მიეცემით სასოწარკვეთილებას, ახალგაზრდავ! თქვენ კაცის ფერი არ გადევთ!... აქ ახლოს ბველსაჭელი სოფელია,

სიძველის მეტად საინტერესო ძეგლი... იქ დაბინავდით, დაათვალიერეთ სიძველენი, ჩვენ კი ამასობაში...

მან ქუდთან ხელი მიიდო და წავიდა.

ვაგზლის საათი ხუთის ნახევარს უჩვენებდა. კედელზე ეკიდა ჩამოხეული, დანესტიანებული პლაკატი. „ამხანაგო! — მოუწოდებდა პლაკატზე გამოხატული შაშხანიანი წითელარმიელი. — რესპუბლიკა საფრთხეშია!“ დეპოსთან იდგა საერთაშორისო ვაგონი, რომელსაც ფანჯრები ჩამტვრეული ჰქონდა, სარკეები დამსხვრეული, დივნები დაგლეჯილი.

ავანგარდი თბილანაში შეძვრა და იატაკზე გაიშხლართა. სიცხე წვავდა, კრუნჩხავდა, გულმუცელს უტრიალებდა. იგი დიდხანს ებრძოდა შეტევას...

თბილანას კარზე მაგრად დაარახუნეს; ავანგარდი მუჭისოდენად მოიკუმშა. „მოსახსნელად მოვიდნენ!.. მოვიდნენ მერე! სულ ერთია ნებას არ დავრთავ, სანამ მაგიერს არ მომცემენ!“ — მან გამშრალი, გახეებული ენა მოაბრუნა, გეგონებოდათ, კიდევ რომ ერთი სიტყვა თქვას, ენა პირში ჩაემსხვრევაო.

— ეი, გააღე, ყმაწვილო! — მოესმა მთავარი კონდუქტორის ხმა. — შენთან სტუმრები არიან!

ავანგარდმა ურდული გამოსწია და კარი ოდნავ გააღო. თბილანასთან მთავარი კონდუქტორი და რამდენიმე რკინიგზელი იდგა.

— ცუდ მასპინძლობას გვიწევ! — შესცინა წვეროსანმა რკინიგზელმა. — მაგრამ, ეგრე იყოს, ჩვენ არა გვწყინს... გექნება ვაგონი. ჩვენს უფროსს ისეთნაირად ვუთხარით, მაშინვე იშოვა... ტომრებს გადავტვირთავთ და ჰაიდა, მოსკოვში!.. რასაკვირველია, ყველაფერს წესიერად გავაკეთებთ, შევადგენთ აქტს, დავლუქავთ!..

ისინი — ტანადნი, წვერმოშვებულნი, ქურთუკებში და ყურიან ქუდებში გამოწყობილნი — დათვებზე მონადირეებს ჰგავდნენ. პატარა, შეუმუხვნილი, გაშავებული ავანგარდი მათ შორის ჩაიკარგა.

•

•

მთავარი კონდუქტორის ვარაუდით, — „თუ რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა“ არ იქნებოდა, — მოსკოვამდე სამი დღის სავალი გზა რჩებოდა. ამბობდნენ, რომ სადგურ ჩაიანოვოში უკანასკნელად შეცვლიდნენ ორთქლმავალს და სათბობს მოიმარაგებდნენ. მივიდნენ ჩაიანოვოში. აგურის პატარა, ლამაზი შენობა მზეს გაეჩახჩახებინა. ჭკები თოვლზე დახტოდნენ. წყალსაქაჩთან თოვლის ბაბუა იდგა. ბიჭუნები თვითნაკეთი თხილამურებით

სრიალებდნენ. მათ პატარა ფინია დასდევდათ და განუწყვეტლივ ყეფდა. სადგურის შენობებს უკან, ლურჯი ტყე მოჩანდა. სადღაც მოშორებით სახერხი ქარხნიდან წივილ-ჭრიალი ისმოდა.

მატარებელი ის-ის იყო გაჩერდა, რომ ვაგონებს ჩამოუარეს გადამღობმა რაზმელებმა, რომლებიც საბუთებსა და ბარგს სინჯავდნენ. აქ უფრო მეტი წესრიგი იყო, იგრძნობოდა მოსკოვის სიახლოვე. სატრანსპორტო საგანგებო კომისიის აგენტები მკაცრ რიგს იცავდნენ.

დიდი ხნის შემდეგ ავანგარდმა თავი პირველად იგრძნო კარგად. მართალია, ყოველი ნაბიჯის გადადგმისას მუხლები ჯერ კიდევ უკანკალებდა, მაგრამ სამაგიეროდ გონება ჰქონდა ნათელი. აიღო თოვლი, დააგუნდავა და მორზე მჯდომ ყვავს ესროლა. ძალდატანებისაგან წელი ეტკინა. „ძალიან დავსუსტებულვარ“, — გაიფიქრა და გამხდარ ხელს სინჯვა დაუწყო. გულში ახლა სიხარული ედგა, სწამდა, რომ მოსკოვი ახლოს იყო და მისი ნახვა ეღირსებოდა.

— მოქალაქე, ცხელ კვერს არ ინებებთ? — ჰკითხა მოვაჭრე ქალმა.

ავანგარდმა ერთი მუჭა მარილი მუქ ყავისფერ ბრტყელ კვერსა და ხუთ მოყინულ ანტონოვის ვაშლზე გადაცვალა. დიდი ხანია აღარ უჭამია ასე მადიანად: „ჩანს, უკეთესად ვხდები“, — თქვა თავისთვის და მაგრად მოიფშვნიტა გათოშილი ხელები.

მან თბილანებთან ჯერ კიდევ შორიდან შეამჩნია ვიღაცეები. „კიდევ სინჯავენ, თუ რა არის?“ — გაიფიქრა და ნაბიჯს აუჩქარა. ყვითელულვაშებიანმა მაღალმა კაცმა, რომელსაც გაცვეთილი ყელსახვევიდან გრძელი, დაძარღვული კისერი ამოეშვირა, ცნობისმოყვარეობით შეხედა მიახლოებულ ავანგარდს. გვერდით ედგა შაშხანებითა და ყუმბარებით შეჭურვილი ორი მაზარიანი ახალგაზრდა.

— აქ ვის დაეძებ, ამხანაგო?! — მიმართა მაღალმა ავანგარდს.

— შენ ვიღას დაეძებ?! — იმავე კილოთი ჰკითხა ავანგარდმა.

— ვეძებ გამყოლებს!.. არ იცი, ვინ მიყვება ამ ვაგონებს?

— მე მივყვები! თქვენ კი რა გინდათ? უკვე შეგვამოწმეს დღეს!

— აჰა, მაშ, შენა ხარ... —იჭვნეულად თქვა მაღალმა და ყურზე გადადებული ძაფი, რომელიც სათვალეს უმაგრებდა, გაისწორა, — მაშინ ერთმანეთს საბუთები ვუჩვენოთ.

მან პალტო მოიჩხრიკა და ავანგარდს ლილისფერბეჭდიანი ქაღალდი გაუწოდა.

„ეძლევა ესე ამხ. ამხ. ფ. კალაჩს, მ. გუსევს, ი. ომელჩენკოს, — წაიკითხა ავანგარდმა, — სასურსათო სახალხო კომისარიატის მუშაკებს მასზედ, რომ ევალებათ შეხვდნენ და სასურსათო სახალხო კომისარიატის (მოსკოვი) მისა-

მართით ჩამოიყვანონ სურსათიანი ვაგონები №№... (ტორცევის რევკომის 1919 წ. 12/II-ის დეპეშა), რაც ხელისმოწერებითა და ბეჭდის დასმით დასტურდება".

ავანგარდმა ქალალდი წაიკითხა და მაღალს თავისი მანდატი და ტვირთბარათები წარუდგინა.

— ჩვენ უკვე გავეცანით ერთმანეთს, — უთხრა მაღალმა. — მე ამხანაგი კალაჩი ვარ, ეს ამხანაგები კი გუსევი და ომელჩენკოა, მუშები ვართ! დიდი ხანია აქ ვიცდით!.. ჯერ კიდევ სამი დღის წინათ გელოდით ტუმრიდან!

— ჰო, იქ დავბრკოლდით! ვაგონი მოხსნეს!

— ასე-ე, — თქვა კალაჩმა. — მაშ შევიდეთ თბილანაში, არა?

ავანგარდი მაინც აყოვნებდა.

— მაშ, თქვენ მოსკოვიდან ხართ?!

— აბა როგორ, ძვირფასო. პირდაპირ იქიდან! — უპასუხა კალაჩმა, პალტოს კალთები აიწია და გრძელი ფეხები უხერხულად აიქნია.

ავანგარდმა ძლივს შეიკავა სიცილი. „ესეც შენი კალაჩი![1] ეს უფრო მაკარონსა ჰგავს, ვიდრე კალაჩს!"

*

* *

ავანგარდს ეჩვენებოდა, რომ დიდი ხანია ჩაიკარგა გზის დაუსრულებელ ორომტრიალში, რომ ვაგონები უმიზნოდ, უთავბოლოდ დახეტიალობენ რელსებზე, დიდსა და მცირე სადგურზე, და აი, შორეულმა მოსკოვმა თავისი თავი მოაგონა, — ბოლო ეღება მარტოობას. კარგი იყო ახლა ლაპარაკი მოსკოველებთან, მათთან ჯდომა ცეცხლის პირას.

— ახლა სასურსათო სახალხო კომისარიატში წესრიგი დაამყარეს; იქ მუშები განაგებენ საქმეს, — უამბობდა კალაჩი. — რასაკვირველია, ყველას ერთბაშად ვერ გამოამეღავნებ, მაგრამ იქიდან მოწინაალმდეგენი, სპეკულანტები და სხვა ბნელი ადამიანები გამორეკეს! ვლადიმერ ილიას ძე თვითონ ადევნებდა თვალყურს სასურსათო რაზმების გაგზავნას... ახლა, რაც მატარებლები დაიძრა, ცოტათი შეგვიმსუბუქდა ცხოვრება...

„ბურჟუელა" ხრჩოლავდა. კალაჩი ახველებდა, აცრემლებულ თვალებს იწმენდდა, მაგრამ ღუმელს მაინც არ შორდებოდა, თვალს ადევნებდა ქვაბს, რომელშიც ავანგარდი ფეტვის ბურღულს ბარაქიანად ყრიდა.

— ფაფა წვენი როდია, იგი უნდა მოიშუშოს, ჩაშრეს, — განმარტავდა კალაჩი და ღუმელში ნაფოტებს უმატებდა. — ქვეშ თანაბარი სიმხურვალე უნდა ჰქონდეს. მაშინ ყოველი კოშტი გაიხსნება და კარგი ფაფა დამზადდება.

---

[1] კალაჩი — ყურიანი პურის კვერი.

ავანგარდი სიამოვნებით უსმენდა. საქმეში გაწაფულობითა და დალაგებული საუბრით კალაჩი მას ბაშკატოეს აგონებდა. სწორედ ასევე იჯდა ბაშკატოვი „ბურჟუელასთან“, ატრიალებდა შეშას თვითნაკეთი საჩხრეკით, ყვებოდა რაიმეს და იცინოდა...

— მზაღ არის! — გამოაცხადა კალაჩმა და ფაფას უხვად მოაყარა მარილი. ვიდრე მარილი დნებოდა, სათვალე მოიხსნა და ჯიბიდან ხის კოვზი ამოიღო.

ქვაბიდან რიგრიგობით იღებდნენ და შეექცეოდნენ სქელ, ცხელ ფაფას, არ ერიდებოდნენ პირის დაწვას.

— კარგი ფაფაა! — თქვა კალაჩმა და ულვაშები მოილოკა. — დიდი ხანია ასეთი აღარ გვიჭამია... ჩვენთან იცი, როგორია? სულ წყალ-წყალას აკეთებენ...

გაახვიეს თუთუნი, მოსწიეს. კალაჩი ულვაშებში ბუბუნებდა:

— მე კი, უნდა გამოგიტყდე, დაგინახე თუ არა, გუნებაში გავიფიქრე: ასეთ საქმეზე ბელურებს როგორ აგზავნიან? ეს, ხომ დაუფიქრებლობაა-მეთქი. ახლა ვგრძნობ ჩემს შეცდომას და მინდა ხელი ჩამოგართვა... აი ასე! და თუ, მეგობარო, ასეთმა ავადმყოფმა ყველაფერი დაძლიე, კაცი შენ ყოფილხარ და ქუდიც შენ გხურებია. შენი სიგამხდრე ძალიან სასარგებლოა. მსუქან ადამიანებს უჭირთ. მე თვითონ ვიავადმყოფე შარშან. ისეთი სიცხე მქონდა, იღლიაში ამოჩრილი თერმომეტრი გამისკდა. ჩემმა მეგობარმა კი, ერთი მსუქანი კაცი იყო, ვერ გაძლო და მოკვდა...

მწყობრად კაკუნებდნენ ბორბლები ვაგონქვეშ. ახლა ეს კაკუნი ისე მძიმედ აღარ ეჩვენებოდა ავანგარდს. შეუმჩნეველად გაირბინა დრომ კითხვა-პასუხებსა და ლაპარაკში.

— ჰო! — უთხრა კალაჩმა ავანგარდს, — მეცოდება შენი ამხანაგი! მაგრამ რას იზამ. მწუხარებაც გვიწევს, მსხვერპლის გაღებაც გვიწევს! უამისოდ ვერაფერს მოიპოვებ!

მოსკოვის შესახებ ის რაღაც განსაკუთრებული ღიმილით ლაპარაკობდა.

— მოსკოვი, იცი რა არის... სიტყვასაც ვერ გამონახავ. დედამიწის უპეა? არა, ასე არაა, ეს სასაცილოა! შორეული ადგილებიდან ჩამოსულ ადამიანებს უკვირთ, რომ ასეთ ულუფაზე ვართ და მთელი ძალით ვმუშაობთ!.. შემდეგ ხედავ, რომ თვითონაც იქ რჩებიან. ამის მაგალითი რამდენიც გინდა, იმდენია. მოსკოვში დაძაბული, მჩქეფარე ცხოვრებაა. მიაღწევ ლენინამდე თუ არა, ვერაფერს გეტყვი. ამის თქმა წინასწარ შეუძლებელია...

კალაჩმა თვალები მოჭუტა:

— უდიდესი ადამიანია, მასზე ფიქრიც კი თავბრუს გახვევს... ხოლო ახლოს ისეთივეა, როგორებიც ჩვენა ვართ სულ ისეთი, გესმის? ლენინი ისე ახლოს მინახავს, როგორც შენ გხედავ, გვერდით ვმდგარვარ! ალბათ, ნახევარი საათი

იქნებოდა. სიტყვის დაწყების საშუალებას არ აძლევდნენ, ყველა ტაშს უკრავდა... მან საათი ამოიღო, ძალიან უკმაყოფილოდ დააცქერდა, დაელოდა, თითქოს ამბობდა, დრო, დრო მიდისო! ხალხი კი უფრო ფიცხად უკრავდა... არაფერი გამოვიდა!

„ბურჟუელა“ საამო სითბოს უშვებდა. ტოშრებზე მიწოლილი ომელჩენკო და გუსევი თვლემდნენ.

— ჩვენც ხომ არ მოგვეტყუებინა თვალი? — ჰკითხა კალაჩმა ავანგარდს. — დილას კი ღვთის წყალობით მოსკოვში ვიქნებით!

•

• •

თბილანაში უკანასკნელ ღამეს ატარებს ავანგარდი. კუნაპეტი სიბნელეა. გვერდით ერთმანეთზე მიწოლილ მოსკოველებს სძინავთ. რომელიღაც მათგანი ცხვირით უსტვენს. უთუოდ კალაჩია; ალბათ, ძილშიც უყვარს ხუმრობა...

ავანგარდს შურდა მათი. უნდოდა, ღრმად დაეძინა და მოსკოვში გაეღვიძა, ძილი კი არ ეკარებოდა, მეხსიერებაში ცხოვრების სურათები კრთებოდა... ძალიან დიდი ხნის წინათ ის კრუპატკიხის კაბინეტში შევიდა. ტელეგრაფის ბოძებთან ერთად გარბენილი დღეები ერთ გაჭიანურებულ მძიმე დღედ ერთდებოდა; მხოლოდ ბაშკატოვი ედგა ნათლად თვალწინ, მხრებგანიერი, ხალისიანი კაცი, რომლის მაზარას არღვეული სამხრეების კვალი აჩნდა.

„ძილია საჭირო“,—ეუბნებოდა თავის თავს ავანგარდი და თვალებს ხუჭავდა. მაგრამ სიბნელეშიც, თბილანას კედელს იქითაც ხედავდა, როგორ გარბოდნენ ბოძები და ჯიხურები, როგორ მიიწევდა დათოვლილ ველზე მატარებლის ჩრდილი.

თბილანას მოგრძო სარკმელში უკვე განთიადის შუქი აღწევდა. ავანგარდს კი მაინც არ ეძინა. როცა მატარებელი დადგებოდა, სევდისგან გული ეკუმშებოდა. ისევ გაჩერება! ალბათ, ისევ რომელიღაც ძელური ვაგზალია და მის უკან თეთრი გაშლილი ველი. ნეტავ რამდენ ხანს გავჩერდებით აქ?

გათენდა. იდგა დილის სუსხი. მაზარაწაფარებულ მოსკოველებს კი ღრმად ეძინათ. კალაჩი იწვა, გამხდარი ფეხები მოეკუნტა, ლოყაზე ქუდი ჩამოფხატოდა. ქუდქვემოდან უჩანდა გრძელი, დაღრეკილი ცხვირი, რომელიც გვერდიდან მამლის ბიბილოს წააგავდა. მოულოდნელად კალაჩი წამოჯდა, შეიჭმუხნა, დაბუჟებული ფეხი დაიზილა.

— არ გძინავს? ფხიზელი ყოფილხარ! შემიძლია დანამდვილებით გითხრა, რომ ახლა შვიდის ნახევარია... მე ამ დროს თითქოს ეკლები მესობა ზურგში!

ოცდაშვიდ წელიწადს საყვირის ხმაზე ვდგებოდი!.. აბა, ვაქკაცებო! — დაუძახა თავის ამხანაგებს, — ადექით, მოვედით!

ვაქკაცები კი განაგრძობდნენ ხვრინვას.

— ეი, ფაფა მზადაა! ადექით!

მაზარის ქვემოდან აბურძგნილმა თავმა წამოიწია.

— ფაფაზე ყოჩაღად არიან, — გაიცინა კალაჩმა.

მან ამხანაგებს რაღაც გრძელი საუბარი წამოუწყო, მიმართავდა ავანგარდს, მაგრამ მას არაფერი ესმოდა. უცქეროდა, როგორ მოცურავდნენ სოფლის შენობათა სახურავები, იოკებდა რაღაცნაირ შინაგან შფოთვას, ბუნდოვან შიშს; ბორბლების ყოველ ბრუნზე მოსკოვი ახლოვდებოდა.

— გატყობ, ღელავ, მეგობარო! — გაუღიმა კალაჩმა. — უეჭველად, როცა პირველად უახლოვდები დედა-მოსკოვს, თავბრუ გეხვევა! მახსოვს, მეც არ ვცილდებოდი ფანჯარას... ეს დიდი ხნის წინათ იყო... ყველგან პოლიციელები, ურმები, ბაზრები ჩანს, ეკლესიებში ზარებს რეკავენ... მე კი კედელ-კედელ მივდივარ და ვფიქრობ: „ღმერთო ჩემო, ერთი მიმართულებით მაინც მიდიოდნენ, თორემ ვისაც როგორ უნდა, ისე დადის!“.

ავანგარდი თვალმოუშორებლად იცქირებოდა ღია კარში. გამოჩნდა პირქუში საწყობები, მიწაში ჩამჯდარი ვაგონები, რომლებიც ვეებერთელა უსახელურო ჩემოდნებს ჰგავდნენ. შორით აგურის დაბალი სახლების თავებზე საკვამურები აილანდა, ძირს კი მოსკოვის ქუჩაა. ავანგარდმა პირველად დაინახა თავის სიცოცხლეში ტრამვაი. ტრამვაი შეშიან ვაგონს მიაქროლებდა. მის რკალზე მწვანე ნაპერწკლები ჩნდებოდა.

გზას განაგრძობდნენ.

ვაგზლის წინ ფართო ლიანდაგი, ფოლადის რელსები, დეპოს კოლოფისმაგვარი ქვის გრძელი შენობა გამოჩნდა. და აი თბილანას თავზე ცა ჩამობნელდა, ექომ დაიგუგუნა მინიან თაღებქვეშ.

— მოვედით! — თქვა კალაჩმა.

— როგორ თუ მოვედით? სულ ესაა?

— სულ! — დაუდასტურა კალაჩმა. — იქით კედელია! ჩიხია!

ავანგარდი ბაქანზე გადმოხტა. ბაქანი გემბანივით ირწეოდა მის ფეხქვეშ. მინის სახურავის ჩატეხილ ადგილებში თოვლის გუნდები ცვიოდა. ავანგარდმა ჰანიშნებელს შეხედა: „ქალაქში გასასვლელი!“ — ეწერა ზედ.

ვაგზლის კედლებს იქით ყრუდ ხმაურობდა მისთვის ჯერ უცნობი მოსკოვური დღე.

•
• •

ივანგარდი უძილო ღამის შემდეგ რაღაცნაირ, განსაკუთრებულ სიმსუბუქეს გრძნობდა. თითქოს წონა დაკარგაო. ხელს აწერდა აქტებსა და უწყისებს ტვირთის ჩაბარების შესახებ, ერთბაშად პასუხობდა ათობით კითხვაზე, შეამოწმა, როგორ გადმოიღეს ყუთი. მის გარშემო ხალხი შეგროვილიყო. ესალმებოდნენ, მხრებზე ხელს უპარტყუნებდნენ.

ივანგარდი გვერდით ხედავდა კალაჩის მოღიმარ სახეს; მას გააცვნეს სასურსათო სახალხო კომისარიატის რწმუნებული, უზომოდ მაღალი კაცი, რომელსაც ყურებამდე შემოზრდოდა ყავისფერი ჯაგარი. ვიღაც ყვიროდა, ვაგონები საწყობებთან ჩააყენეთო.

შემდეგ ივანგარდი მოხვდა სადგურის ბნელ ოთახში, რომელშიც იატაკი ნახერხით იყო მოფენილი. ოთახში მუხის მაგიდები იდგა. სასურსათო სახალხო კომისარიატის წარმომადგენელმა კრემლის კომენდანტს დაურეკა და შეატყობინა, ურალელი დელეგატი ჩამოვიდა და თან მუშებისა და წითელარმიელების მიერ გამოგზავნილი ლენინისათვის გადასაცემი საჩუქარი აქვს ჩამოტანილიო. „რა გვარი ხარ?“ — სწრაფად ჰკითხა მან. ივანგარდს ენა დაება.

— ივანგარდი... მალცევი!

— ანგარ მალეცი! — ჩაჰყვირა რწმუნებულმა მილში, მერე მიუბრუნდა ივანგარდს და უთხრა: — კრემლიდან ახლავე გამოგზავნიან ტრანსპორტს!

უცნაურმა გრძნობამ შეიპყრო ივანგარდი. ნუთუ მასზე ლაპარაკობენ ახლა? ნუთუ ის, სწორედ ის იმყოფება მოსკოვში? ივანგარდს კვლავ აუფართქალდა გული რაღაცნაირი გამოუცნობი მღელვარებისაგან...

შემოვიდა მარდი კურსანტი, იკითხა, სად არის ამხანაგი დელეგატიო. ივანგარდი რომ დაინახა, ჩაიცინა.

ვაგზლის შესასვლელის წინ მოედანზე სატვირთო მანქანა თუხთუხებდა, ეტყობოდა, მსუბუქი მანქანა გადაეკეთებინათ. ყუთი ფრთხილად ჩადეს კაბინაში. მანქანა დაიძრა, უკან სულისშემხუთავ კვამლს ტოვებდა. მიდიოდნენ უკაცრიელი ქუჩებით, გვერდს უვლიდნენ თოვლით დაფარულ, ხეებგაძარცვულ ბულვარებს.

ივანგარდი აქეთ-იქით იცქირებოდა, კურსანტებს ეხუმრებოდა: გული რაღაცნაირი მხიარულებით ევსებოდა. თავში უკვე უტრიალებდა სადა და მრავალმეტყველი სიტყვები, რომლებიც შემდეგში უნდა წარმოეთქვა.

გავიდნენ ფართო მოედანზე. წინ აღიმართა კრემლის დაკბილული კედლები და კოშკები. დათოვლილი მოედანი მანქანების თვლებს დაესერა.

ჭიშკართან მათ სამხედრო მიუახლოვდა, შოფერს რაღაცა ჰკითხა და ხელი დაიქნია. მანქანა ჭიშკარში შევიდა.

— ყუთს რა ვუყოთ? — აფორიაქდა ავანგარდი, რომელიც კურსანტების შემდეგ გადმოვიდა მანქანიდან.

— ნუ დარდობთ, ამხანაგო დელეგატო! ყუთს დანიშნულებისამებრ მიიტანენ. ახლა აი, აქეთ!.. საშვი და სანდამუშავების ტალონი უნდა აიღოთ!

ავანგარდს უნდოდა ყველა წვრილმანი ენახა და დაემახსოვრებინა, მაგრამ ყველაფერი აქეთ-იქით მიქროდა და ვერ გრძნობდა, რომ კრემლში იმყოფებოდა.

დიდი ხანი არ იყო, რაც ეს სიტყვა მის წარმოდგენაში წარმოსახავდა მრისხანე ციხე-სიმაგრეს, რომელსაც ჰქონდა ბასტიონები, სათოფურები, ასაწევი ხიდები, ზარბაზნები, ხოლო დოლების ბრახუნზე იქ ჯარი დადიოდა. მაგრამ იგი ქალაქის ქუჩაზე, ჩვეულებრივი სახლების გვერდით მიაბიჯებდა, ქვაფენილზე ფეხებს მიაბაკუნებდა. არსად არაფერს სამხედრო იერი არა ჰქონდა, თუ არ ჩავთვლით ბორბლებმოგლეჯილ ზარბაზანს, რომელიც გალავანთან ეგდო მორებისა და დამტვრეული აგურების გვერდით.

საშვის ბიუროში ავანგარდმა ყველა თავისი საბუთი წარადგინა, სკოლის მოწმობაც კი, რომელზეც თვითნაკეთი ბეჭედი იყო დასმული. ბიუროს უფროსმა, რომელსაც წარბებს შორის ღრმა ნაოჭი გასჩენოდა, ურალელ დელეგატს გაუღიმა და რამდენიმე მოკლე კითხვა მისცა. მალე ავანგარდს საშვი ჩააბარეს და მან ამაყად ჩაუარა იქ მომლოდინე ადამიანებს, რომლებმაც ჯანცვიფრებით და თითქოს შურითაც კი შეხედეს ურალელ დელეგატს.

შემდეგ გაიარა „სანდამუშავება“. ვიწრო აბანოში მთელი კასრი ცხელი წყალი (ცივი რამდენიც უნდოდა იმდენი იყო), ხმელი ოფიჭო და თევზის სუნიანი საპნის ნაჭერი მისცეს.

ავანგარდი გაისაპნა, სკამზე ჩამოჯდა და ერთბაშად გულის სიღრმიდან მომდინარე მწვავე სულიერი ტკივილი იგრძნო. გაიფიქრა, რომ აქ, მის გვერდით ახლა ბაშკატოვიც უნდა იყოს, ადგაფუნებდეს წყალს და თავის ლამაზ თვალებს და კბილებს აელვარებდეს: ყველაფერი კარგადაა, ჩამოვიდნენ მოსკოვში, სრული წესრიგით ჩააბარეს ტვირთი, მოვიდნენ აბანოში... ავანგარდს თითქოს რაღაც ჩაუდნა შიგნით, მოეხსნა ყელში წაჭერილი ყინულის სალტე, და უხმოდ, თავისთვის ატირდა. თავზე წყალი ესხმებოდა. ასე, რომ ვერავინ ვერ დაინახავდა მის ცრემლებს.

აბანოს შემდეგ ავანგარდი კომენდანტთან შეიყვანეს. კომენდანტი წასვლას აპირებდა. მან გაუღიმა, ხელი მაგრად ჩამოართვა.

— ყოჩაღ, ამხანაგო! ურალიდან, არა? დიდხანს იარე?! ოჰო! ბევრი გივლია! დაჯექი დაისვენე! დივანზე დაჯექი, აქ უფრო რბილად იქნები...

ავანგარდი დაჯდა. ირგვლივ ყველაფერი — ოთახიც, დივანიც, მუშამბაგადაფარებული მაგიდაც, სკამებიც ძალზე უცნაურად ეჩვენებოდა.

— ყუთი ვლადიმერ ილიას ძის ბინაში მივიტანეთ! — უბრალოდ უთხრა კომენდანტმა. — გაქვს კიდევ რაიმე დავალება?

ავანგარდმა ჯიბიდან საბუთები და წერილი ამოიღო.

— კარგი, თან იქონიე! სამდივნოში გადასცემ... მანამდე კი აქ მოეწყვე, როგორც საკუთარ სახლში, მოისვენე... სამზარეულოში წყალია! სანდამუშავება გაიარე? კეთილი! დეიდა ნიუშა!.. გაუწიეთ შეფობა! — გასძახა კომენდანტმა კარებში. — ჩვენ გავარკვევთ, როგორია ვითარება და შეგატყობინებთ!

მარტო დარჩენილი ავანგარდი, თითქოს ეშინია ვინმე არ გააღვიძოსო, ფეხაკრეფით მივიდა სარკესთან. ცნობისმოყვარეობით შეხედა თავის თავს, მოისინჯა შუბლი, ნიკაპი, ლოყები. სახე შეცვლოდა, სიცხიანს უგავდა, ქუთუთოები გაწითლებოდა. ჰორფლი კი უფრო გაფართოებოდა, განსაკუთრებით ერთი, ცხვირის წვერზე. იქნებ ასე იმიტომ ეჩვენება, რომ ძალიან ახლოს უყურებს თავის თავს? ავანგარდი ოდნავ მოშორდა სარკეს. ამ დროს კარი გაიღო. ავანგარდი შეცბა და ხველება დაიწყო. შემოვიდა წითელთავსაფრიანი მოხუცებული ქალი, რომელსაც ქვაბი მოჰქონდა. მას კომენდანტიც შემოჰყვა.

ქალმა ქვაბი მაგიდაზე დადგა.

— ჭამე! — უთხრა კომენდანტმა. — დაჯექი და ჭამე, ნუ მოგერიდება!

ავანგარდი მაგიდას მიუჯდა. ქვაბში ქაშაყის თავები და მოხარშული გამხმარი სტაფილოს ნაჭერი ცურავდა. თეფშზე პურის ორი თხელი ნაჭერი იდო.

— საქმე ასეა, — უთხრა კომენდანტმა. — ახლა სახკომსაბჭოს სხდომა მიმდინარეობს, სხდომა ღამემდე გასტანს... ასე რომ, დღეს აღარაფერი გამოვა! შეიძლება ხვალ იქნეს მიღება. აქ კიდევ ერთი დელეგაციაა, ზელენინის თემის წარმოგზავნილები არიან ჩამოსული, ხვალ ყველაფერი გამოირკვევა!

კომენდანტმა საათს დახედა.

— მაპატიე, ამხანაგო, უნდა გავიქცე. შეიძლება საღამოს გამოვნახო დრო და ვილაპარაკოთ! აქ გაზეთები და ჟურნალებია, თუ გსურს! თუ არა და დაწექი და მოისვენე... მოკლედ, ისე მოიქეცი, როგორც შენმა ჭკუამ და გონებამ გიკარნახოს...

კომენდანტი წავიდა. ავანგარდმა ოთახში გაიარა, ჩამოჯდა დივანზე, უჩვეულო სიჩუმე იდგა, — არავითარი ხმა არ ისმოდა გარშემო. ავანგარდს უნდოდა ასე გაუნძრევლად მჯდარიყო, ხარბად ესმინა ამ გასაოცარი, უჩვეულო, ტკბილი სიჩუმისათვის, რომელიც თითქოს ნელა ეხებოდა და უალერსებდა.

ისიც დიდხანს იჯდა გაუნძრევლად, ნახევრად თვალებდახუჭული და გრძნობდა სიმშვიდეს, რაც დიდი ხანია არ განეცადა.

უცებ მკახედ აწკარუნდა ტელეფონი. ავანგარდი გულაძგერებული წამოხტა: რა ქნას? ის ხომ უცხოა აქ!.. ზარი კი რეკავდა დაჟინებით, მომთხოვნად, თითქოს ხედავდა, რომ ტელეფონთან კაცი იდგა და არ უპასუხებდა. ავანგარდი ხის ყუთთან მივიდა, ყურმილი აიღო. ყურში ხორხისმიერი, დანჯღრეული ხმა ჩაესმა:

— ვინ არის ტელეფონთან?

— ეს... — ავანგარდმა ჰაერი ჩაყლაპა. — ეს... დელეგატია... რომელიც... ურალიდანაა!

— ა-ა-ა, ამხანაგო დელეგატო... კომენდანტი ლაპარაკობს. როგორა ხარ, ხომ არ მოგწყინდა? როგორც შევთანხმდით, დღეს დაისვენე! მალე ვახშამს მოგიტანენ!

ავანგარდმა ყურმილს დახედა, ჩაეცინა და დაკიდა. გარეთ ჩამობნელდა. მოპირდაპირე სახლის კედელზე დაკიდებული მბჟუტავი ნათურა აინთო. მაშასადამე, ახლოვდება ხვალინდელი დღე...

შემოვიდა წითელთავსაფრიანი ქალი, ხელში პატარა ლანგარი ეჭირა.

— რატომ ზიხართ სიბნელეში? სინათლე უკვე მოგვცეს! — ალერსიანად უთხრა ავანგარდს და ჩამრთველი გადაატრიალა. — დაჯექით, ივახშმეთ!

ქალმა მაგიდაზე პურისნაჭრიანი თეფში და რაღაც შავი სითხით სავსე ჭიქა დადგა.

ავანგარდმა მორიდებულად ჰკითხა:

— ეს კრემლის სასადილოდანაა?

— იქიდანაა! დაჯექით, ჭამეთ!

ავანგარდი ცდილობდა ყოველი ლუკმის გემო განეცადა და ამიტომ ნელა ჭამდა პურის ბურახისაგან დამზადებულ კისელს. ქალმა კი ამ დროს ბალიში, ზეწარი, საბანი მოიტანა და ფართო საწოლზე ლოგინის გაშლას შეუდგა. ავანგარდმა საწოლს ერთგვარი შიშით შეხედა. ნუთუ ეს მისთვისაა?

— კომენდანტმა შემოგითვალათ, რომ დაწვეთ და დაიძინოთ! — ღიმილით უთხრა ქალმა. — ხოლო როცა დაწვებით, არ დაგავიწყდეთ სინათლის ჩაქრობა, რომ ტყუილუბრალოდ არ ენთოს... თუ კომენდანტი მოვიდა, ისიც აქვე ტახტზე დაწვება... ჩვენთან ხშირად ათევენ ღამეს სტუმრები!

ქალმა მაგიდიდან ჭურჭელი აალაგა და გავიდა. წასვლისას ავანგარდს ძილი ნებისა უსურვა.

ავანგარდმა შეხედა ლოგინს, თეთრ ბალიშს, თეთრი ზეწრის კიდეს, რომელიც საბნის ქვემოდან მოჩანდა, გამორთო სინათლე. ნელა შეძვრა საბანქვეშ,

თავი რბილ ბალიშზე დადო. სიამოვნებას ჰგვრიდა სუფთა საცვლები, რომელიც თვითონ გაირეცხა თბილანაში და მოსკოვისთვის ინახავდა. მალე დაეუფლა პოლენთილობა, უდუნდებოდა თითები. და აი, ბალიშქვეშ, ზედ ყურთან ახმაურდა ბორბლები, და, ავანგარდი რხევით დაიძრა მძიმე რახრახში...

*
* *

კომენდანტმა ყურადღებით შეხედა მის წინ მდგომ წითურტყაპუჭიან პატარა კაცს. იგი იბუზებოდა და ისე სუნთქავდა, როგორც ყინვაში. გეგონებოდათ, რომ ახლა დაიწყებს კბილების კაწკაწსო.

— ჩაი დალიე!..

— არა, არ შემიძლია! — დახშული ხმით უპასუხა ავანგარდმა.

კომენდანტმა გამამხნევებლად დაჰკრა ხელი ბეჭზე:

— ნუ ღელავ, ჩვენებურო, ნუ ნერვიულობ!.. ვლადიმერ ილიას ძესთან ოლია ლაპარაკი. ის კიდევაც გისმენს და კიდევაც გეკითხება... ნუ აჩქარდები, მშვიდად უპასუხე და ყველაფერი რიგზე იქნება.

ავანგარდმა მდუმარედ დაუქნია თავი.

— წავედით! — თქვა კომენდანტმა. — დანიშნულია თერთმეტი საათისთვის!..

რამდენიმე საგუშაგო გაიარეს. აფრინდა ლიფტი — ავანგარდისათვის ჯერ არნახული, უცნაური რამ. ერთი კი შეხედა მას დაბნეულად და მაშინვე დაივიწყა.

შემდეგ შევიდა ნათელ ოთახში, სადაც ქაღალდებით სავსე უბრალო მაგიდები და სკამები იდგა, ისმოდა საბეჭდი მანქანების კაკუნი.

მაგიდასთან მჯდარმა ქალმა ავანგარდს შეხედა, მიესალმა და მიიპატიჟა:

— დაბრძანდით, ამხანაგო!

ავანგარდი სკამის კიდეზე ჩამოჯდა. უნდოდა დაეხველებინა, მაგრამ ყელში რაღაცამ წაუპირა.

ქალმა მოკლედ ჰკითხა, საიდან ჩამოხვედი, ვინ გამოგგზავნა, რა მიზნით მოხვედიო.

— გინდათ რამე გადასცეთ ამხანაგ ლენინს?

ავანგარდმა ამოიღო კონვერტი და რევკომის ბეჭედდასმული ქაღალდი.

— ცოტა ხანს იჯექით! მე ახლავე დავბრუნდები!

ქალმა გამოართვა წერილი, ქაღალდი და მეზობელ ოთახში გავიდა. ავანგარდმა შიშნეულად, ჩუმად ჩაახველა. ამან არ უშველა — ყელში ისევ უჭერდა რაღაც. ავანგარდმა შეხედა კარს, რომელშიც ქალი შევიდა. მას წარ-

მოუდგა ერთმანეთზე მიყოლებული ოთახების დაუსრულებელი რიგი, სადღაც. ბოლოში კი — უზარმაზარი დარბაზი, იქ ლენინი იჯდა... „შესაძლოა არც კი შემიშვან — უბრალოდ კონვერტს გადასცემენ და ამით გათავდება ყველაფერი!“

ავანგარდი ჯიბეში ძველებურ სპილენძის შაურიანს შეეხო, რომელსაც ყოველთვის თან ატარებდა და ჩაუთქვა: „თუ ალჩუ იქნა, — შემიშვებენ, თუ თოხანი — არა!“

გაიღო ოთახის კარი. ავანგარდი გაწითლდა, ფული ხელიდან გაუვარდა, იატაკზე გაიწკრიალა და სკამქვეშ შეგორდა. მოეჩვენა, რომ ქალი დამცინავად უცქეროდა და საქციელს არ უწონებდა... „ავიღო შაურიანი თუ არა“, — ფიქრობდა შეშფოთებული.

— შეგიძლიათ შეხვიდეთ ვლადიმერ ილიას ძესთან! — უთხრა ქალმა. — აქეთ მობრძანდით!

ავანგარდი ადგა, კარისკენ რამდენიმე გაუბედავი ნაბიჯი გადადგა, სახელური მოსწია, კარი არ გაიღო. უმწეოდ მოიხედა.

ქალმა გაიღიმა, სახეზე გულკეთილი გამომეტყველება აესახა.

— შიგნით შეაღეთ!

ავანგარდმა კარი შეაღო და დადგა. თვალისმომჭრელი სინათლის ნაკადი იფრქვეოდა გაკრიალებული მინებიდან. ურალელი თვალებს ჭუტავდა, წინ ვერაფერს ხედავდა.

— შემოდით, ამხანაგო, დაჯექით! — მოესმა სასიამოვნო, ოდნავ ჩახრინწული ხმა. — ახლავე გავთავისუფლდები!

მაშასადამე, არავითარი ოთახები და დარბაზები არ ყოფილა. რამდენიმე ნაბიჯია იმ მაგიდამდე, რომელსაც ლენინი უზის.

ავანგარდი სავარძლამდე მივიდა და ჩაჯდა. სავარძელი რბილი და ძალიან ღრმა იყო. მაგიდის პირი მისი თვალების სისწორეზე აღმოჩნდა და რაც პირველად დაინახა, იყო ურალის ქვისაგან გაკეთებული საწერი მოწყობილობა, რომელიც მზის სხივებზე ბზინავდა. გვერდით კონვერტი იდო.

ამ ნივთების დანახვამ, რომლებიც ავანგარდთან ერთად ასე დიდხანს მოგზაურობდა, ყმაწვილი დაამშვიდა. მან თვალები მაღლა ასწია და ლენინი დაინახა. ლენინი მაღალზურგიან სკამზე იჯდა, გადახრილიყო, ტელეფონის მილი ყურზე მიედო და დაძაბულად ისმენდა; მისი ფანქრიანი ხელი სწრაფად მოძრაობდა ქაღალდზე.

ავანგარდმა ფრთხილად, თითქოს ეშინია არ იხმაუროსო, თავი მიაბრუნა და მიიხედ-მოიხედა. ოთახში ჩანდა წიგნებიანი კარადები და თაროები, ტყავის დივანი, ჩარჩოში ჩასმული მარქსის სურათი, კედლებზე დიდი გეოგრაფიული

რუკები ეკიდა. ოთახი სულ მათი სკოლის სამასწავლებლოს ჰგავდა, მხოლოდ აქ უფრო მეტი კარი იყო — სამი კარი. ერთი კარის უკან ტელეგრაფის აპარატის კაკუნი ისმოდა.

ავანგარდმა კვლავ მალულად შეხედა ლენინს. სწორედ ამ დროს ლენინი სკამის ზურგზე გადაწვა და გაიცინა: „არ შეგიძლიათ გადაეჩვიოთ სიმაგრის ნიშანს? თქვენც, ჩემო კეთილო, საგანგებოდ წაივარჯიშეთ შინ!“ მან დადო ყურმილი, ადგა და ავანგარდს ხელი გაუწოდა.

— გამარჯობათ, ამხანაგო! მაპატიეთ, რომ გაცდევინეთ!

ლენინი თვალებს ჭუტავდა და იღიმებოდა, თეთრი, რბილი საყელო ოდნავ გვერდზე მოქცეოდა.

ავანგარდმა მხიარულად და განცვიფრებით შეხედა. მშფოთვარება, რაც დილიდანვე უწუხებდა გულს, უკვალოდ გაუქრა.

— რით დავიწყოთ! — უთხრა ლენინმა.—დღეს ჭამეთ რამე? ისაუზმეთ?.. მხოლოდ სიმართლე მითხარით!

ეს კითხვა ავანგარდისათვის მოულოდნელი იყო. მოუხშირა წითური წამწამების ხამხამს. რა ქნას? პირველი სიტყვიდანვე იცრუოს? ხომ უნდა უპასუხოს...

— დიახ, ვისაუზმე! — მიუგო გაბედულად. — ჩაი დავლიე კომენდანტთან!

— მართალს ამბობთ? — გამომცდელად შეხედა ლენინმა. — მაშინ თავისუფლად დაჯექით და ვილაპარაკოთ! — მაგიდაზე რაღაც მოძებნა. — ბოდიში, გვარი დამავიწყდა.

— მალცევი... ავანგარდი! — უთხრა და ისე გაწითლდა, ჭორფლი აღარ ეტყობოდა.

ლენინმა კი თითქოს ვერაფერი შეამჩნია, ალერსიანად ჰკითხა:

— რამდენი ამხანაგი ახლდა ვაგონს?

— ორნი ვახლდით!.. — მხნედ დაიწყო ავანგარდმა და გაჩუმდა. მეტი ვერაფრის თქმა შეძლო. პირდაპირ ისრებით დახაზული რუკა ეკიდა. ავანგარდმა ურალის ქედის კლაკნილ ხაზს შეავლო თვალი. სადღაც აქ დაიწყო მისი გზა... და მის გონებაში ერთბაშად წამოხვავდა ჯაყჯაყით გატარებული დღეები და ღამეები. როგორ უნდა უამბოს ყოველივე იმის შესახებ, რაც გზაში გადახდა?!

მაგრამ ეშველა. სწრაფმა, მოკლე კითხვებმა ავანგარდი სწორ გზაზე დააყენა, დალაგებით აამბობინა ყოველივე. და მიდგა ჯერი იმ ამბავზე, როგორ შეამჩნიეს სადგურ ლიპსკაიაში ხანძრის ალი შორს, ტყის თავზე, როგორ წავიდა ბაშკატოვი მხარზე შაშხანაგადაკიდებული...

— დიახ, ძვირად გვიჯდება! — თქვა ლენინმა. მას თვალები დაუწვრილდა,

გაუქურუხდა, თითები ფანქარს მოუჭირა. — არ უნდათ პურის მოცემა... — დასძინა ნელა და მუქარით. — შიმშილით უნდათ დაგვამარცხონ!..

„აი, ლენინმა ბაშკატოვის ამბავი გაიგო", — გაიფიქრა ავანგარდმა.

ლენინმა რაღაც ჩაინიშნა გადაშლილ რვეულში, ყურადღებით შეხედა თანამოსაუბრეს.

— თქვენ ცუდად გამოიყურებით! — მოულოდნელად უთხრა. — დაიღალეთ? ავადა ხართ?

— არა, მე ძალიან კარგად ვარ! — აჩქარებით უპასუხა ავანგარდმა. — არ დავღლილვარ, არა!

ავანგარდი გრძნობდა, რომ ეს მოკლე, სწრაფი კითხვები მისი ცხოვრების ირგვლივ სულ უფრო ახლო და ახლო ტრიალებდა. ჩუმად ამოიხვნეშა კიდეც... სწორედ ასეა, — ლენინი ეკითხება მშობლებზე, სკოლაზე, რომელ კლასშია, როგორ მეცადინეობს...

— დავამთავრე სამკლასიანი სკოლა... — ჩამწყდარი ხმით დაიწყო ავანგარდმა. ახლა ის აწვალებდა, რომ საუბარი აქაც ამ აურიდებელ, მძიმე თემას შეეხო. — შემდეგ შევედი ქალაქის ოთხკლასიან სასწავლებელში! გადავედი მეოთხე კლასში... შემდეგ სწორედ ამ დროს რევოლუცია მოხდა... ხოლო შემდეგ...

— გაგიტაცათ პოლიტიკურმა მოღვაწეობამ! — დააბოლოვა მის მაგიერ ლენინმა.

— დიახ! — დაბნეულად დაეთანხმა ავანგარდი და თითქოს როგორღაც რბილ სავარძელში ჩაიკარგა. შემდეგმა კითხვამ შეიძლება იმ ჩამორჩენილ მოწაფედ აქციოს, რომელიც ორ წელიწადს იჯდა ერთ კლასში.

მაგრამ კითხვები, რომლებსაც მას აძლევდნენ, თითქოს რუკაზე დახატული ისრებივით გაიფანტნენ აქეთ-იქით. „არიან მესაბოტაჟენი მასწავლებელთა შორის? — ეკითხებოდა ლენინი. — ეძლევათ თუ არა მოსწავლეებს საუზმე? როგორია მოსწავლეთა შემადგენლობა? რა პოლიტიკური მუშაობა მიმდინარეობს მოსწავლეთა შორის და ვინ მეთაურობს მას?"

ავანგარდს თვალები უბრწყინავდა. ეს ხომ მისი ცხოვრებაა!

მაგრამ სწრაფი და ზუსტი კითხვები კვლავ წარიმართა მთავარი თემისაკენ. როცა ავანგარდი უყვებოდა, თუ როგორ დემონსტრაციულად გაწყვიტეს ურთიერთობა მათ, კომკავშირელმა მოწაფეებმა მოგ-თან, ლენინი დაიხარა და გაუმეორა კითხვა:

— ვისთან გაწყვიტეთ?

ავანგარდმა აუხსნა, რომ მოგ-ი მოწაფეთა გაერთიანებაა, მაგრამ იქ

სკაუტებმა, ყოფილმა გიმნაზიელებმა მოიკალათეს, რომლებიც ცეკვისა და ფანტის თამაშის გარდა არაფერს აკეთებენ...

მას გაახსენდა ფრაზა რეზოლუციიდან, რომელიც კომკავშირის სამაზრო კომიტეტმა გამოიტანა: „მოგ-ი ენებს ჩვენს კლასობრივ შეგნებას და გვაცილებს პროლეტარულ რევოლუციას!“

ლენინმა თვალი მოკუტა:

— ვინ თქვა ეს?

— ჩვენ თვითონ! — ამაყად უპასუხა რეზოლუციის ერთ-ერთმა ავტორმა.

— აზრი სწორია, მაგრამ ნაბიჯია არასწორი! — სერიოზულად უთხრა ლენინმა. — არ უნდა გამოსულიყავით გაერთიანებიდან! პირიქით, ყოველ კრებაზე უნდა გემხილებინათ მთელი ეს ობივატელური სისულელე... აგეხსნათ ახალგაზრდობისათვის, ვის გაყოლოდა იგი... მეთანხმებით?

ავანგარდი დუმდა. მას ყურებმა დაუწყო წვა.

— ნებას მომცემთ მოურიდებელი კითხვა მოგცეთ? — ოდნავ გაიღიმა ლენინმა. — რამდენი წლისა ხართ?

ისრები კვლავ შებრუნდნენ, ახლოს მიადგნენ ავანგარდს.

— მალე თექვსმეტისა ვიქნები! — უპასუხა იდუმალი სევდით.

— მალე თექვსმეტის! — გაიმეორა ლენინმა. — შესანიშნავია!.. ცხოვრების დასაწყისია. მაგრამ უკვე ბევრი რამაა განცდილი და შეცნობილი! მოძებნილია სწორი გზა! — ლენინს თვალები გაუბრწყინდა. — თეთრგვარდიელებს მალე მოვუღებთ ბოლოს, დავიწყებთ აღდგენას, შენებას... თქვენ ხომ ურალელი ხართ?! — სწრაფად ჰკითხა ლენინმა ავანგარდს. — იცით, რა უნდა გამოხვიდეთ? — მან სიხარულით შეხედა ყმაწვილს და თვითონვე უპასუხა თავის კითხვას. — სამთო ინჟინერი! აუცილებლად! ვისწავლით! — უთხრა მგზნებარედ. — ყველანი დავიწყებთ სწავლას!

გულატკეცულ ავანგარდს გაეღიმა. გაახსენდა თავისი მეგობრები, იარაღში ჩამჯდარი ბიჭები. თვითონაც მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა: ცხენზე, რომელიც ლაგამს ღრღნის, ერთ ადგილზე ცქმუტავს და მოუთმენლობისაგან დორბლებს ჰყრის, კაზაკის ნაბადზე, ან მაგრად ღვედებშემოჭერილ გიმნასტურაზე, მხარზე გადაკიდებულ ხმალსა და პლანშეტზე, ისე როგორც იმ წითელ მეთაურს ჰქონდა, რომელიც ტორცოვში საყოველთაო სამხედრო სწავლების მოწაფეთა პარადს იღებდა.

მაგიდაზე დაბალი ბანით ახმიანდა ტელეფონი. ლენინმა ყურმილი აიღო.

— კარგი! — თქვა და ალმაცერად დახედა საათს. — ახლა თორმეტის ოცდაჩვიდმეტი წუთია!.. სრულ თორმეტზე! გააფრთხილეთ, არ დაიგვიანონ.

ხმა გაისმა მკვეთრად, მბრძანებლურად. ავანგარდი უნებლიეთ მოიწურა სავარძელში: „რას ვზივარ? უნდა წავიდე“.

ლენინმა ყურმილი დადო და მისკენ მიბრუნდა. მას წეღანდელი სიმკაცრის ნატამალიც არ ეტყობოდა:

— პროდუქტი ძალიან ბევრი მომიტანეთ, იმდენია, ვერც მოერევა კაცი! — თვალები მხიარულად ჰქონდა მოწკერული. — მაგრამ პროტესტს არ ვაცხადებ... ჩვენ გვყავს სუსტი, ავადმყოფი ბავშვები და სწორედ იმათ გამოვკვებავთ... თქვენ კი ამ ქურთუკში არ გცივათ? — ერთბაშად ჰკითხა ავანგარდს. — არ იყინებით?

— ვინ? მე? ავანგარდს ჩაეცინა. — ჩვენ, ურალელები, შეჩვეული ვართ ყინვას!

— ეს კარგია! — გაეღიმა ლენინს. ბლოკნოტი მიიწია და რაღაცის წერა დაიწყო ისე, რომ ლაპარაკი არ შეუწყვეტია.

— მე აქ პატარა ბარათს ვწერ ტორცოვის რევკომს, ამხანაგ წითელარმიელებსა და მუშებს. მათი დახმარება ჩვენთვის ფასდაუდებელია. ამ შესანიშნავი ნივთისთვისაც... — საწერ მოწყობილობას გადახედა, — დიდი მადლობა... საასიმოვნოა, როცა იცი, რომ იგი ჩვენს საბჭოთა ფაბრიკაშია გაკეთებული.

როცა კონვერტი დააწება. მაგიდიდან ქაღალდი აიღო და ხმამაღლა წაიკითხა:

— ტორცოვის რევკომი... საჭიროებს... საგაზეთო შრიფტს. კლიშეს... ხელით საბეჭდ მანქანას... ლიტერატურას... პლაკატებს! ჰმ!

ლენინი ჩაფიქრდა. სამელნეში ფრთხილად ჩააწო კალამი და რამდენიმე სიტყვა დაწერა.

— ისევ და ისევ ამხანაგ სვერდლოვს ვუგზავნი... ყრუდ თქვა და კალამი დადო. კაბინეტში მხოლოდ საათის წიკწიკი ისმოდა. — ის ხომ ურალელი მუშაკია... აუცილებლად მოისურვებდა თქვენს ნახვას.

ლენინმა ქაღალდი ნელა გადადო გვერდზე და ბლოკნოტიდან სხვა ფურცელი ამოხია

— ასე! — თქვა და მაგრად მოისრისა მაღალი შუბლი. — ეს სამდივნოში გადაეცით! შეეცდებით დავაკმაყოფილოთ ყველა თქვენი თხოვნა...

ავანგარდი სავარძლიდან წამოდგა. დროა გამოვემშვიდობო, წავიდეო.

ლენინი წამოდგა და მიუახლოვდა.

— გინდათ, დაისვენოთ მოსკოვის ახლოს? ცოტა სულს მოითქვამთ!

ავანგარდმა შეხედა მის გვერდით მდგომ კაცს, მის დაქანცულ მოყვითალო შავგვრემან სახეს. მის გამჭრიახ. მოელვარე თვალებს.

— არა, ამხანაგო ლენინ. უკან უნდა გავბრუნდე! მელოდებიან!

ლენინი უფრო მიუახლოვდა.

— როცა ჩახვალ, — უთხრა ხმადაბლა. — გადაეცი ამხანაგებს, ისწავლონ! უთხარი, რომ მე ვთხოვ...

— ვეტყვი, — უპასუხა ავანგარდმა და აჩქარდა. სული მოებჯინა ყელში, კრემლები მოაწვა.

ლენინმა კარამდე მიაცილა და მაგრად ჩამოართვა ხელი.

— ნახვამდის, ურალელო, გზა მშვიდობისა!

სარჩევი

.დღევანდელი დღის მთაბეჭდილება	3
ნავი წინ!	9
არ დავიწყნია	16
ახალგაზრდა ამხანაგი	22
.ყველაზე სანუკვარი	29
სახალხო კომისრის მდივანი	36
ახალი კოსტუმი	45
საიდუმლოება	53
.გზად, მოსკოვისაკენ	61
მალე თექვსმეტისა ვიქნები	72